განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი

საქართველოს I^2 Q პროექტი - ინკლუზიურობა, ინოვაცია და ხარისხი

მარტი, 2019

წინასიტყვაობა

განსახლების პოლიტიკის ჩარჩო (RPF) მოიცავს **იძულებით განსახლების და მიწის შესყიდვის საკითხებს.** ის მომზადდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის და განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ. ის წარმოადგენს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს საქართველოს *I2Q პროექტისთვის – ინკლუზიურობა, ინოვაცია და ხარისხი,* რომელიც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სხვა ეკოლოგიური და სოციალური დაცვის ღონისძიებები ასახულია ეკოლოგიური და სოციალური მართვის ჩარჩოში და პროექტის ოპერაციულ სახელმძღვანელოში (POM).

ეს დოკუმენტი ითვალისწინებს მიდგომებს და პოლიტიკას მიწის შესყიდვისა და განსახლებისთვის საქართველოს მთავრობის და მსოფლიო ბანკის მოთხოვნის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. დოკუმენტი იძლევა ჩარჩოს ყველა მხარის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ნებისმიერი მხარის გადაუდებელი მოთხოვნების გათვალისწინებით.

განსახლების პოლიტიკის ეს ჩარჩო შემუშავდა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული *საქართველოს I2Q პროექტისთვის – ინკლუზიურობა, ინოვაცია და ხარისხი.* საქართველოს I2Q პროექტი ხუთი კომპონენტისგან შედგება: I კომპონენტი: ადრეული განათლების და ზრუნვის ხარისხის და მათთან წვდომის გაუმჯობესება; II კომპონენტი: ზოგადი განათლების სისტემაში სწავლების და სწავლის ხარისხის ამაღლება; III კომპონენტი: უმაღლესი განათლების სფეროში დაფინანსების ვარიანტებისა და ინტერნალიზაციის გაძლიერება; IV კომპონენტი: სისტემის გაძლიერება და დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაცია; და V კომპონენტი: პროექტის მართვის, მონიტორინგის და შეფასების მხარდაჭერა. სამშენებლო სამუშაოები, სკოლამდელი და სასკოლო შენობების რეაბილიტაციის და მშენებლობის ჩათვლით, მოსალოდნელია შესაბამისად I და II კომპონენტის ფარგლებში. ეს ჩარჩო (RPF) გამოყენებული იქნება პროექტის ნებისმიერი ღონისძიების მიმართ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მიწაზე, აქტივებზე ან საარსებო საშუალებებზე.

პროექტი ხორციელდება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (MESCS) და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF) მიერ. ყველა სამშენებლო სამუშაოს, სასკოლო და სკოლამდელი შენობების რეაბილიტაციის და მშენებლობის ჩათვლით, შეასრულებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF) წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობების ინსტიტუციური და ფინანსური გაძლიერების, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და

სერვისებში ინვესტიციების, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური სერვისების მდგრადი პროგრესის ხელშეწყობა. ფონდი ახორციელებს პროექტებს სხვადასხვა მრავალმხრივ დონორთან თანამშრომლობით, მათ შორის არიან ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი (EBRD), აზიის განვითარების ბანკი (ADB), ისევე როგორც ორმხრივი დონორები აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA) და ა.შ.

ფონდი პასუხისმგებელია ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან და სხვა დონორებისგან მიღებული დაფინანსების და ასევე ფონდის მიერ გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავლის მართვაზე (ძირითადი თანხა და საპროცენტო შემოსავალი გამოიყენება ადგილობრივი და რეგიონული ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო პროექტების და მომსახურების სფეროში შესაბამისი ტექნიკური დახმარების დასაფინანსებლად).

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF), მის მიერ განხორციელებული პროგრამის ფარგლებში, პასუხისმგებელია პროექტების/ გეგმების და წინასწარი გარემოსდაცვითი შემოწმებების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) კვკევა (საჭიროების შემთხვევაში) და ასევე მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე. შესყიდვის პროცესში ფონდი ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა დადგენილი წესით და დონორი ორგანიზაციების გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (MDF) პასუხისმგებელია დონორი ორგანიზაციების ეკოლოგიური და სოციალური დაცვის მექანიზმების გამოყენებაზე. განსახლების პოლიტიკის ეს ჩარჩო ემყარება ჩარჩოს, რომელიც შემუშავდა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული რეგიონული განვითარების მეორე და მესამე პროექტებისთვის.

შინაარსი

წინასიტყვაობა 2

აბრევიატურები 6

განმარტებები 7

I. პროექტის ამოცანა და მოსალოდნელი ზემოქმედება 11

1.1. პროექტის განვითარებითი ამოცანა 11

1.2. პროექტის შემუშავება 11

1.3. პროექტის ღირებულება 14

1.4. პროექტის მოსალოდნელი ზემოქმედება 14

II. ადმინისტრაციული და სამართლებრივი ჩარჩო 16

2.1. ინსტიტუციური პასუხისმგებლობები 16

2.1.1. მიწის სარეგისტრაციო ორგანიზაციები 18

2.1.2 ადგილმონაცვლეობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები 20

2.1.3. სხვა ორგანიზაციები და უწყებები 21

2.1.4. შესაძლებლობების განვითარება მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებით (LAR) 22

2.2. საქართველოს კანონმდებლობასთან დაკავშირებული განსახლება 24

III. მსოფლიო ბანკის პოლიტიკა და საქართველოს კანონმდებლობა: განსხვავების ანალიზი და მაკორექტირებელი ღონისძიებები 25

ცხრილი 3: საქართველოს კანონების და მსოფლიო ბანკის OP 4.12 პოლიტიკის შედარება 28

IV. საქართველოს I2Q პროექტისთვის მიღებული განსახლების და მიწის შეძენის პრინციპები 31

V. კომპენსაციის მისაღებად მოთხოვნების დაკმაყოფილება და გადახდა 33

5.1. კომპენსაციის მისაღებად მოთხოვნების დაკმაყოფილება 33

5.2. გადასახდელი თანხები 34

5.3. საკომპენსაციო ერთეულის ღირებულების შეფასება 36

ცხრილი 4. კომპენსაციის განსაზღვრის მატრიცა 37

5.4. დახმარებები მოწყვლადი ჯგუფებისთვის 43

5.5. ექსპროპრიაცია და ლეგალიზაცია 44

5.6. გენდერის გათვალისწინება და შემარბილებელი ღონისძიებები 44

VI. ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი აქტივების შეფასების მეთოდები 45

6.1. შეფასების პრინციპები 46

6.2. სტრუქტურები 47

6.3. მიწა 47

6.4. წლიური მოსავალი 49

6.5. ხეები 49
6.6. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მოწყვლადი შინამეურნეობები 49
VII. კუთვნილი უფლებების რეალიზაცია 50
7.1. ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების შერბილების პროცესი 50
7.2. საარსებო საშუალებების აღდგენის ხელშეწყობა 50
VIII. საჯარო განხილვები, მონაწილეობა და დოკუმენტების გამჟღავნება 52
8.1. მონაცემთა შეგროვების ეტაპი 52
8.2. დაგეგმვის ეტაპი 52
8.3. განხორციელების ეტაპი 53
8.4. მონიტორინგისა და შეფასების ეტაპი 53
IX. საჩივრები და გასაჩივრების პროცესები 54
9.1. საჩივრების შემსწავლელი კომისიის ჩამოყალიბება და საჩივრების განხილვის პროცესი 54
X. მონიტორინგი და შეფასება 56
10.1. მონიტორინგი 57
XI. განსახლების ბიუჯეტი და დაფინანსება 57
დანართი # 1. განსახლების სამოქმედო გეგმის საკითხებზე საქართველოს კანონებისა და რეგულაციების მოკლე მიმოხილვა 59
ექსპროპრიაციისა და ლეგალიზაციის პირობები 70

აბრევიატურები

ADB	აზიის განვითარების ბანკი
ACHP	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
AF	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახი
AH	ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობა
AP	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი
A-RAP	გამარტივებული განსახლების სამოქმედო გეგმა
BP	საბანკო პროცედურა
DP	იძულებით გადაადგილებული პირი
EA	შემსრულებელი უწყება
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი
ESIA	ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედების შეფასება
ESMF	ეკოლოგიური და სოციალური მართვის ჩარჩო
ESMP	ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმა
ESSU	გარემოს და სოციალური უსაფრთხოების განყოფილება
GEC	საჩივრების შემსწავლელი კომისია
GIZ	გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია
IFI	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები
IMA	დამოუკიდებელი მონიტორინგის სააგენტო
IPSA	პირველადი სიღარიბე და სოციალური დახმარება
LAR	მიწის შესყიდვა და განსახლება
LSG	ადგილობრივი თვითმმართველობა
MCC	ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია
MCG	ათასწლეულის გამოწვევა საქართველო
MDF	მუნიციპალური განვითარების ფონდი
MoESCS	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MoEPA	საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MLARO	მუნიციპალური მიწის შესყიდვის და განსახლების სამსახური
NAPR	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OD	ოპერაციული დირექტივა
OP	ოპერაციული პოლიტიკა
PAB	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი კომპანიები
PAP	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი
PIC	საჯარო ინფორმაციის ცენტრი
PRRC	საკუთრების უფლების აღიარების კომისია
RAP	განსახლების სამოქმედო გეგმა
ROW	აუცილებელი გზის უფლება
RPF	განსახლების პოლიტიკის ჩარჩო
WB	მსოფლიო ბანკი

განმარტებები

1. **ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი (ან შინამეურნეობა)** - ადამიანები (შინამეურნეობები), რომლებზეც გავლენას ახდენს პროექტთან დაკავშირებული ცვლილებები მიწის, წყლის ან სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენებაში. აღნიშნული მოიცავს მიწის, აქტივების და შემოსავლის მუდმივ ან დროებით დაკარგვას. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომელთაც პროექტის ფარგლებში ეკუთვნით კომპენსაცია ან რეაბილიტაცია მაინც არიან: ყველა პირი, რომელიც მუდმივად ან დროებით კარგავს მიწას ან მიწასთან წვდომას და აქვს საკუთრების უფლება ან ტრადიციული მიწათსარგებლობის უფლება ან სამართლებრივი სტატუსის გარეშეა; მოიჯარეები და მონახევრეები რეგისტრაციის მიუხედავად; ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი შენობების, სასოფლო - სამეურნეო კულტურების, მცენარეების ან მიწასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების მფლობელები; და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომელთაც დაკარგეს ბიზნესი, შემოსავალი და ხელფასი.

2. **ქონების ინვენტარიზაცია** - ყველა ქონების სრული რაოდენობა და აღწერილობა, რომელიც შეძენილი იქნება;

3. **კომპენსაცია** - ზარალის ანაზღაურება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირებისთვის; ფულადი ან ნატურით კომპენსაცია სათანადო თანხით, დაკარგული აქტივის (ქონების), რესურსების ან შემოსავლის სანაცვლოდ ;

4. **პირდაპირი გზის ზემოქმედება** - შემთხვევა, როცა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

5. **ეკონომიკური რეაბილიტაცია** - ეკონომიკური რეაბილიტაცია გულისხმობს ღონისძიებებს შემოსავლის აღსადგენად ან ეკონომიკური გაჯანსაღებისთვის იმგვარად, რომ ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობას შეუძლია უწინდელი ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესება ან აღდგენა მაინც;

6. **მოთხოვნებთან შესაბამისობა** - საკვალიფიკაციო კრიტერიუმები განსახლების პროგრამის ფარგლებში სარგებლის მისაღებად ;

7. **სახელმწიფოს უფლება იძულებით გასხვისებასთან დაკავშირებით** - სახელმწიფოს უფლება შეიძინოს მიწა თავისი სუვერენული ძალაუფლების გამოყენებით სახელმწიფო მიზნებისთვის. ეროვნული კანონმდებლობა ადგენს თუ რომელ სახელმწიფო უწყებებს აქვთ ამ უფლების გამოყენების პრეროგატივა ;

8. **ექსპროპრიაცია** - პროცესი, სადაც სახელმწიფო უწყება ჩვეულებრივ პირისგან, შინამეურნეობისგან ან თემისგან კომპენსაციის სანაცვლოდ მოითხოვს დაკავებულ ან სხვაგვარ სარგებლობაში არსებულ მიწაზე უფლების დათმობას;

9. **გასაჩივრების პროცედურები** - კანონით დადგენილი პროცესები, ადგილობრივი წესები ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, რომელიც საშუალებას აძლევს საკუთრების მფლობელებს და სხვა იძულებით გადაადგილებულ პირებს გაასაჩივრონ შესყიდვასთან, კომპენსაციასთან ან განსახლებასთან დაკავშირებული სხვა ასპექტები ;

10. **საწყისი საბაზისო კვლევა** - მოსახლეობის აღწერა, ქონების ინვენტარიზაცია და სოციალურ - ეკონომიკური კვლევა ერთად შეადგენს ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის საბაზისო კვლევას ;

11. **შემოსავლის აღდგენა** - ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის მიერ შემოსავლის წყაროების და საარსებო საშუალებების ხელახლა განსაზღვრა ;

12. **იძულებითი** - ნიშნავს ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება გატარებულ იქნეს იძულებით გადაადგილებული პირის ინფორმირებული თანხმობის ან ნებაყოფლობითი არჩევანის გარეშე ;

13. **იძულებით განსახლება** - განვითარების პროექტის შედეგი, რაც გამოიხატება განსახლებასთან დაკავშირებული გარდაუვალი დანაკარგებით, როდესაც ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს არ აქვთ სხვა ადგილზე ცხოვრების ხელახლა მოწყობის, შემოსავლის და/ ან აქტივების შექმნის გარდა სხვა არჩევანი ;

14. **მიწა** - მოიცავს ყველაფერს, რაც მუდმივად არის მიმაგრებული მიწაზე (მაგ. შენობები) ან იზრდება მასზე (მაგ. სასოფლო - სამეურნეო კულტურები) ;

15. **მიწის შეძენა** - მიწის შესყიდვის პროცესი, იძულებით გასხვისებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს უფლებიდან გამომდინარე სავალდებულო პროცედურებით.

16. **გზის ზემოქმედების ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთი** - შემთხვევა, როცა მხოლოდ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები არის საავტომობილო გზის რეაბილიტაციის ღონისძიებების ფიზიკური ზემოქმედების ქვეშ ;

17. **გზის ზემოქმედების ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლით** - შემთხვევა, როცა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები და ასევე საცხოვრებელი სახლები ექცევა საავტომობილო გზის რეაბილიტაციის ღონისძიებების ფიზიკური ზემოქმედების ქვეშ და მოითხოვს საცხოვრებელი სახლის დანგრევას ;

18. **გზის ზემოქმედების ქვეშ არსებული მიწის ნაკვეთი დამატებითი ნაგებობით** - შემთხვევა, როცა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, ისევე როგორც ნებისმიერი არასაცხოვრებელი და არაკომერციული ნაგებობა, ფიზიკურად ექცევა საავტომობილო გზის რეაბილიტაციის ღონისძიებების ზემოქმედების ქვეშ და შესაძლოა ასევე მოითხოვდეს საცხოვრებელი სახლის ნგრევას ;

19. **მოსახლეობის აღწერა** - მოსახლეობის სრული და ზუსტი დათვლა, რომელზეც გავლენას იქონიებს მიწის შესყიდვა და დაკავშირებული ზემოქმედებები. სათანადოდ განხორციელებისას მოსახლეობის აღწერა იძლევა ძირითად ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია კომპენსაციის მიღების უფლების განსასაზღვრად ;

20. **პროექტის ციკლი** - პროექტის განვითარების ციკლი იდენტიფიკაციის და პროექტის განხორციელების შესაძლებლობის შეფასების საწყისი ფაზიდან საბოლოო განხორციელებამდე. პროექტის განმახორციელებელი უწყების გადმოსახედიდან მოსახერხებელია პროექტის ციკლის შემდეგი ფაზებით წარმოდგენა: პროექტის განხორციელების შესაძლებლობის წინასწარი შეფასება, ტექნიკურ - ეკონომიკური დასაბუთება, პროექტის შემუშავება და შეფასება, პროექტის განხორციელება ;

21. **რეაბილიტაცია** - შემოსავლის, საარსებო წყაროების, ცხოვრების და სოციალური სისტემების ხელახლა შექმნა **;**

22. **ადგილმონაცვლეობა** - საცხოვრისის, აქტივების, მათ შორის, ნაყოფიერი მიწის, და სახელმწიფო ინფრასტრუქტურის შექმნა სხვა ადგილზე ;

23. **ჩანაცვლების ღირებულება** - დაკარგული აქტივების და შემოსავლის ჩანაცვლების ღირებულება ტრანზაქციების ღირებულების ჩათვლით ;

24. **განსახლება** - ტერმინი – ‘‘განსახლება’’ მსოფლიო ბანკის იძულებით განსახლების ოპერაციული პოლიტიკის დოკუმენტის 4.12 პუნქტი განიხილავს მიწის ნაკვეთის გასხვისებას და /ან შინამეურნეობის ფიზიკურ ადგილმონაცვლეობას (სხვა ადგილზე გადასვლას), რასაც ადგილი აქვს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ;

25. **განსახლებასთან დაკავშირებული გადახდა** - განსახლებასთან დაკავშირებით გადახდა კონკრეტულ შესაბამის კატეგორიასთან დაკავშირებით არის კომპენსაციის და სხვა დახმარებების ჯამი, რომელიც ეძლევათ იძულებით გადაადგილებულ პირებს შესაბამის საკვალიფიკაციო კატეგორიაში ;

26. **განსახლების შედეგები** - ფიზიკური და არაფიზიკური აქტივების დაკარგვა სახლის, თემის, ნაყოფიერი მიწის, შემოსავლიანი აქტივების და წყაროების,

საარსებო საშუალებების, რესურსების, კულტურული ტერიტორიების, სოციალური სტრუქტურების, ქსელების და კავშირების, კულტურული იდენტობის და ორმხრივი დახმარების მექანიზმების ჩათვლით.

27. **განსახლების გეგმა** - დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა ბიუჯეტით, რომელიც განსაზღვრავს განსახლების სტრატეგიას, ამოცანებს, გადახდებს, ღონისძიებებს, პასუხისმგებლობებს, მონიტორინგს და შეფასებას. ***განსახლების (სამოქმედო) გეგმა*** - განსახლების სამოქმედო გეგმა [განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP)] არის დაგეგმვის დოკუმენტი, რომელიც აღწერს თუ რა გაკეთდება მიწის იძულებით დათმობასთან დაკავშირებულ პირდაპირ სოციალურ და ეკონომიკურ ზემოქმედებაზე რეაგირების მიზნით ;

28. **განსახლების სტრატეგია (რეაბილიტაციის სტრატეგია)** - მიდგომები, რომლებიც გამოიყენება ადამიანების დასახმარებლად მათ ძალისხმევაში გააუმჯობესონ (ან აღადგინონ მაინც) თავიანთი შემოსავალი, საარსებო საშუალებები, და ცხოვრების სტანდარტები რეალურად განსახლების შემდეგ. განსახლების სტრატეგია ტიპურად შედგება ჩანაცვლების ღირებულების ტოლი კომპენსაციის გადახდისგან, გადაადგილების მხარდაჭერის ღონისძიებებისგან, ახალ ადგილზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადაადგილებისგან, ალტერნატიული შემოსავლის მომტანი აქტივების მიწოდებისგან და შემოსავლის მომტანი აქტივების შემოსავლის ნაკადად გარდაქმნაში დახმარებისგან ;

29. **სოციალურ - ეკონომიკური კვლევა (SES)** - პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის სრული და ზუსტი კვლევა. კვლევა ფოკუსირებულია შემოსავლის მომტან ღონისძიებებზე და სხვა სოციალურ - ეკონომიკურ ინდიკატორებზე ;

30. **დაინტერესებული მხარეები** - ფართო ტერმინია, რომელიც მოიცავს ყველა მხარეს ვისზეც გავლენას ახდენს პროექტი ან ვინც პროექტით ან კონკრეტული საკითხით დაინტერესებულია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა მხარე, ვისაც აქვს ინტერესი კონკრეტულ საკითხში ან ინიციატივაში. უმთავრესი დაინტერესებული მხარეები არიან ისინი, ვისზეც ადგილი აქვს ყველაზე ძლიერ ზემოქმედებას - განსახლების სიტუაციებში, მოსახლეობა, რომელიც კარგავს ქონებას ან შემოსავალს პროექტის გამო და მასპინძელი თემი. სხვა ადამიანები, ვისაც ინტერესი აქვს პროექტში (მაგ. თვითონ პროექტის განმახორციელებელი უწყება), პროექტის ბენეფიციარები (მაგ. ურბანული მომხმარებლები ჰიდროელექტროსადგურის პროექტისთვის) და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები მეორად დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ ;

31. **ჯგუფის მენეჯერი ან გუნდის ლიდერი** - ბანკის ტერმინოლოგიით, ბანკის მხარდაჭერის მქონე, პროექტზე ან საქმიანობაზე პასუხისმგებელი ოფიცერი.
32. **მომხმარებელი** - ფიზიკური პირი, რომელიც არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში მფლობელად ან არ ფლობს მიწათსარგებლობის უფლებას ;

33. **უზუფრუქტი** - სხვა პირის, ან პირთა ჯგუფის საკუთრებაში არსებული მიწით სარგებლობის ან ასეთი მიწით მოგების მიღების უფლება, მაგრამ მესაკუთრისგან განსხვავებით, ასეთ პირს არ ექნება მიწის ნაკვეთის გასხვისების, დაგირავების ან გაჩუქების უფლება ;

34. **მოწყვლადი ჯგუფები - მოწყვლადი ადამიანები** – პროექტის ზემოქმედების ქვეშ, განსაკურებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანები, ოჯახები მარტოხელა მშობლით, ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირები.

I. პროექტის ამოცანა და მოსალოდნელი ზემოქმედება

1.1. პროექტის განვითარებითი ამოცანა

პროექტის განვითარებითი ამოცანები არის შემდეგი: (i) სკოლამდელ განათლებასთან წვდომის გაფართოებით; (ii) ზოგადი განათლების სისტემაში ხარისხისa და სწავლების კულტურის გაუმჯობესება

შედეგის ინდიკატორებს შორისაა:

- სასკოლო მზადყოფნის პროგრამაში (სკოლამდელი დონე) ჩარიცხული 5 – 6 წლის ბავშვების პროცენტული წილი 5-6 წლის ასაკის გოგონების პროცენტული წილის ჩათვლით;
- იმ მოსწავლეების რაოდენობა, რომლებსაც ხელი მიუწვდებათ სწავლის გაუმჯობესებულ გარემოზე საპროექტო სკოლებში;
- მოსწავლეების სწავლის შედეგები კომპეტენციებზე დამყარებულ შეფასებებში ზოგადი განათლების საპროექტო სკოლებში (გაზომილი საბაზისო და საბოლოო მონაცემების მიხედვით);

1.2. პროექტის შემუშავება

I^2Q პროექტი შედგება ხუთი კომპონენტისგან, რომელთა მოკლე აღწერა ქვევით არის წარმოდგენილი აქცენტით სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე და პროექტის ადმინისტრირების მხარდაჭერაზე.

- **1 -ლი კომპონენტი – ადრეული განათლების და ზრუნვის ხარისხის და მათთან წვდომის გაუმჯობესება (16,890,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი)**

ამ კომპონენტის ამოცანაა შერჩეულ სკოლებში ხარისხიან სკოლამდელ განათლებასთან წვდომის გაფართოების ხელშეწყობა და მოიცავს შემდეგს:

ქვე-კომპონენტი 1.1 – სკოლამდელ განათლებასთან თანაბარი წვდომის ზრდა

5-6 წლის ასკი ბავშვებისთვის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა სკოლაში სწავლების საფეხურზე წარმატებული გადასვლისთვის

ქვე-კომპონენტი 1.2 – ქვეყნის მასშტაბით სკოლამდელი განათლების პროგრამების ხარისხის და სტანდარტიზაციის გაუმჯობესება

- **მე -2 კომპონენტი – ზოგადი განათლების სისტემაში სწავლების და სწავლის ხარისხის ამაღლება (63, 100,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი)**

ამ კომპონენტის ამოცანაა სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, რომელიც ხელს შეუწყობს ხარისხიან განათლებას შერჩეულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

ქვე-კომპონენტი 2.1 – სასწავლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ქვე-კომპონენტი 2.2 – მთლიანი სკოლის გაუმჯობესების საპილოტე სისტემის სკალირების ხელშეწყობა;

ქვე-კომპონენტი 2.3 მასწავლებლების და სკოლის ხელმძღვანელების შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა სკოლაზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამის ადაპტაციის, შემუშავების და განხორციელების მხარდაჭერა;

ქვე-კომპონენტი 2.4– დახმარება ეროვნული შეფასების ჩარჩოს შემუშავებაში

- ***მე -3 კომპონენტი – უმაღლესი განათლების სფეროში დაფინანსების ვარიანტების და ინტერნალიზაციის მხრადაჭერა (14,060,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი)***

ამ კომპონენტის ამოცანაა უმაღლესი განათლების ხარისხის და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ქვე-კომპონენტი 3.1 – ახალი ვარიანტების შემუშავება უმაღლესი განათლების დაფინანსებისთვის, მათ შორის შესრულებაზე დაფუძნებული ვარიანტები მსესხებლის სტრატეგიული მიზნების მხარდასაჭერად;

ქვე-კომპონენტი 3.2 – კონკურენტუნარიანი ინოვაციების ფონდის დაფუძნება კერძო და საჯარო უნივერსიტეტებისთვის;

ქვე-კომპონენტი 3.3 - უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზება საერთაშორისო სტუდენტების რიცხვის გასაზრდელად;

ქვე-კომპონენტი 3.4- პრე-სკოლის მასწავლებლების სწავლების პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება ყველა დონის პროფესიონალებისთვის მიღებიდან.

- ***მე -4 კომპონენტი – სისტემის გაძლიერება და დაინტერესებული მხარეების კომუნიკაცია (2,470,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი)***

ამ კომპონენტის ამოცანაა სწავლისადმი დამოკიდებულების ცვლილება და მოიცავს შემდეგს:

ქვე-კომპონენტი 4.1 *–მონაცემებზე დამყარებული გადაწყვეტილებების მიღების მხარდაჭერა მთლიანი განათლების სისტემის ხელმისაწვდომობისთვის;*

ქვე-კომპონენტი 4.2 *– მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმაზე კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავების მხარდასაჭერად კომუნიკაციისა და დაინტერესებული მხარეების კონსულტაციები საგანმანათლებლო რეფორმისთვის;*

- ***მე -5 კომპონენტი – პროექტის მართვის, მონიტორინგის და შეფასების მხარდაჭერა. (3,730,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი)***

  ქვე-კომპონენტი 5.1 *- პროექტის ეფექტური მართვის შესაძლებლობების გაძლიერების მხარდაჭერა მათ შორის პროექტის მართვის სამსახურის მხარდაჭერა პროექტის ყოველდღიური მართვასა და მონიტორინგში ხელშეწყობა, მათ შორის საოპერაციო ხარჯები, ტრენინგი, საკონსულტაციო მომსახურება, M & E და პროექტის აუდიტი.*
  ქვე-კომპონენტი 5.2. *მუნიციპალური განვითარების ფონდის მხარდაჭერა ადეკვატური შესაძლებლობების უზრუნველყოფა საოპერაციო ხარჯების მიწოდების გზით*

ამ კომპონენტის ამოცანაა I2Q პროექტის ყოველდღიური მართვის და მონიტორინგის მხარდაჭერა პროექტის მართვის დანაყოფის (PMU) შექმნის და ტექნიკური მომსახურების საშუალებით ეკონომიკის სამინისტროში და მუნიციპალური განვითარების ფონდში ისევე, როგორც ფონდის შესაძლებლობების გაძლიერება და მისი ოპერაციული ხარჯების დაფარვა I2Q პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით. პროექტის მართვის დანაყოფი (PMU) კოორდინაციას უწევს ტექნიკურ დახმარებას და საქონლის მიწოდებას I2Q პროექტის ფარგლებში, ასევე ფონდთან ერთად ის მართავს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის გამოყენებას პროექტის ყველა კომპონენტისთვის მისი ციკლის განმავლობაში. კომპონენტი დააფინანსებს პროექტის მართვის დანაყოფის (PMU) და ფონდის თანამშრომლების ხელფასებს, მათ ტრენინგს და ოპერაციულ ხარჯებს. ის უზრუნველყოფს მიზნობრივ ტექნიკურ დახმარებას ბანკისთვის სპეციფიკური შესყიდვის პროცესებთან დაკავშირებით. ამ კომპონენტიდან

გამომდინარე დახმარება გაწეული იქნება პროექტის მხარდაჭერის ღონისძიებების შეფასებისა და მონიტორინგისთვის.

1.3. პროექტის ღირებულება

საქართველოს მთავრობამ I2Q პროექტისთვის მსოფლიო ბანკისგან მოითხოვა 100.5 მლნ. საქართველოს განათლების სამინსიტრო და მუნიციპალური განვითარების ფონდი რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად (MoRDI) წარმოადგენენ I2Q პროექტის განმახორციელებელ სუბიექტებს.

1.4. პროექტის მოსალოდნელი ზემოქმედება

პროექტი განხორციელდება ქვეყნის მასშტაბით. სკოლამდელი დაწესებულებების და სკოლების მშენებლობა და/ ან რეაბილიტაცია შეიძლება განხორციელდეს პროექტის ფარგლებში საქართველოს ცხრა რეგიონიდან ნებისმიერში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩათვლით) და 76 მუნიციპალიტეტში[1]. მეთოდოლოგია სკოლების და სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციისთვის, და ახალი სკოლების მშენებლობისთვის მუნიციპალიტეტების შესარჩევად შემუშავების პროცესშია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ათასწლეულის გამოწვევასთან თანამშრომლობით. სამიზნე სკოლების შერჩევა პროექტის ფარგლებში განხილული და შეთანხმებული იქნება მსოფლიო ბანკთან სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

ქვევით წარმოდგენილ ცხრილში შეჯამებულია განსახლების შესაძლო ზემოქმედების ალბათობა და მასშტაბი, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს პროექტიდან გამომდინარე, ასეთი ზემოქმედების ალბათობა და ასევე განსახორციელებელი ღონისძიებები.

ცხრილი 1. განსახლების მოსალოდნელი ზემოქმედება პროექტიდან გამომდინარე

განსახლების სიტუაციური სცენარები	ალბათობა	სტატუსი / ქმედება
დროებითი ზემოქმედება კერძო მიწის ხილულ ხარისხზე; შეფერხება სამშენებლო სამუშაოების განმავლობაში შემოსავლის ან ქონების ნებისმიერი დანაკარგის გარეშე	ზომიერი	დაშვებული / ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) ფარგლებში
დროებითი შეფერხება, რაც უკავშირდება შემოსავლის დაკარგვას (შემოსავლის დროებითი დაკარგვა მცირე ბიზნესისთვის, რომელიც ეწევა კომერციულ საქმიანობას (სასკოლო კაფე, კლუბი, სპორტი, თანამშრომელთა ხელფასები და ა.შ.))	ზომიერი	დაშვებული / განარტივებული განსახლების სამოქმედო გეგმა, ზარალის ანაზღაურება
მიწის ჩამორთმევა; (ზემოქმედების ქვეშ მყოფი 10 -ზე ნაკლები შინამეურნეობა) კერძო მიწის ნაკვეთის გარკვეული	დაბალი	დაშვებული / განსახლების სამოქმედო გეგმა, ზარალის ანაზღაურება

[1] მუნიციპალიტეტებში შედის 12 თვითმმართველი ქალაქი და 64 თემი

ნაწილის შეძენა დაკავშირებული აქტივების დაკარგვით ან დაკარგვის გარეშე; არაოფიციალური მოსახლეების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო მიწით სარგებლობის ცვლილება		
დროებითი ზემოქმედება კერძო მიწაზე. პროდუქტიული აქტივების დაკარგვა (ხეები; დამხმარე შენობები); დროებითი პრობლემა, რომელიც უკავშირდება შემოსავლის დაკარგვას (შემოსავლის დროებითი დაკარგვა მცირე ბიზნესისთვის სკოლის გარეთ, მაგალითად მოვაჭრეებისთვის სკოლის ახლოს მიმდებარე ტერიტორიაზე ან სკოლასთან დაკავშირებული მოვაჭრეებისთვის)	დაბალი	დაშვებული / დახმარება და/ ან განსახლების სამოქმედო გეგმა, ზარალის ანაზღაურება
მიწის ჩამორთმევა; (ზემოქმედების ქვეშ მყოფი 10 -ზე მეტი შინამეურნეობა) კერძო მიწის ნაკვეთის გარკვეული ნაწილის შეძენა დაკავშირებული აქტივების დაკარგვით ან დაკარგვის გარეშე; არაოფიციალური მოსახლეების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო მიწით სარგებლობის ცვლილება	ძალიან დაბალი	დაშვებული / განსახლების სამოქმედო გეგმა, ზარალის ანაზღაურება
სტრუქტურული ნგრევა რასაც შედეგად მოჰყვება შინამეურნეობის ან ბიზნესის ფიზიკური ადგილმონაცვლეობა	ძალიან დაბალი	დაშვებული / განსახლების სამოქმედო გეგმა, ზარალის ანაზღაურება
საარსებო საშუალებების დაკარგვა და შემოსავლის შემცირება (ზემოქმედების ქვეშ მყოფი 10 -ზე ნაკლები შინამეურნეობა)	დაბალი	დაშვებული / განსახლების სამოქმედო გეგმა (რომელიც შეიცავს საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმას საჭიროების შემთხვევაში) , ზარალის ანაზღაურება
საარსებო საშუალებების დაკარგვა ან შემოსავლის შემცირება (ზემოქმედების ქვეშ მყოფი 10 -ზე მეტი შინამეურნეობა)	ძალიან დაბალი	დაშვებული / განსახლების სამოქმედო გეგმა (რომელიც შეიცავს საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმას საჭიროების შემთხვევაში) , ზარალის ანაზღაურება
წვდომის შეზღუდვა მიწასთან ან ბუნებრივ რესურსებთან არაოფიციალური მომხმარებლების ჩათვლით	დაბალი	დაშვებული / განსახლების სამოქმედო გეგმა, ზარალის ანაზღაურება

მოსალოდნელია, რომ ყველა სარეაბილიტაციო საქმიანობა განხორციელდება საჯარო მფლობელობაში არსებული შენობების და ტერიტორიების ფარგლებში, როგორებიცაა სკოლამდელი განათლების დაწესებულებები ადგილობრივი თვითმმართველობების მფლობელობაში ან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მფლობელობაში. ასევე მოსალოდნელია ახალი მშენებლობა სახელწმიფოს საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომელიც გამოყოფილია ამ მიზნით და არის ან განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ან შესაბამისი მუნიციპალიტეტის მფლობელობაში ან გადაცემულია მათთვის. სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით არ არის მოსალოდნელი მიწის მუდმივი შესყიდვით გამოწვეული ზემოქმედება.

ადგილმონაცვლეობით გამოწვეული ზემოქმედება თავიდან იქნება აცილებული ან შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე დაყვანილი.

რამდენადაც სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ზუსტი ადგილმდებარეობა პროექტის ფარგლებში ცნობილი არ არის, პროექტის შეფასების დროს წინამდებარე განსახლების პოლიტიკის ჩარჩო მსოფლიო ბანკის BP/OP 4.12 -ის შესაბამისად განსაზღვრავს პრინციპებს და პროცედურებს, რომლებიც მართავს ნებისმიერ განსახლებას და მიწის შესყიდვის ღონისძიებებს, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს პროექტთან დაკავშირებით. ჩარჩო განსაზღვრავს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების კატეგორიებს და მათთვის შესაბამის გადასახდელ თანხებს და აღწერს ანალიტიკურ სამუშაოს და დოკუმენტებს, რომლებიც უნდა მომზადდეს განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებამდე, განხორციელების განმავლობაში და განხორციელების შემდეგ.

მიწის შესყიდვასთან უშუალოდ დაკავშირებულ საკითხებთან ერთად განსახლების პოლიტიკის ჩარჩო ასევე მოიცავს სახელმწიფო მიწის არაფორმალური გამოყენების და რესურსებთან წვდომის შეზღუდვის საკითხებს.

II. ადმინისტრაციული და სამართლებრივი ჩარჩო

2.1. ინსტიტუციური პასუხისმგებლობები

სოციალური და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების, იდენტიფიცირების, შერბილებისა და კომპენსაციის გაცემის პასუხისმგებლობა იქნება გაზიარებული ორ უწყებას შორის - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მოახდენს სკრინინგს და განახორციელებს ადგილმონაცვლეობასა და განთავსებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს რათა შეარბილოს ნებისმიერი ზეგავლენა დაკავშირებული სკოლის ოპერირებასთან და რაც არის უშუალოდ სამინისტროს კომპეტენცია და მანდატი. აღნიშული გავლენა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მასწავლებლების, სტუდენტების და სკოლის პერსონალის სხვა შენობაში განთავსებასა და ტრანსპორტირებას, მასწავლებლებისა და სხვა პერსონალის ხელფასების უწყვეტი გადახდას, სკოლასთან დაკავშირებული საქმიანობების: სპორტი, კლუბები, კაფეტერია უწყვეტი ოპერირებას და ა.შ. კონტრაქტუალური ვალდებულების შესასრულებლად მოვაჭრეები უნდა იყვნენ მუდმივად ინფორმირებული პროექტთან დაკავშირებული საქმიანობების შესახებ. შემარბილებელი ღონისძიებები, რომელიც აღწერილია ზევით არ საჭიროებს განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებას, თუმცა ჩაწერილი და აღწერილი იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაში. კერძო ბიზნესზე,

შემოსავალზე ან სხვა საარსებო წყაროზე ზეგავლენის შემთხვევაში, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სკოლის ოპერირებას, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო იქნება პასუხისმგებელი განსახლების სამოქმედო გეგმის/ გამარტივებული განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებაზე და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისთვის კომპენსაციის გაცემაზე განსახლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იდენტიფიცირებას მოახდენს და შეიმუშავებს განსახლების შემარბილებელ ღონისძიებებს სკოლის ოპერირების გარეთ სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედების შემთხვევაში, რომელიც ცდება სამინისტროს კომპეტენციას. ეს ზემოქმედება შესაძლოა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, მუდმივი ან დროებითი მიწის თუ ქონების (როგორიცაა ხეები, ღობეები, დამხმარე ნაგებობები) დაკარგვით, იმ დაინტერესებული მხარეების შემოსავლის ან/და შემოსავლის წყაროს დაკარგვით, რომელიც არ წარმოადგენს სკოლის პერსონალს (მაგალითად სკოლასთან სიახლოვეს განთავსებული მოვაჭრეები), კერძო საკუთრების ან შემოსავლის დროებითი ზიანის მიყენებით. იმ შემთხვევაში თუ მსგავს ზემოქმედებას ჰქონდა ადგილი, მგფ იქნება პასუხისმგებელი მოამზადოს განსახლების სამოქმედო გეგმა/ გამარტივებული განსახლების სამოქმედო გეგმა და გასცეს გეგმით გათვალისწინებული კომპენსაციები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისთვის.

მუნიციპალური განვითარების ფონდს და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროექტის შემუშავებაში, მშენებლობასა და ოპერირებაში დახმარებას უწევს ბევრი სახელმწიფო უწყება და კერძო ორგანიზაცია. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (NAPR) პასუხისმგებელია ადგილობრივ ადმინისტრაციულ ერთეულში/ მუნიციპალიტეტში კანონიერი მფლობელების საკუთრების უფლების აღიარებაზე, საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე სოფლის მოსახლეობისგან, ნოტარიუსისგან, საკუთრების უფლების აღიარების კომისიისგან მოპოვებული ინფორმაციის გადამოწმების და დამოწმების საფუძველზე. ადგილობრივი/ რაიონული სჯარო რეესტრის ფილიალი ასევე პასუხისმგებელია მიწის მფლობელებისგან შეძენილი მიწის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთვის (ACHP) გადაცემის რეგისტრაციაზე. ადგილობრივი მთავრობები რაიონის და სოფლის დონეზე ჩართულნი არიან მიწის ნაკვეთების დაკანონებაში, მიწის შესყიდვასა და განსახლებაში. საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MoEPA) პასუხისმგებელია გარემოს დაცვის საკითხებზე.

საკრებულო, გამგეობა, საკუთრების უფლების აღიარების კომისიების სარეგისტრაციო ოფისები თითოეულ მუნიციპალიტეტში და თემში მონაწილეობას მიიღებს განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. ადგილობრივი საკრებულოები და

მერიის წარმომადგენლები კონკრეტულ სოფლებში ჩართულნი იქნებიან ადგილობრივ დონეზე მიწის შესყიდვაში და განსახლების (LAR) ღონისძიებებში.

მსოფლიო ბანკი (WB) დააფინანსებს პროექტს და რეკომენდაციებს მიაწვდის და ზედამხედველობას გაუწევს შესყიდვასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების ღონისძიებებს .

2.1.1. მიწის სარეგისტრაციო ორგანიზაციები

ქვევით აღწერილია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების დაკანონების პროცესში სხვადასხვა დონეებზე ჩართული სახელმწიფო უწყებები..

<u>რწმუნებული და გამგეობა სოფლის (თემის) დონეზე</u>

თემის დონეზე მოქმედი გამგეობა წარმოადგენს თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს, რომელსაც რწმუნებული ხელმძღვანელობს. რწმუნებულს აკისრია ძირითადი როლი მიწის ნაკვეთების დაკანონების და რეგისტრაციის პროცესში. ის ადასტურებს მფლობელობას ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ მიწის ნაკვეთებზე, მიწის ნაკვეთის პარამეტრებს და ამტკიცებს საკადასტრო რუკებს და დაკავშირებულ მონაცემებს, რომლებიც მომზადებულია დაკანონების შემთხვევებში[2]. მერი მნიშვნელოვან როლს ასრულებს არამართლზომიერი მფლობელობის დაკანონებაში (მესაკუთრეები რომლებიც ფლობდნენ მიწას პრივატიზაციის შესახებ საქართველოს მოქმედი კანონის ძალაში შესვლამდე, მთავრობის მხრიდან წინასწარი ნებართვის გარეშე). გამგეობას აქვს უფლება განახორციელოს დაკავებული მიწის ნაკვეთის დეტალების ავტორიზაცია[3] და გადაამოწმოს მისი გამოყენების შაბლონი, როგორც თავდაპირველი ვერიფიკაცია და ავტორიზაცია შემდგომი გათვალისწინებისთვის ქონებრივი უფლებების რეგისტრაციის (PRRC) კომისიაში (როგორც ძირითადი ნაბიჯი საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთვის). განმცხადებლების მეზობლებს გარკვეული როლი აკისრიათ დაკანონების პროცესში. რწმუნებული ჩართული იქნება განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებაში.

<u>საკრებულო</u>

საკრებულო არის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი შტო რაიონის და სოფლის დონეზე. სოფლის / რაიონის დონეზე საკრებულოს შედარებით ნაკლები როლი აქვს მიწის

---

[2] მფლობელები თავიანთი დაურეგისტრირებელი მიწის დასაკანონებლად ჩვეულებრივ პროცედურაში იყენებენ კერძო კარტოგრაფიულ სააგენტოებს და ექსპერტებს მიწის ნაკვეთის დეტალების მოსამზადებლად (რუკები და ნაკვეთის პარამეტრები). ამ პროექტის შემთხვევაში კონსულტანტები მონაწილეობდნენ საბაზისო დოკუმენტების, მაგალითად რუკების და ნაკვეთების დეტალების მომზადებაში.

[3] ეს არ არის სავალდებულო, მაგრამ ერთ-ერთი შესაძლო პროცედურაა არამართლზომიერი მფლობელების ლეგალიზაციისთვის. ნოტარიუსის მიერ დამოწმებული „მოწმეების“ ხელმოწერა ასევე სამართლებრივად მისაღებია მიწის ნაკვეთის არამართლზომიერი მფლობელობის დასადასტურებლად.

ნაკვეთების დაკანონების პროცესში. თუმცა, რაიონის საკრებულო დახმარებას უწევს საკუთრების უფლების აღიარების კომისიას არაუფლებამოსილი მფლობელების განცხადების ავტორიზაციის პროცესში.

საკუთრების უფლების აღიარების კომისია

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობამ შექმნა საკუთრების უფლების აღიარების კომისია რაიონის დონეზე არამართლზომიერი მფლობელების საკუთრების უფლების საღიარებლად რეგისტრაციისთვის. საკუთრების უფლების აღიარების კომისია ახდენს მხოლოდ ზემოქმედების ქვეშ მყოფი იმ პირების განცხადების ავტორიზაციას, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი მაგრამ აქვთ საკარმიდამო მიწა ან სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ტერიტორიის მიმდებარედ (“მიწის არამართლზომიერი მფლობელი”, განსაზღვრება საქართველოს საკანონმდებლო აქტების შესაბამისად).

რაიონის სარეგისტრაციო ოფისი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია მიწაზე საკუთრების რეგისტრაციაზე და მის გადაცემაზე ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებით მიწის მფლობელისგან GSE -ზე. რაიონის არქივები ახლა გადაცემულია საჯარო რეესტრის რაიონული სარეგისტრაციო ოფისებისთვის. რაიონული არქივი გამოიყენება მფლობელობის დოკუმენტის და კანონიერ მესაკუთრედ რეგისტრაციის მსურველი პირების მიწის ფიზიკური საკუთრების მართლზომიერების ჯვარედინი გადამოწმებისთვის იმ შემთხვევაში, თუ მფლობელს არ აქვს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მიმდებარე მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, ან თუ არსებობს რაიმე ეჭვი მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით.

საჯარო რეესტრის რაიონული სარეგისტრაციო ოფისი არის რაიონული დონის ორგანო აპლიკანტების მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის განსახორციელებლად სააპლიკაციო დოკუმენტების პაკეტის საფუძველზე, რომელიც მოწოდებულია მართლზომიერი მფლობელების (ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომლებსაც აქვთ მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები, მაგრამ საკუთრების უფლება ფორმალიზებული არ არის) ან არამართლზომიერი მფლობელების მიერ შესაბამისი სერტიფიკატის მიღების შემდეგ საკუთრების უფლების რეგისტრაციის კომისიისგან სიტუაციიდან გამომდინარე. მფლობელები წარადგენენ როგორც ელექტრონულ ისე დაბეჭდილ ასლს, ნაკვეთის რუკების გეომეტრიული დეტალებით, რაიონულ და ცენტრალურ საჯარო რეესტრში გასაფორმებლად.

2.1.2 ადგილმონაცვლეობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები

სოციალური და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების, იდენტიფიცირების, შერბილებისა და კომპენსაციის გაცემის პასუხისმგებლობა იქნება გაზიარებული ორ უწყებას შორის - განათლების სამინისტროსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მოახდენს სკრინინგს და განახორციელებს ადგილმონაცვლეობასა და განთავსებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს რათა შეარბილოს ნებისმიერი ზეგავლენა დაკავშირებული სკოლის ოპერირებასთან და რაც არის უშუალოდ სამინისტროს კომპეტენცია და მანდატი. აღნიშული გავლენა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მასწავლებლების, სტუდენტების და სკოლის პერსონალის სხვა შენობაში განთავსებასა და ტრანსპორტირებას, მასწავლებლებისა და სხვა პერსონალის ხელფასების უწყვეტი გადახდას, სკოლასთან დაკავშირებული საქმიანობების: სპორტი, კლუბები, კაფეტერია უწყვეტი ოპერირებას და ა.შ. კონტრაქტუალური ვალდებულების შესასრულებლად მოვაჭრეები უნდა იყვნენ მუდმივად ინფორმირებული პროექტთან დაკავშირებული საქმიანობების შესახებ. შემარბილებელი ღონისძიებები, რომელიც აღწერილია ზევით არ საჭიროებს განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებას, თუმცა ჩაწერილი და აღწერილი იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაში. კერძო ბიზნესზე, შემოსავალზე ან სხვა საარსებო წყაროზე ზეგავლენის შემთხვევაში, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სკოლის ოპერირებას, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო იქნება პასუხისმგებელი განსახლების სამოქმედო გეგმის/ გამარტივებული განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებაზე და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისთვის კომპენსაციის გაცემაზე განსახლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იდენტიფიცირებას მოახდენს და შეიმუშავებს განსახლების შემარბილებელ ღონისძიებებს სკოლის ოპერირების გარეთ სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედების შემთხვევაში, რომელიც ცდება სამინისტროს კომპეტენციას. ეს ზემოქმედება შესაძლოა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, მუდმივი ან დროებითი მიწის თუ ქონების (როგორიცაა ხეები, ღობეები, დამხმარე ნაგებობები) დაკარგვით, იმ დაინტერესებული მხარეების შემოსავლის ან/და შემოსავლის წყაროს დაკარგვით, რომელიც არ წარმოადგენს სკოლის პერსონალს (მაგალითად სკოლასთან სიახლოვეს განთავსებული მოვაჭრეები), კერძო საკუთრების ან შემოსავლის დროებითი ზიანის მიყენებით. იმ შემთხვევაში თუ მსგავს ზემოქმედებას ჰქონდა ადგილი, მგფ იქნება პასუხისმგებელი მოამზადოს განსახლების სამოქმედო გეგმა/ გამარტივებული განსახლების სამოქმედო გეგმა და გასცეს გეგმით გათვალისწინებული კომპენსაციები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისთვის.

თუ საჭიროა განსახლების სამოქმედო გეგმის/ შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება, განმახორციელებელი უწყებები უზრუნველყოფენ, რომ დამოუკიდებელი კონსულტანტი/ კომპანია განსახლების სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად ჩართული იყოს ნებისმიერი კვლევის და დოკუმენტაციის, მათ შორის, საკადასტრო კვლევის, ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების აღწერის, დანაკარგების აღრიცხვის და ჩანაცვლებითი ღირებულებით მიწის და აქტივების შეფასების მომზადებაში. განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადდება კვლევების მიგნებების საფუძველზე თითოეული ქვეპროექტისთვის დასკვნითი დეტალური საინჟინრო პროექტის შემდეგ. ამასთან ერთად, განმახორციელებელი უწყებები უზრუნველყოფენ ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან სათანადო კონსულტაციების ორგანიზებას, უსაფრთხოების ყველა აუცილებელ მექანიზმთან დაკავშირებით და სხვა ღონისძიებებს 4.12 ოპერაციული პროცედურის შესაბამისად, ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ინფორმირების ჩათვლით, საჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით, რომელიც აღწერილია განსახლების პოლიტიკის ამ ჩარჩოში.

2.1.3. სხვა ორგანიზაციები და უწყებები

სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი

კონტრაქტორი სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად შერჩეულ უნდა იქნეს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. ის პასუხისმგებელი იქნება სამშენებლო საქმიანობიდან გამომდინარე ზემოქმედების შერბილებაზე ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) შესაბამისად. სამშენებლო ღონისძიებების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს უშუალოდ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმასთან (ESMP) შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სასამართლო

საქართველოს სასამართლო უნდა იყოს იმ პრობლემების და წუხილების გადაწყვეტის ბოლო ინსტანცია, რომლებიც უკავშირდება განსახლების სამოქმედო გეგმის ასპექტების განხორციელებას საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს თანხმობა განმახორციელებელ უწყებებსა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს შორის კერძო საკუთრების შეძენასთან დაკავშირებით, მუნიციპალური განვითარების ფონდი, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ექსპროპრიაციის უფლებამოსილების ფარგლებში, სასამართლოს წარუდგენს ექსპროპრიაციის მოთხოვნას. ამ მოთხოვნის დამტკიცებისთანავე და მომდევნო პროცედურების შემდეგ, მუნიციპალური განვითარების ფონდი დაისაკუთრებს აღნიშნულ ქონებას სასამართლოს მიერ მისთვის ექსპროპრიატორის უფლების მინიჭების შემდეგ. ასევე, იმ შემთხვევებში, სადაც საჩივრები და პრეტენზიები განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან და კომპენსაციასთან დაკავშირებით არ წყდება სხვადასხვა დონეებზე, საჩივრებზე რეაგირების შეთანხმებული მექანიზმის შესაბამისად, პროექტის ზემოქმედების ქვეშ

მყოფ პირებს აქვთ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად: „ სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“ [4].

ფინანსთა სამინისტრო

ბიუჯეტი განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) განსახორციელებლად გამოყოფილი იქნება ფინანსთა სამინისტროს მიერ მისი ოფიციალური დამტკიცების შემდეგ. ბიუჯეტი განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) განსახორციელებლად შესაბამისად იქნება გამოყოფილი.

იუსტიციის სამინისტრო

იუსტიციის სამინისტრო პასუხისმგებელია მიწის მფლობელობის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კი პასუხისმგებელია მიწის მფლობელობის რეგისტრაციაზე და მიწის მფლობელებისგან მის გადაცემაზე ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულების საშუალებით.

დონორი, მსოფლიო ბანკი

პროექტის რეგულარულ ზედამხედველობასთან ერთად, მსოფლიო ბანკი განიხილავს ეკოლოგიური და სოციალური უსაფრთხოების დოკუმენტებს (ეკოლოგიური და სოციალური მართვის გეგმა (ESMPs), განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP)), ამტკიცებს მათ საჯარო გამოქვეყნებისა და კონსულტაციისთვის, იძლევა ნებართვას ხელშეკრულების ხელმოწერასთან და სამოქალაქო სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) ღონისძიებების დამაკმაყოფილებელი შესრულების საფუძველზე.

2.1.4. შესაძლებლობების განვითარება მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებით (LAR)

პროექტის ფარგლებში ტრენინგი ჩატარდება შემდეგ თემებთან დაკავშირებით:

(i) მიწის შესყიდვის პრინციპები და პროცედურები (მსოფლიო ბანკი და საქართველოს მთავრობა) მსოფლიო ბანკის ეკოლოგიური და სოციალური ახალი ჩარჩოს ძირითადი ელემენტების ჩათვლით ;

(ii) პროექტის დაინტერესებული მხარეები;

[4] “საქართველოს კონსტიტუცია” 82 -ე მუხლი, მე -2 პუნქტი

(iii) მიწის შესყიდვის პროცესში და განსახლებაში ჩართული დაინტერესებული მხარეები და მათი როლები;
(iv) საჯარო კონსულტაციები და მონაწილეობა პროცესში;
(v) გადახდის, კომპენსაციის და განაწილების მექანიზმები;
(vi) საჩივრებზე რეაგირება; და
(vii) განსახლების ოპერაციების მონიტორინგი.

ცხრილი 2. სახელმწიფო დაწესებულებები რომლებიც შესაძლო ჩართულნი იყვნენ მიწის შესყიდვის პროცესში

სამინისტროები და დეპარტამენტები	პასუხისმგებლობები
1. ეკონომიკის სამინისტრო	პროექტის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული საკითხების დამტკიცება, განსაკუთრებული მნიშვნელობის პროექტებისთვის (საკონსტიტუციო დაშვების ფარგლებში დამტკიცება).
2. იუსტიციის სამინისტრო - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	მიწის ნაკვეთების და საკუთრების უფლებების განსაზღვრა და მათი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში
3. საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	მიწის დანიშნულების ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. ადგილმდებარეობის დამტკიცება კონსტიტუციის ნებართვის ფარგლებში. უკუგების შესაძლებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო მიწის გათვალისწინებით.
4. ტურიზმის დეპარტამენტი	ადგილმდებარეობის დამტკიცება კონსტიტუციის ნებართვის ფარგლებში. გარკვეული შეზღუდვები კურორტების სანიტარული დაცვის ზონების მშენებლობასთან დაკავშირებით [5]
5. კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო	ადგილმდებარეობის დამტკიცება სამშენებლო ნებართვის ფარგლებში . გარკვეული შეზღუდვები არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ტერიტორიაზე მშენებლობასთან დაკავშირებით.

[5] საქართველოს No. 1286 კანონის თანახმად "კურორტების და საკურორტო სანიტარული ზონების დაცვის შესახებ" (20 /03/ 1998) კურორტულ ზონებთან მიმდებარე ტერიტორიები გამოცხადებულ იქნა ბუფერულ ზონებად. აღნიშნული ზონები იყოფა სამ კატეგორიად და ზოგჯერ სამშენებლო სამუშაოები არ არის დაშვებული აღნიშნულ ბუფერულ ზონებში.

2.2. საქართველოს კანონმდებლობასთან დაკავშირებული განსახლება

ეს პუნქტი იძლევა საქართველოს იმ ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების მოკლე ჩამონათვალს, რომლებიც არეგულირებს მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, სახელმწიფოო საკუთრების უფლების მოპოვებას კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე სახელმწიფო საჭიროების, სოციალური საკითხების საფუძველზე, რაც გამოწვეულია გზების მშენებლობასთან დაკავშირებული საქმიანობით:

- საქართველოს კონსტიტუცია, 1995 საქართველოს კანონი საავტომობილო გზების შესახებ, 1994
- საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, 2014
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997

- საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, 2007
- საქართველოს კანონი ნოტარიუსების შესახებ, 2009 საქართველოს კანონი სახელმწიფო საკუთრების შესახებ, 2010
- საქართველოს კანონი სასოფლო - სამეურნეო მიწაზე საკუთრების უფლების შესახებ , 1996
- საქართველოს კანონი ქონების ლეგალიზების შესახებ, 2007
- საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ, 2008
- საქართველოს კანონი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, 2007
- საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ, 1999
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997
- საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ, 2006
- საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალური დაცვის შესახებ, 1995
- საქართველოს კანონი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ. პირთა – დევნილთა შესახებ. 2014

საქართველოს კანონმდებლობის შედარებით უფრო დეტალური განხილვა განსახლების საკითხებთან დაკავშირებით მოცემულია განსახლების პოლიტიკის წინამდებარე ჩარჩოს 1 - ლ დანართში .

ზემოაღნიშნული კანონები/ რეგულაციები გულისხმობს, რომ ჩანაცვლების ღირებულების საბაზრო ღირებულებით ანაზღაურების პრინციპი გონივრულია და სამართლებრივად მისაღები. კანონები ასევე განსაზღვრავს ანაზღაურებადი ზიანის ტიპებს და მიუთითებს, რომ კომპენსაცია გაცემულ უნდა იქნეს ფიზიკური აქტივების დაკარგვის შემთხვევაში. საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს დებულებას შემოსავლის/ საარსებო საშუალებების რეაბილიტაციის, ძლიერი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ან მოწყვლადი პირებისთვის დახმარების გადახდის ან განსახლების ხარჯების შესახებ. დაბოლოს, აღნიშნული კანონები ძლიერ აქცენტს აკეთებს კონსულტაციაზე და შეტყობინებაზე იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები (PAP) მონაწილეობდნენ პროცესში.

III. მსოფლიო ბანკის პოლიტიკა და საქართველოს კანონმდებლობა: განსხვავების ანალიზი და მაკორექტირებელი ღონისძიებები

3.1. მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების მექანიზმები და იძულებით განსახლების პოლიტიკა

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი შესაბამისობაში უნდა იყოს მსოფლიო ბანკის სოციალური და ეკოლოგიური უსაფრთხოების მექანიზმებთან.
მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტები, თავის მხრივ, მოითხოვს შესაბამისობას მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების მექანიზმებთან და წესებთან. მსოფლიო ბანკის პოლიტიკა BP/OP 4.12 იძულებით განსახლების შესახებ იძლევა მითითებებს მიწის შესყიდვის და დაკავშირებული განსახლების ზემოქმედების და კომპენსაციის საკითხების შესახებ პროექტის განხორციელების პროცესში. მასპინძელი ქვეყნის პასუხისმგებლობის პრინციპების შესაბამისად, საქართველო ვალდებულია განახორციელოს მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტები WB BP/OP 4.12 -ის თანახმად. ეს პროექტი ასევე იხელმძღვანელებს სანიმუშო პრაქტიკით, რომელიც შემოღებულია მსოფლიო ბანკის ეკოლოგიური და სოციალური მართვის ჩარჩოთი (ESMF) და ESS5 -ით მიწის შესყიდვის, შეზღუდვების და მიწათსარგებლობის და იძულებით განსახლების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ESF პროექტს ოფიციალურად არ ეხება.

მთლიანობაში საქართველოს კანონმდებლობა თავსებადია მსოფლიო ბანკის იძულებით განსახლების პოლიტიკის ძირითად დებულებებთან. აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი განსხვავება:

(i) მსოფლიო ბანკის განსახლების პოლიტიკა მიმართულია შემოსავლების და ცხოვრების სტანდარტების ამაღლებისკენ (ან აღდგენისკენ მაინც) ვიდრე უბრალოდ ადამიანების კომპენსაციისკენ მათი ჩამორთმეული აქტივების გამო. შემოსვლების და ცხოვრების სტანდარტების ასეთი გაუმჯობესება აფართოებს

პოლიტიკის ამოცანას და მოიცავს შემოსავლის ნაკადების აღდგენას და ადამიანების გადამზადებას, რომლებსაც არ შეუძლიათ თავიანთი ძველი შემოსავლის მომტანი საქმიანობის გაგრძელება ადგილმონაცვლეობის შემდეგ. აქცენტი შემოსავალზე და საარსებო საშუალებებზე ჩამორთმეულ ქონებაზე ტრადიციული აქცენტის ნაცვლად აფართოებს იმ ადამიანების სპექტრს და რაოდენობას, რომლებიც მიჩნეულ არიან უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებად და გავლენას ახდენს გადასახდელი კომპენსაციის და სხვა გასაწევი დახმარების ტიპზე. უარყოფითი ზემოქმედების ასეთი ფართო სპექტრს აღიარებას მივყავართ პრობლემების უფრო ფართო აღიარებამდე, რაც მიჩნეულია განსახლების ზემოქმედებად და შესაბამისად მოითხოვს პასუხისმგებლობების ყურადღებით განცალკევებას, რისკის მართვის დახვეწას და განსახლების ნათლად და ყურადღებით დაგეგმვას.

(ii) მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ავსებს საქართველოს კანონმდებლობას იმ თვალსაზრისით, რომ პროექტის შეფასებამდე სავალდებულოა დაგეგმვის/ მართვის ინსტრუმენტების შემუშავება, როგორებიცაა განსახლების პოლიტიკის ჩარჩო (RPF) და განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP) .

განსახლების პოლიტიკის ჩარჩო (RPF). პოლიტიკის ჩარჩო საჭიროებს მომზადებას თუ განსახლების მასშტაბი და ადგილმდებარეობა შეუძლებელია ცნობილი იყოს შეფასების დროს, რადგან პროექტი ბევრი კომპონენტისგან შედგება, როგორც ეს ტიპურად ხდება ფინანსური შუამავლებით ან მრავალი ქვეპროექტით განხორციელებულ პროექტებში. პოლიტიკის ჩარჩო ადგენს განსახლების ამოცანებს და პრინციპებს, ორგანიზაციულ მექანიზმებს, და დაფინანსების მექანიზმებს განსახლების ნებისმიერი ოპერაციისთვის რომელიც შეიძლება აუცილებელი იყოს პროექტის განხორციელების პროცესში. ჩარჩო ასევე აფასებს განსახლების ოპერაციების დაგეგმვის, განხორციელების და ზედამხედველობის ინსტიტუციურ შესაძლებლობას.

განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP). ყველა პროექტი, რომელსაც მოჰყვება იძულებით განსახლება, მოითხოვს განსახლების სამოქმედო გეგმას. „განსახლების გეგმის მასშტაბი და დეტალების დონე განსხვავდება განსახლების სიმძლავრის და სირთულის მიხედვით“ (ოპერაციული პოლიტიკა 4.12, დანართი A, პუნქტი. 2). განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP) არის ადგილმდებარეობისადმი სპეციფიკური და ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა წინასწარი კვლევის ჩათვლით (სოციალურ - ეკონომიკური შეფასება, აღწერა, ზემოქმედების შეფასება და კონსულტაცია ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან), კომპენსაციის / შერბილების ღონისძიებების ნაკრები ზემოქმედების ქვეშ მყოფი თითოეული პირის/ შინამეურნეობისათვის, და დეტალური განხორციელების გეგმა პასუხისმგებელი მხარეების და გრაფიკის მითითებით.

(iii) მსოფლიო ბანკის პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ OP/BP 4.12 -ის შესაბამისად, ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- იძულებით განსახლება თავიდან უნდა იქნეს აცილებული ან დაყვანილ იქნეს მინიმუმამდე.
- კომპენსაციის / რეაბილიტაციის დებულებები ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს აძლევს შემოსავლის და ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესების, ან პროექტის დაწყებამდე არსებულ დონემდე აღდგენის საშუალებას მაინც.
- ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი მიწის შესყიდვის და განსახლების კომპენსაციის ვარიანტების შესახებ და უნდა წარმოებდეს მათთან კონსულტაცია.
- ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების სოციალურ - კულტურული ინსტიტუციები მაქსიმალურად უნდა იყოს მხარდაჭერილი / გამოყენებული.
- კომპენსაცია გადახდილი იქნება ჩანაცვლების ღირებულებით ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის ცვეთის ან ნებისმიერი სხვა დაქვითვის გარეშე.
- საკუთრების უფლების არქონა არ უნდა იყოს ბარიერი კომპენსაციის ან დახმარების ალტერნატიული ფორმებისთვის საჭიროებისამებრ პოლიტიკის ამოცანების მისაღწევად.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შინამეურნეობებს, რომელთა უფროსიც ქალია და სხვა მოწყვლად ჯგუფებს.
- მიწის შესყიდვა და განსახლება მიჩნეულ უნდა იქნეს და განხორციელდეს პროექტის ნაწილად და კომპენსაციის სრული ღირებულება შეტანილ უნდა იქნეს პროექტის ხარჯებში და სარგებელში.
- კომპენსაციის და განსახლების სუბსიდიები სრულად იქნება გადახდილი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და განსახლებით გამოწვეული ნებისმიერი ზემოქმედების დადგომამდე.

(iv) საქართველოს კანონმდებლობის / რეგულაციების თანახმად, მართლზომიერ მფლობელებს და მათ, ვისაც აქვთ მფლობელობის მტკიცებულება, მაგრამ ოფიციალურად არ აქვთ დარეგისტრირებული მიწა ან ქონება, [6] ეკუთვნით კომპენსაცია, ხოლო 4.12 ოპერაციული პროცედურის თანახმად არარეგისტრირებულ მოსარგებლეებს და მათ ვისაც არ აქვს მფლობელობის მტკიცებულება ასევე ეკუთვნით კომპენსაცია განსახლების პროცესის და დაკარგული აქტივების და საარსებო საშუალებების გამო. მსოფლიო ბანკის პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ მოიცავს: (i) ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა პირის და შინამეურნეობის ეკონომიკურ რეაბილიტაციას (AP/AH), იმ პირთა ჩათვლით, რომლებსაც არ აქვთ კანონიერი / ოფიციალური უფლება პროექტის მიერ შეძენილ აქტივებზე; (ii) დაკარგული ბიზნესის და შემოსავლის ანაზღაურების გარანტიას; (iii) და სპეციალური დახმარების უზრუნველყოფას ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების/ შინამეურნეობების ხარჯების დასაფარად განსახლების პროცესის განმავლობაში ან მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირების/ შინამეურნეობების სპეციალური

[6] დაკანონებადი მფლობელები არიან პირები რომლებიც ფლობენ მართლზომიერ მტკიცებულებებს მფლობელობის შესახებ მაგრამ არ აქვთ ოფიციალურად დასრულებული მიწის ან ქონების რეგისტრაცია.

საჭიროებების ანაზღაურებას. ამასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს რაიმე კონკრეტულ ღონისძიებას ფართო საჯარო კონსულტაციების საფუძველზე განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადების საჭიროებასთან დაკავშირებით.

განსხვავებები საქართველოს კანონებს და მსოფლიო ბანკის იძულებით განსახლების პოლიტიკას შორის წარმოდგენილია ქვევით მე -3 ცხრილში :

ცხრილი 3: საქართველოს კანონების და მსოფლიო ბანკის OP 4.12 პოლიტიკის შედარება

საქართველოს კანონები და რეგულაციები	**მსოფლიო ბანკის ოპერაციული პროცედურა OP 4.12**	**მაკორექტირებელი ღონისძიება**
მიწის კომპენსაცია მხოლოდ საკუთრების უფლების მქონე და იმ პირთათვის ვისაც აქვთ მფლობელობის მტკიცებულება, მაგრამ ოფიციალურად არ აქვთ დარეგისტრირებული მიწა ან ქონება	საკუთრების უფლების არარსებობა არ უნდა იყოს ბარიერი კომპენსაციისთვის და / ან რეაბილიტაციისთვის. საკუთრების უფლების არმქონე მიწათმფლობელები იღებენ რეაბილიტაციას	პრაქტიკაში პირები ვისაც აქვთ მფლობელობის მტკიცებულება, მაგრამ ოფიციალურად არ აქვთ დარეგისტრირებული მიწა ან ქონება ასევე იღებენ ანაზღაურებას აუცილებელი დოკუმენტების გაცემიდან მალე. საკუთრების უფლების არმქონე პირები მიიღებენ დახმარებას, რომ გახდნენ მართლზომიერი მფლობელები. იმ შემთხვევაში, თუ მიწით მოსარგებლეები ვერ მიიღებენ საკუთრების უფლებას, განმახორციელებელი უწყება მიიღებს მთავრობის თანხმობას რეაბილიტაციის/ კომპენსაციისთვის საკუთრების უფლების არმქონე ასეთი პირებისთვის შესაბამისი საცხოვრისის, აქტივების ან საარსებო საშუალებების დაკარგვის გამო.
მხოლოდ რეგისტრირებული სახლები /შენობები მიიღებენ კომპენსაციას ზიანის/ დანგრევისთვის, რომელიც გამოწვეულია პროექტთან დაკავშირებული მიწის შესყიდვით	ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ყველა სახლი / შენობა, სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად, ექვემდებარება კომპენსაციას პროექტთან დაკავშირებული მიწის შესყიდვით გამოწვეული ზიანის/ ნგრევისთვის	იგულისხმება, რომ ქონების უმეტესი ნაწილი რეგისტრირებული იქნება ფაქტიურ მოსარგებლეზე პროექტის მხარდაჭერით (იურიდიული და სარეგისტრაციო მხარდაჭერა). შესაბამისად, კომპენსაცია გადახდილი იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა ოჯახისთვის. მშენებლობის პერიოდში მიყენებული ზიანის შემთხვევაში, მშენებლობის კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება კომპენსაციაზე.

სასოფლო სამეურნეო კულტურების და ხეების დანაკარგის გამო კომპენსაცია გადახდილი იქნება მხოლოდ რეგისტრირებული მიწათმფლობელებისთვის	სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანაკარგი ანაზღაურებული იქნება მიწის მფლობელების და წილობრივი მოიჯარეებისთვის რეგისტრაციის მიუხედავად.	პრაქტიკულად მიწა, რომელზეც სასოფლო - სამეურნეო კულტურები იზრდება, რეგისტრირებულია საქართველოში ან საჯარო რეესტრში ან სოფლებში. იჯარით გაცემული მიწის ნაკვეთების შემთხვევაში, კომპენსაცია გადახდილი იქნება მოიჯარისთვის მისი ფაქტიური ზარალის მიხედვით და გადაეცემა დახმარება სხვა მიწაზე წვდომისთვის საქმიანობის გასაგრძელებლად
კომპენსაცია აქტივების დაკარგვისთვის ემყარება საბაზრო ღირებულებას ცვეთის გათვალისწინების გარეშე.	კომპენსაცია აქტივების დაკარგვის გამო ემყარება საბაზრო ღირებულებას ცვეთის გათვალისწინების გარეშე და შეტანილ უნდა იქნეს ტრანზაქციის ხარჯებში, როგორებიცაა გადასახადები და სარეგისტრაციო მოსაკრებლები. ის ასევე უნდა მოიცავდეს განსახლების სხვა ხარჯებს, როგორებიცაა მაგალითად კულტივაციისთვის მიწის მომზადების ხარჯები.	კომპენსაცია გადახდილი იქნება საბაზრო ღირებულების საფუძველზე ცვეთის მხედველობაში მიღების გარეშე. აქტივების შეფასების კრიტერიუმები დამყარებული იქნება ჩანაცვლებით ღირებულებაზე 4.12 ოპერაციული პოლიტიკის შესაბამისად.
პროექტის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს სასამართლო პროცესამდე კომპენსაციის რაოდენობრივ განსაზღვრასთან და შეფასებასთან დაკავშირებული დავის გადამწყვეტ და საჩივრების განმხილველ ერთადერთ ორგანოს ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი აქტივებისთვის. პრეტენზიები განიხილება საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ოფიციალური პროცედურების (წესების) შესაბამისად. არ არსებობს არაოფიციალური მექანიზმი საჩივრებზე რეაგირებისთვის ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის მონაწილეობით.	პრეტენზიები და საჩივრები შეიძლება გადაიჭრას არაოფიციალურად, პროექტის დონეზე არსებული საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის საშუალებით, რომელიც ზოგიერთ შემთხვევებში, მოითხოვს საზოგადოების მონაწილეობას საჩივრებზე რეაგირების კომიტეტის (GRC), ადგილობრივი მთავრობების და არასამთავრობო ორგანიზაციების და/ ან ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების საშუალებით.	განმახორციელებელი უწყებების გუნდს ექნება მექანიზმი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისგან საჩივრების მისაღებად, რეგისტრაციისთვის და განსახილველად. მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, ადგილობრივი თვითმმართველობები და სოფლები ჩართულნი იქნებიან პროცესში ადრეული ეტაპიდანვე. ეს უზრუნველყოფს დავების და პრეტენზიების (რამდენადაც შესაძლებელია) გადაწყვეტას თემის დონეზე. თუმცა, თუ გადაწყვეტის გამონახვა შეუძლებელია, საქმე განხილული იქნება ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

გადაწყვეტილებები მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებით განიხილება მხოლოდ მიწის მესაკუთრეებსა და მიწის შესყიდვაზე პასუხისმგებელ უწყებას შორის.	განსახლების პოლიტიკის ჩარჩო (RPF) და განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP), ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი აქტივების შეფასების, გადასახდელი თანხების და კომპენსაციის /ფინანსური დახმარების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით, გასაჯაროებულ უნდა იქნეს დაგეგმვის პროცესში.	განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს (RPF) და განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) მომზადება განხორციელდება შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო (RPF) და განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP) გასაჯაროვდება. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების პერსონალური ინფორმაცია ან მათთვის გადასახდელი თანხების მოცულობა არ იქნება გამჟღავნებული სხვა მხარეებისთვის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირების თანხმობის გარეშე.
არ არის დათქმა შემოსავლის/ საარსებო საშუალებების რეაბილიტაციასთან, ძლიერი ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ან მოწყვლადი პირებისთვის დახმარებასთან ან განსახლების ხარჯებთან დაკავშირებით	მსოფლიო ბანკის პოლიტიკა მოითხოვს შემოსავლის/ საარსებო საშუალებების რეაბილიტაციას, დიდი დანაკარგების და ადგილმონაცვლეობის პროცესში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას	განმახორციელებელ უწყებებს ექნებათ მკაფიო სამართლებრივი პროცედურები დამატებითი დახმარების გასაწევად ძლიერი ზემოქმედების ქვეშ მყოფი და მოწყვლადი შინამეურნეობებისთვის განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) შესაბამისად.
არ არის გათვალისწინებული კონკრეტული გეგმა საქართველოს კანონმდებლობით საჯარო კონსულტაციებისთვის	საჯარო კონსულტაციები და მონაწილეობა წარმოადგენს მსოფლიო ბანკის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, რომელიც უწყვეტი პროცესია კონცეფციის, მომზადების, განხორიცელების და განხორციელების შემდგომ ეტაპზე	საჯარო კონსულტაციის პროცესი უზრუნველყოფილი იქნება მსოფლიო ბანკის მოთხოვნების და ინსტრუქციების შესაბამისად განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) განხორციელებამდე

ზევით წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია, რომ საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის OP 4.12 პოლიტიკას შორის განსხვავებების შემთხვევაში უპირატესობა შედარებით უფრო მკაცრ მოთხოვნებს მიენიჭება (ამ შემთხვევაში OP 4.12 -ის მოთხოვნებს).

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, სამართლებრივი ხელშეკრულების გაფორმება საერთაშორისო ორგანიზაციასთან, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, გულისხმობს, რომ ამ ხელშეკრულების პირობებს მიენიჭება უპირატესობა:

„საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ

შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ..”7

IV. საქართველოს I2Q პროექტისთვის მიღებული განსახლების და მიწის შეძენის პრინციპები

მიწის და აქტივების შეძენასთან დაკავშირებით პროექტის საერთო ამოცანაა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი (PAPs) მოსახლეობის დახმარება საარსებო საშუალებების აღდგენაში პროექტის დაწყებამდე არსებულ დონემდე მაინც. ამგვარად, პროექტის განხორციელების პროცესში განმახორციელებელი უწყებები უზრუნველყოფენ, რომ:

1. თითოეული ქვეპროექტისთვის, რომელიც გულისხმობს კერძო მიწის შეძენას, შემოსავლის დროებით ან მუდმივ დაკარგვას, შინამეურნეობის ან ბიზნესის ფიზიკურ ადგილმონაცვლეობას ან სხვა ზემოქმედებას, რომელიც იწვევს OP 4.12 -ს, შემუშავდება განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP) განსახლების ამ პოლიტიკის ჩარჩოს, პოლიტიკის და პროცედურების, მსოფლიო ბანკის OP 4.12 -ის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ბენეფიციარი მუნიციპალიტეტები პასუხისმგებელნი იქნებიან განსახლების შესაბამისი სამოქმედო გეგმის (RAP) განხორციელების მხარდაჭერაზე და განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) მომზადებაზე.
3. განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) განხორციელებამდე მსოფლიო ბანკისთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით და ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი პირებისთვის კომპენსაციის სრულად გადახდამდე დაუშვებელია სამშენებლო სამუშაოების დაწყება ადგილზე, სადაც ზემოქმედება იწვევს OP 4.12 -ის ამოქმედებას.
4. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები (PAPs) მიიღებენ სხვადასხვა სახის კომპენსაციას ან დახმარებას განსახლების პოლიტიკის ამ ჩარჩოში (RPF) წარმოდგენილი მატრიცით განსაზღვრული გადასახდელი თანხების შესაბამისად და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის თანახმად.
5. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები (PAPs) ინფორმირებულნი იქნებიან თავიანთი უფლებების და არსებული ალტერნატივების შესახებ;
6. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან (PAPs) იწარმოებს კონსულტაცია შეთავაზებულ არჩევანთან დაკავშირებით და მათთვის მიწოდებული იქნება ტექნიკურად და ეკონომიკურად შესაძლო განსახლების ალტერნატივები;
7. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის (PAPs) შეთავაზებული იქნება ეფექტური კომპენსაცია დაკარგული აქტივების სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით, განმახორციელებელი უწყების მიერ დაქირავებული

[7] “საქართველოს კონსტიტუცია”, მუხლი 6, პუნქტი 2.

დამოუკიდებელი შემფასებელი კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე;

8. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის (PAPs) შეთავაზებული იქნება დამატებითი დახმარება (იხ. პუნქტი 7.3) მათი საარსებო საშუალებების მხარდასაჭერად გარდამავალ პერიოდში, იმ დროის გონივრული შეფასების საფუძველზე, რომელიც სავარაუდოდ საჭირო იქნება მათი საარსებო საშუალებების და ცხოვრების დონის აღსადგენად;
9. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის (PAPs), რომელთა საარსებო საშუალებებზე ადგილი ჰქონდა ზემოქმედებას, მიიღებენ განვითარებით დახმარებას, კომპენსაციის აღწერილ ღონისძიებებთან ერთად, როგორებიცაა მიწის დამუშავება, საკრედიტო პროდუქტი, ტრენინგი ან დასაქმების შესაძლებლობები;
10. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოსახლეობის ყველაზე მეტად მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს - ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ პირებს, შშმ პირებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, ლტოლვილებს და ა.შ.
11. შემუშავდება საჩივრებზე რეაგირების სამართლიანი და ხელმისაწვდომი მექანიზმი;;
12. კომპენსირების ღონისძიებები დასრულდება კონკრეტული სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, რომლებიც განაპირობებს OP 4.12 -ს.

განსახლების შემოკლებული სამოქმედო გეგმა (aRAP) / განსახლების სამოქმედო გეგმა (RAP) შემუშავდება განსახლების პოლიტიკის ამ ჩარჩოს (RPF) და მსოფლიო ბანკის OP 4.12 -ის, ისევე როგორც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს I2Q პროექტის თითოეული ქვეპროექტისთვის შერჩევიდან გამომდინარე საჭიროების საფუძველზე. როგორც ზევით აღინიშნა, არსებობს განსხვავებები OP 4.12 -ს და საქართველოს კანონმდებლობას შორის. თუ რაიმე სხვა განსხვავებას ექნება ადგილი განსახლების პოლიტიკის ამ ჩარჩოს (RPF) და OP 4.12 -ს და საქართველოს კანონმდებლობას შორის, უპირატესობა მიენიჭება OP 4.12 -ით განსაზღვრულ პრინციპებს და პროცედურებს.

საბაზრო კვლევა განხორციელდება მიწაზე არსებული გავრცელებული ფასების, დაზიანებული ნაგებობებისთვის სამშენებლო მასალების, სასოფლო - სამეურნეო კულტურების და სხვა დაკავშირებული მუხლების საბაზრო ფასების განსასაზღვრად, რომელიც გამოყენებულ იქნება საჭიროებისამებრ ჩანაცვლების ადეკვატური ღირებულების გასარკვევად. აღნიშნულის განხორციელების შემდეგ, თითოეული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის ქონება ინდივიდუალურად შეფასდება დამოუკიდებელი შემფასებელი კომპანიის მიერ. ეს დამატებით უზრუნველყოფს, რომ საბაზრო ფასმა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს (PAPs) მისცეს სანაცვლო მიწის შეძენის საშუალება.

აქტივების და მიწის დაკარგვა კომპენსირებული იქნება სუფთა საბაზისო საფუძველზე, გადასახადის, ცვეთის ან ნებისმიერი სხვა დაქვითვის გარეშე.

განსახლების დასკვნითი სამოქმედო გეგმა (RAP) უნდა წარედგინოს მსოფლიო ბანკს და მისი თანხმობის შემდეგ ის უნდა განხორციელდეს. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირებმა (PAPs) სრული კომპენსაცია უნდა მიიღონ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, სანამ რაიმე ზემოქმედებას ექნება ადგილი მიწაზე, აქტივებზე ან საარსებო საშუალებებზე.

მიწის შეძენის პროცედურის დეტალები განმარტებული იქნება განსახლების სამოქმედო გეგმაში (RAP), მაგრამ ისინი უნდა შეიცავდეს:

- საწყის კონსულტაციას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან (PAPs) მათი ინფორმირებისთვის პროექტის შესახებ და ქვეპროექტების განხორციელების უბნების ფარგლების შესახებ;
- აღწერას, გეოგრაფიულ და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების სოციალურ - ეკონომიკურ კვლევას;
- ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების (PAP) განსაზღვრას და ზემოქმედების ტიპებს/ მასშტაბს;
- კომპენსაციის პაკეტის შემუშავებას და განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) მომზადებას;
- კონსულტაციას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან (PAPs);
- მოლაპარაკებას პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან (PAPs) და კომპენსაციის გადახდას;
- ექსპროპრიაციის პროცესი დაიწყება მოლაპარაკებების წარუმატებლად წარმართვის შემთხვევაში;
- სამშენებლო კონტრაქტები გაფორმდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა პირი (PAP) მიიღებს კომპენსაციას.

V. კომპენსაციის მისაღებად მოთხოვნების დაკმაყოფილება და გადახდა

5.1. კომპენსაციის მისაღებად მოთხოვნების დაკმაყოფილება

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები (PAPs), რომელთაც პროექტის თანახმად ეკუთვნის კომპენსაცია ან რეაბილიტაცია მაინც, არიან:

1. ყველა პირი, რომელიც კარგავს მიწას ან წვდომას მიწასთან მუდმივად ან დროებით და აქვს საკუთრების უფლება ან ტრადიციული მიწათსარგებლობის უფლება ან სამართლებრივი სტატუსის გარეშეა;

2. მოიჯარეები და მონახევრეები რეგისტრაციის მიუხედავად;

3. ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი შენობების, სასოფლო - სამეურნეო კულტურების, მცენარეების ან მიწასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების მფლობელები; და

4. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომელთაც დაკარგეს ბიზნესი, შემოსავალი, საარსებო საშუალებებო და ხელფასი..

კომპენსაციის მიღების უფლება შემოფარგლული იქნება ვადით, რომელიც განისაზღვრება თითოეული ქვეპროექტისთვის აღწერის დაწყების დღეს. პირები, რომლებიც ცხოვრობენ ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ტერიტორიაზე, ადგილობრივად გამოქვეყნებული თარიღის შემდეგ, აღარ იქნებიან განხილულნი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებად, და პირი, რომელიც დაიწყებს მიწის ან ნაგებობების კეთილმოწყობას ადგილობრივად გამოქვეყნებული თარიღის შემდეგ, აღარ იქნება უფლებამოსილი მიიღოს დამატებითი კომპენსაცია.

თუმცა, ისინი მიიღებენ შეტყობინებას პროექტის განხორციელებამდე საკმარისი ხნით ადრე, ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი შენობების დაცლის ან ნაგებობების დაშლის მოთხოვნის შესახებ. დაშლილი ნაგებობების მასალები არ იქნება კონფისკებული და ისინი არ გადაიხდიან ჯარიმას ან მათ არ დაეკისრებათ რაიმე სანქცია.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების (PAPs) ადგილსამყოფელის დადგენა, ან ნებისმიერი ლეგიტიმური მიზეზის გამო ისინი ვერ მიიღებენ კუთვნილ კომპენსაციას, კომპენსაციის თანხა განთავსდება სპეციალურად განსაზღვრულ „ესქრო“ ანგარიშზე და ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისთვის.

5.2. გადასახდელი თანხები

როგორც ზევით აღინიშნა, პროექტი არ მოელის ფიზიკურ განსახლებას ან მიწის სამუდამო შესყიდვას ან აქტივების ან საარსებო საშუალებების დაკარგვას. თუმცა, რამდენადაც ქვეპროექტების განხორციელების ადგილმდებარეობა (სკოლამდელი დაწესებულებების და სკოლების რეაბილიტაცია ან მშენებლობა) არ არის ცნობილი, განსახლების პოლიტიკის ჩარჩო (RPF) განიხილავს ადამიანების შემდეგ კატეგორიებს როგორც პროექტის პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს:

- კერძო მიწის ნაკვეთების მფლობელები (მიწაზე დადგენილი საკუთრების უფლებით ან მის გარეშე) რომელთა მიწა შეძენილი იქნება ქვეპროექტების განსახორციელებლად. [8]

- კერძო მფლობელები (ქონებაზე დადგენილი საკუთრების უფლებით ან მის გარეშე) რომელთა აქტივები, როგორებიცაა საცხოვრისი, თავლა, საამქრო, ღობე, ნაყოფის მქონე სასოფლო - სამეურნეო კულტურები და სხვა ფასეული აქტივები ზიანდება, შეძენილი იქნება.
- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ბიზნესები (ოფიციალური და არაოფიციალური ბიზნესის ჩათვლით), რომლებიც განიცდის შემოსავლის ან აქტივის დროებით დაკარგვას მიწასთან ან აქტივთან წვდომის შეზღუდვის გამო სამშენებლო სამუშაოების დროს.

- პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ბიზნესები (ოფიციალური და არაოფიციალური ბიზნესის ჩათვლით), რომლებიც განიცდიან შემოსავლის ან აქტივის სამუდამოდ დაკარგვას ქვეპროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით მიწის შესყიდვის შედეგად.

- მოიჯარეები (ინდივიდუალური ან საწარმო), რომლებსაც აქვთ საიჯარო ხელშეკრულებები მუნიციპალიტეტებთან ან სხვა მფლობელებთან, არსებულ და ალტერნატიულ ადგილებზე.

- არაოფიციალური/ არამართლზომიერი მობინადრეები და მიწით მოსარგებლეები არსებულ საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულების შენობაში ან ახალ ადგილზე, რომელიც გამოყოფილია მშენებლობისთვის პროექტიდან გამომდინარე.

ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ყველა პირი მიიღებს კომპენსაციას მუდმივი ნაგებობებისთვის შეძენილი მიწისთვის. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები (ე.ი. მფლობელები, არაოფიციალური მოსარგებლეები და მოიჯარეები) ასევე მიიღებენ კომპენსაციას ზიანისთვის და ნაგებობების, მსხმოიარე სასოფლო -სამეურნეო კულტურებისთვის, ხეებისა და სხვა ეკონომიკური აქტივებისთვის, რომლებიც ზემოქმედების ქვეშ მოექცევა. თუ ადგილი აქვს სამუდამო ადგილმონაცვლეობას, ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს, შეძლებისდაგვარად და განმახორციელებელი უწყებისთვის მისაღებ დროს, ადგილმონაცვლეობისთვის გადაეცემათ პროექტის მიერ იდენტიფიცირებული, თანაბარი ხარისხის ახალი ქონება. ზემოქმედების ქვეშ მყოფი

[8] მიწის მფლობელები, რომელთაც არ აქვთ იურიდიული დოკუმენტები მიწაზე და რომელთა მფლობელობა შეუძლებელია დაკანონდეს, მიიჩნევიან არაოფიციალურ / არამართლზომიერ მცხოვრებლებად.

პირები მიიღებენ კომპენსაციას სატრანსპორტო ხარჯებისთვისაც, თუ საქმე ეხება ადგილმონაცვლეობას.

სამშენებლო სამუშაოების ზემოქმედების ქვეშ დროებით მოხვედრილი პირები კომპენსაციას მიიღებენ ნებისმიერი დაკარგული შემოსავლის, აქტივისა და ზიანისთვის.

5.3. საკომპენსაციო ერთეულის ღირებულების შეფასება

მეთოდოლოგია სხვადასხვა მუხლის ერთეული საკომპენსაციო ღირებულების შესაფასებლად შემდეგია:

სასოფლო - სამეურნეო მიწა შეფასებული იქნება ჩანაცვლების კოეფიციენტით, ორი განსხვავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ ტერიტორიაზე მიწის აქტიური ბაზრის არსებობიდან გამომდინარე.

აქტიური ბაზრის არსებობის შემთხვევაში, დაკარგული მიწა კომპენსირებული იქნება ჩანაცვლების კოეფიციენტით, მიწის ნაკვეთების გაყიდვის კვლევის საფუძველზე ზემოქმედების კვლევის წინა წლის განმავლობაში. იქ სადაც მიწის აქტიური ბაზარი არ არსებობს, მიწის დაკარგვა კომპენსირებული იქნება იმავე მახასიათებლების მიწის ნაკვეთის რეპროდუქციის ღირებულების, წვდომის და დაკარგული ნაკვეთის პროდუქტიულობის საფუძველზე. შეფასების მკაფიო მეთოდოლოგია ამ შემთხვევებისთვის დეტალურად იქნება აღწერილი განსახლების სამოქმედო გეგმაში.

თუ ადგილი აქვს საცხოვრისის ან კომერციული ნაგებობის დაზიანებას, სახლი / შენობა შეფასდება ჩანაცვლების ღირებულებით მასალების, მშენებლობის ტიპის, შრომის, ტრანსპორტის და სხვა სამშენებლო ხარჯების ღირებულების საფუძველზე. არ მოხდება ცვეთის, ჩამოწერილი მასალების და ტრანზაქციის ხარჯების დაქვითვა. კომპენსაცია გადახდილი იქნება მთლიანი ნაგებობის ზარალის მოცულობით.

ყოველწლიური სასოფლო - სამეურნეო კულტურები შეფასდება სუფთა საბაზრო კოეფიციენტით მწარმოებლის ფასის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო კულტურების პირველი წლისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირს ეკუთვნის ერთი წლის კომპენსაციაზე დიდი თანხა, კულტურები პირველი წლის შემდეგ კომპენსირებულ იქნება საბაზრო ღირებულებით (მწარმოებლის გასაყიდ ფასს მინუს საწარმოო ხარჯები). პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები (PAPs) ამ თანხიდან არ გადაიხდიან გადასახადს.

ხეები შეფასდება განსხვავებული მეთოდოლოგიების შესაბამისად იქიდან გამომდინარე ხე მერქნიანი მცენარეა თუ ნაყოფის მომცემი.

- მერქნიანი ხეები შეფასდება ასაკის კატეგორიის (ა. ნერგი; ბ. საშუალოდ გაზრდილი ხე და გ. სრულად გაზრდილი), მერქნის ღირებულების და მოცულობის საფუძველზე;
- ხეხილის /ნაყოფის მომცემი ხეები შეფასდება ასაკის საფუძველზე (ა. ნერგი; ბ. გაზრდილი ხე, რომელიც ნაყოფს არ იძლევა და გ. ნაყოფის მომცემი ხე) , ხოლო ხეები (ა) და (ბ) სტადიაზე კომპენსირებული იქნება განხორციელებული ინვესტიციის სტანდარტული ღირებულებით. (გ) სტადიაზე ხეები კომპენსირებული იქნება სუფთა საბაზრო ღირებულებით 1 წლის შემოსავალი x წლების რაოდენობაზე, რომელიც საჭიროა ზრდასრული ნაყოფის მომცემი ხის მისაღებად.

ერთეულის საკომპენსაციო კოეფიციენტები შეფასდება პროექტის კონსულტანტის ან დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, მსოფლიო ბანკისთვის მისაღები მკაფიო და გამჭვირვალე მეთოდოლოგიების საფუძველზე.

ცხრილი 4. კომპენსაციის განსაზღვრის მატრიცა

ზარალის ტიპი	მიმართვა	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი	კომპენსაციის უფლება
მიწა			
სასოფლო - სამეურნეო მიწის სამუდამო დაკარგვა	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი კარგავს სასოფლო - სამეურნეო მიწას ზემოქმედების სიმწვავის მიუხედავად	მფლობელი სრული რეგისტრაციით	ფულადი ანაზღაურება სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით ან დაკარგული მიწის ღირებულების მიწით ჩანაცვლებით, ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისთვის შეძლებისდაგვარად მისაღებ ადგილზე. თუ ნარჩენი მიწის ნაკვეთი გახდება გამოუსადეგარი, პროექტი მას შეიძენს სრულად ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის სურვილის შემთხვევაში. ტექნიკური ან/ და ფინანსური ან/ და მატერიალური დახმარება, საჭიროების შემთხვევაში, საარსებო საშუალებების სრულად აღსადგენად ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, განსახლების სამოქმედო გეგმის თანახმად (საჭიროების შემთხვევაში)
		მფლობელი, ვისაც აქვს მფლობელობის მტკიცებულება, მაგრამ ოფიციალურად არ აქვს დარეგისტრირებული მიწა ან ქონება	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ეს პირები გახდებიან მართლზომიერი მფლობელები და მიიღებენ ფულად კომპენსაციას სრული ჩანაცვლების ღირებულებით და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას ჩასანაცვლებელი მიწის შეძენასთან

			დაკავშირებით ადგილზე, რომელიც მისაღები იქნება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისთვის. ღონისძიებები განხორციელდება საჭიროების შემთხვევაში, საარსებო საშუალებების სრულად აღსადგენად ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, განსახლების სამოქმედო გეგმის თანახმად (საჭიროების შემთხვევაში)
		მოიჯარე	ფულადი ანაზღაურება იჯარისთვის 3 თვის განმავლობაში და ღონისძიებები საჭიროების შემთხვევაში, საარსებო საშუალებების სრულად აღსადგენად ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, განსახლების სამოქმედო გეგმის თანახმად (საჭიროების შემთხვევაში). თუ იჯარის ხანგრძლივობა განსხვავდება შეფერხების რეალური პეიოდის ხანგრძლივობისგან მაშინ ის უნდა შეიცვალოს შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) /განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) მომზადების პროცესში შესაბამისად.
		არაოფიციალური მოსახლეები / ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები რეგისტრაციის/ კანონიერი დოკუმენტების / გარეშე / მფლობელი რომლის რეგისტრაციაც არ მოხდება	ერთჯერადი თვით - ადგილმონაცვლეობის დახმარება ფულადი სახით უტოლდება 12 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობას, როგორც განსაზღვრულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მიერ *. ღონისძიებები განხორციელდება საჭიროების შემთხვევაში, საარსებო საშუალებების სრულად აღსადგენად ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, განსახლების სამოქმედო გეგმის თანახმად (საჭიროების შემთხვევაში)
		ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომლებსაც ც უკავიათ კერძო ინვესტორის კუთვნილი მიწის ნაკვეთი ან სარგებლობენ ასეთი მიწით	ერთჯერადი თვით - ადგილმონაცვლეობის დახმარება ფულადი სახით უტოლდება 12 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობას *. ღონისძიებები განხორციელდება საჭიროების შემთხვევაში, საარსებო საშუალებების სრულად აღსადგენად ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მიერ . ყველა ზევით აღნიშნული ხარჯი დაფარული იქნება

			კერძო ინვესტორის მიერ საჭიროების შემთხვევაში.
არასასოფლო - სამეურნეო მიწა	ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობა კარგავს კომერციულ / საკარმიდამო მიწას	მფლობელი სრული რეგისტრაციით	ფულადი ანაზღაურება სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით ან დაკარგული მიწის ღირებულების მიწით ჩანაცვლებით, ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისთვის შეძლებისდაგვარად მისაღებ ადგილზე. ღონისძიებები განხორციელდება საარსებო საშუალებების სრულად აღდგენის უზრუნველსაყოფად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მიერ
		მფლობელი, ვისაც აქვს მფლობელობის მტკიცებულება, მაგრამ ოფიციალურად არ აქვს დარეგისტრირებული მიწა ან ქონება	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ეს პირები გახდებიან მართლზომიერი მფლობელები და მიიღებენ ფულად კომპენსაციას სრული ჩანაცვლების ღირებულებით. ღონისძიებები განხორციელდება საჭიროების შემთხვევაში, საარსებო საშუალებების სრულად განსახლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად
		მოიჯარე	ფულადი ანაზღაურება იჯარისთვის 3 თვის განმავლობაში და ღონისძიებები საჭიროების შემთხვევაში, საარსებო საშუალებების სრულად აღსადგენად განსახლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად. თუ იჯარის ხანგრძლივობა განსხვავდება შეფერხების რეალური პერიოდის ხანგრძლივობისგან, მაშინ ის შესაბამისად უნდა შეიცვალოს შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) /განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) მომზადების პროცესში.
		არაოფიციალური მოსახლეები / ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები რეგისტრაციის/ კანონიერი დოკუმენტების / გარეშე / მფლობელი რომლის რეგისტრაციაც არ მოხდება	ერთჯერადი თვით - ადგილმონაცვლეობის დახმარება ფულადი სახით უტოლდება 1 წლის საარსებო მინიმუმის ოდენობას. ღონისძიებები განხორციელდება საჭიროების შემთხვევაში, საარსებო საშუალებების სრულად აღსადგენად განსახლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად
შენობები და ნაგებობები			

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ნაგებობები / აქტივები		ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა შინამეურნეობა სამართლებრივი მფლობელობის / სარეგისტრაციო სტატუსის მიუხედავად (პირები, რომლებიც დარეგისტრირდებიან, არაოფიციალური მოსახლეები / და პირები რომლებიც არ დარეგისტრირდებიან)	ყველა ზემოქმედება განხილული იქნება როგორც სრული ზემოქმედება, აქტიური ზემოქმედების პროცენტული წილის გათვალისწინების გარეშე. ზემოქმედება ანაზღაურდება ფულადი სახით, სრული ჩანაცვლების ღირებულებით ცვეთის და ტრანზაქციის ხარჯების გარეშე.
საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ნაგებობები	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახები, რომლებიც კარგავენ შემოსავალს ან საცხოვრებელ შენობას	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომლებსაც ც უკავიათ კერძო ინვესტორის კუთვნილი მიწის ნაკვეთი ან სარგებლობენ ასეთი მიწით	ერთჯერადი თვით - ადგილმონაცვლეობის დახმარება ფულადი სახით უტოლდება 1 წლის საარსებო მინიმუმის ოდენობას. ღონისძიებები განხორციელდება საჭიროების შემთხვევაში, საარსებო საშუალებების სრულად აღსადგენად განსახლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად. ყველა ზევით აღნიშნული ხარჯი დაფარული იქნება კერძო ინვესტორის მიერ .
სათემო ინფრასტრუქტურის დაკარგვა /საზოგადოებრივი რესურსები			
საზოგადოებრივი რესურსების დაკარგვა	საზოგადოებრივი/ საჯარო აქტივები	თემი / მთავრობა	დაკარგული ნაგებობის რეკონსტრუქცია საზოგადოებასთან კონსულტაციით და მათი ფუნქციების აღდგენა
შემოსავლის და საარსებო საშუალებების დაკარგვა			
სასოფლო - სამეურნეო კულტურები	ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი სასოფლო - სამეურნეო კულტურები ნაყოფით ან კულტურებიდან დაგეგმილი შემოსავლის დაკარგვა **	ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ყველა შინამეურნეობა სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად (პირები, რომლებიც დარეგისტრირდებიან, არაოფიციალური მოსახლეები / და პირები რომლებიც არ დარეგისტრირდებიან)	სასოფლო სამეურნეო კულტურების კომპენსაცია ფულადი სახით ფაქტიური ან მოსალოდნელის მოსავლის ერთობლივი საბაზრო ღირებულებით. კომპენსაცია ამ მუხლისთვის გადახდილი იქნება ნებისმიერ შემთხვევაში, იმ ფაქტის მიუხედავად დამდგარია თუ არა მოსავლის აღების დრო
ხეები	ზემოქმედების ქვეშ არსებული ხეები	ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ყველა შინამეურნეობა სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად (პირები, რომლებიც დარეგისტრირდებიან,	ფულადი კომპენსაცია საბაზრო განაკვეთით ხეების ტიპის, ასაკის და პროდუქტიული ღირებულების საფუძველზე..

		არაოფიციალური მოსახლეები / და პირები რომლებიც არ დარეგისტრირდებიან)	
ბიზნესი/ დასაქმება	ბიზნესის/ დასაქმების დაკარგვა	ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ყველა შინამეურნეობა სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად (პირები, რომლებიც დარეგისტრირდებიან, არაოფიციალური მოსახლეები / და პირები რომლებიც არ დარეგისტრირდებიან)	მფლობელი: (i). (პერმანენტული ზემოქმედება) 1 წლის განმავლობაში სუფთა შემოსავლის ფულადი კომპენსაცია; (ii) (დროებითი ზემოქმედება) სუფთა შემოსავლის კომპენსაცია თვეების განმავლობაში შეწყვეტილი ბიზნესისთვის. შეფასება უნდა ემყარებოდეს საგადასახადო დეკლარაციას ან , მისი არარსებობის შემთხვევაში, ხუთი სულისგან შემდგარი შინამეურნეობის საარსებო მინიმუმს (თუ ოჯახი შედგება ხუთი ან ნაკლები წევრისგან და კორექტირება მოხდება შესაბამისად უფრო დიდი ოჯახებისთვის). მუდმივი მოსამსახურე / დასაქმებული პირები: დაკარგული ხელფასის კომპენსაცია 3 თვის რეგულარული ხელფასის ოდენობით ან სამი თვის საარსებო მინიმუმით (თუ ხელფასი მაღალია საარსებო მინიმუმზე : (თუ ოჯახი შედგება ხუთი ან ნაკლები წევრისგან და კორექტირება მოხდება შესაბამისად უფრო დიდი ოჯახებისთვის). ღონისძიებები განხორციელდება საარსებო საშუალებების სრულად აღდგენის უზრუნველსაყოფად ინდივიდუალური გეგმის თანახმად 7.3 პუნქტის შესაბამისად. თუ იჯარის ხანგრძლივობა განსხვავდება შეფერხების რეალური პერიოდის ხანგრძლივობისგან, მაშინ ის უნდა შესაბამისად შეიცვალოს შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) /განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) მომზადების პროცესში.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებთან წვდომის შეზღუდვა	კანონიერად გამოყოფილ პარკებთან და დაცულ ტერიტორიებთან წვდომის უნებლიე შეზღუდვა, რასაც მოჰყვება უარყოფითი ზემოქმედება იძულებით გადაადგილებული პირების საარსებო საშუალებებზე.	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა პირი (PAPs) სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად (პირები, რომლებიც დარეგისტრირდებიან, არაოფიციალური მოსახლეები / და პირები რომლებიც არ დარეგისტრირდებიან))	ა) ღონისძიებები იდენტიფიცირებული იქნება იძულებით გადაადგილებული პირების დასახმარებლად, მათი საარსებო პირობების გასაუმჯობესებლად მატრიცის შესაბამისად, რომელიც შემუშავებულია ზემოქმედების ქვეშ მყოფი თითოეული პირის შეფასების საფუძველზე და მიზნად ისახავს საარსებო საშუალებების აღდგენას რეალურად, პარკის ან დაცული ტერიტორიის მდგრადობის შენარჩუნების პარალელურად. და (ბ) გადაიჭრება პოტენციური კონფლიქტები იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობით.
დახმარებები			
მწვავე ზემოქმედება	შემოსავლის > 10% დაკარგვა	მწვავე ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა შინამეურნეობა არაოფიციალური მოსახლეების და იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც არ იქნებიან მართლზომიერ მფლობელად რეგისტრირებულნი (მწვავე ზემოქმედება ნიშნავს სასოფლო - სამეურნეო მიწის დაახლოებით 10%-ის დაკარგვას)	სასოფლო - სამეურნეო შემოსავალი: სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის დამატებით 2 კომპენსაცია: 1 წლის მოსავლის ანაზღაურება ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ტერიტორიიდან. სხვა შემოსავალი: 1 დამატებითი კომპენსაცია 3 თვის საარსებო მინიმუმის ოდენობით.
ადგილმონაცვლეობა / გადაადგილება	ტრანსპორტის/ გადაადგილების ხარჯები	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა შინამეურნეობა, რომელსაც მოუწევს ადგილმდებარეობის შეცვლა	დახმარება სატრანსპორტო ხარჯების ასანაზღაურებლად
მოწყვლადი პირებისთვის განკუთვნილი დახმარებები (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, ოჯახები სადაც უფროსი		ზემოქმედების ქვეშ მყოფი შინამეურნეობები, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებიან, ოჯახები სადაც უფროსი ქალია, შშმ პირები ან მოხუცები	სამი თვის საარსებო მინიმუმის ეკვივალენტური დახმარება ხუთი წევრისგან შემდგარი ოჯახისთვის * და დასაქმების პრიორიტეტი პროექტთან დაკავშირებულ სამუშაო ადგილებზე. ეს არის დამატებითი დახმარება მოწყვლადი სტატუსის მქონე

მარტოხელა ქალია, ლტოლვილები, I და II ჯგუფის შშმ პირები და მოხუცები)			პირებისთვის ამ მატრიცით გათვალისწინებულ სხვა კომპენსაციასთან ერთად.
დროებითი დანაკარგი			
გაუთვალისწინებელი განსახლების ზემოქმედება, ასეთის არსებობის შემთხვევაში			განსახლების გაუთვალისწინებელი ზემოქმედებისთვის (არსებობის შემთხვევაში), უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი რეაგირება და შერბილება / კომპენსაცია.

5.4. დახმარებები მოწყვლადი ჯგუფებისთვის

მსოფლიო ბანკის (WB) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მითითებების და საბაზისო სოციალურ - ეკონომიკური კვლევის თანახმად, მოწყვლად ჯგუფებში შეიძლება შეყვანილ იქნენ: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები, [9] ოჯახები რომელთა უფროსიც ქალია, ლტოლვილები, I და II ჯგუფს მიკუთვნებული შშმ პირები და მოხუცები. მოწყვლად ჯგუფებს შორის, არამოწყვლად ჯგუფებთან შედარებით, შეიძლება წამოიჭრას შემდეგი საკითხები:

- ოჯახის უფროსს შეიძლება არ შეეძლოს მოლაპარაკების წარმოება სამართლიანი ჩანაცვლებითი ღირებულების მისაღებად ზემოქმედების ქვეშ მყოფი უძრავი აქტივების სანაცვლოდ;
- ქალებს შეიძლება უფრო მეტად გაუჭირდეთ მიღებული კომპენსაციის შენახვა ან დაზოგვა. რამდენადაც სიღარიბე უფრო მეტად გავრცელებულია იმ ოჯახებში სადაც უფროსი ქალია, ეს უკანასკნელნი შეიძლება იძულებულნი გახდნენ მიღებული კომპენსაცია დახარჯონ სურსათზე ან ოჯახის ავადმყოფი წევრების მოვლაზე.
- მოწყვლადი ოჯახების მიერ ზემოქმედების ქვეშ არსებული მიწის ფლობის შემთხვევაში, ეს ოჯახები შეიძლება დისკრიმინირებულ იქნენ ჩასანაცვლებელი მიწის განაწილებისას.
- ქალები და ბავშვები შეიძლება აღმოჩნდნენ დროსთან დაკავშირებული პრობლემების წინაშე სანაცვლო საცხოვრისის მშენებლობის თვალსაზრისით, სხვა ეკონომიკური და საოჯახო პასუხისმგებლობების გამო.

- მოწყვლადი ოჯახები შეიძლება არახელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდნენ ადგილობრივ მშენებლებთან ხელშეკრულების გაფორმებისას.

ზემოქმედება, რომელიც უკავშირდება მოწყვლადობის გენდერულ და სხვა წყაროებს მოითხოვს სათანადო მიდგომების ჩამოყალიბებას, რაც მოიცავს ადგილობრივად ადეკვატურ ჩანაცვლებით ღირებულებას, ადგილმონაცვლებული აქტივების საკუთრების ან მფლობელობის გულდასმით კვლევას და ფულადი კომპენსაციის სანაცვლოდ რეალისტური ალტერნატივის შეთავაზებას ნატურალური ფორმით. განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) შემმუშავებლები უნდა თანამშრომლობდნენ გარე მხარეებთან საჭიროებების და პოტენციური გადაწყვეტების იდენტიფიკაციის მიზნით. განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) შემმუშავებლები პასუხისმგებელნი არიან მოწყვლადი პირების და ჯგუფების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, რომლებიც შეიძლება გამოჩნდეს აღწერის/ ინვენტარიზაციის მომზადების პროცესში, ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი აქტივების შეფასებისას ან სოციალურ - ეკონომიკური კვლევის განხორციელებისას და ასევე აღნიშნულის გათვალისწინებაზე განხორციელების გრაფიკში.

5.5. ექსპროპრიაცია და ლეგალიზაცია

ექსპროპრიაციის გზით მიწის შეძენა ხანგრძლივ პროცედურებს მოიცავს. შესაბამისად, ასეთი მიდგომა პროექტში გამოყენებული იქნება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები და პროექტის შემსრულებელი უწყებები ვერ მოილაპარაკებენ და არ იქნება რაიმე ალტერნატიული მიწის ნაკვეთი, რომელიც ქვეპროექტის განხორციელებას შესაძლებელს გახდის. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, პროექტის შემსრულებელი უწყებები მიწის ნაკვეთზე არ შევლენ მანამ, სანამ: (i) ინიცირებული არ იქნება კანონით დადგენილი სათანადო სამართლებრივი პროცესი; (ii) მიღებული და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის მიწოდებული არ იქნება სასამართლოს აკრძალვა.
თუ მიწის ნაკვეთი, რომელსაც ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი კარგავს, სათანადოდ დარეგისტრირებული არ არის ან თუ ამ პირს აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე სათანადოდ გაფორმებული საკუთრების უფლება არ აქვს, მაგრამ ამავე დროს მისი კანონიერი მფლობელია და ამ უფლების ლეგალიზაციის შესაძლებლობა არსებობს, მოხდება საკუთრების უფლების ლეგალიზაცია და მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია მიწის რეესტრში. ამის შემდეგ, ასეთი პირები ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის განკუთვნილ სრულ კომპენსაციას მიიღებენ.

5.6. გენდერის გათვალისწინება და შემარბილებელი ღონისძიებები

იმ ტერიტორიებზე, სადაც პროექტი უნდა განხორციელდეს, ქალები მნიშვნელოვან ეკონომიკურ როლს ასრულებენ და შემოსავლის მომტან მრავალფეროვან საქმიანობებში

არიან ჩართულნი სოფლის მეურნეობისა და მარკეტინგის სფეროში. პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმას, რომ ქალებმა მათი აქტივობების შესატყვისი კომპენსაციები მიიღონ, ხოლო ის ქალები, რომლებიც ოჯახის დეფაქტო უფროსები არიან, შეყვანილნი იყვნენ ამ სესხის ფარგლებში გათვალისწინებული კომპენსაციების და რეაბილიტაციის ბენეფიციართა სიაში. ზემოთქმულის უზრუნველყოფის მიზნით, განხილული იქნება შემდეგი ქმედებები:

- ქალებისათვის სათანადო და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება მათთვის გასაგებ ენაზე და მათთვის ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით;
- ქალებისთვის ინფორმაციის წვდომის უზრუნველყოფა და მათ ნებისმიერ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად საკმარისი რაოდენობის თანამშრომელთა არსებობა;
- უზრუნველყოფა იმისა, რომ მიწის შეძენისა და განსახლების პროცესი ქალებს არახელსაყრელ პირობებში არ აყენებს;
- ქალების განსაკუთრებული საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინება ახალი მიწის ნაკვეთისა და საცხოვრისის დიზაინის შემუშავების, მომსახურებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და კომპენსაციების გადახდის პროცესში;
- ლიდერი ქალების და ქალთა ჯგუფების ჩართვა შემოსავლების აღდგენის პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში, უკეთესი შემოსავლების მიღების შესაძლებლობების შექმნის მიზნით;
- მონიტორინგისა და შეფასების ინდიკატორებში გენდერული თვალსაზრისით სპეციფიკური კითხვებისა და ინდიკატორების შეტანა. ქალების მონაწილეობით ერთობლივი მონიტორინგის სათანადო მექანიზმების შემუშავება.

VI. ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი აქტივების შეფასების მეთოდები

მიწის შეძენასთან და სერვიტუტთან დაკავშირებით მიღებული ზარალის, დაკარგული აქტივების და სხვა სახის ზემოქმედების გამო მისაღები კომპენსაციის სიდიდეს დაითვლის შემსრულებელი უწყების (განათლების სამინისტროს) მიერ კონტრაქტის საფუძველზე დაქირავებული დამოუკიდებელი ექსპერტი, მსოფლიო ბანკის „საოპერაციო პოლიტიკაში“ (OP 4.12) მოცემული მოთხოვნებისა და ქვემოთ აღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად:

<u>ჩანაცვლების ღირებულება:</u> მიწისა და ნაგებობების ჩანაცვლების ღირებულების გამოანგარიშებას საფუძვლად დაედება: (1) საკუთრების უფლების ჩამორთმევის მომენტში არსებული სამართლიანი საბაზრო ღირებულება, (2) ტრანზაქციის/ ლეგალიზაციის ხარჯები, სხვა გადასახადები და მოსაკრებლები; (3) გარდამავალი

ღონისძიებებისა და აღდგენის (მიწის მომზადების და რეკონსტრუქციის) ხარჯები; და (5) სხვა შესაბამისი თანხები. ჩანაცვლების ღირებულების ტოლი კომპენსაციის უზრუნველსაყოფად, შეძენილი აქტივების ჩანაცვლების ღირებულების გამოანგარიშების დროს გამოყენებული იქნება საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, მსოფლიო ბანკის „საოპერაციო პოლიტიკის“ (WB OP 4.12-ის) შესაბამისად.

შეფასების პროცესში შემსრულებელი უწყება სთხოვს ადგილობრივ/სოფლის ადმინისტრაციას გამოავლინოს ისეთი მიწის ნაკვეთი, რომელიც ჩანაცვლებისთვის დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს და განსაზღვროს ამ მიწის შესაძენად პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ან პროექტის ხარჯები. თუ ჩანაცვლებისთვის გამოსადეგი მიწა ადგილობრივად ვერ მოიძებნა, საჭიროა ფულადი კომპენსაციის გამოანგარიშება. როგორი ფორმითაც არ უნდა გაიცეს კომპენსაცია, მიწის ნაკვეთით თუ ფულადი თანხით, შეფასებაში შეტანილი უნდა იყოს ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მიწის მდგომარეობის დონემდე ახალი მიწის მომზადების ხარჯები პლუს მიწის რეგისტრაციის ხარჯები, ყველა შესაბამისი გადასახადის ჩათვლით. ნაგებობების შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მათი ზომები და გამოყენებული სამშენებლო მასალები. ჩანაცვლების ღირებულების განსაზღვრის ან ჩანაცვლებისთვის გამოყენებული ნაგებობების დაპროექტების დროს აქტივის ცვეთა და ხელმეორედ გამოყენებადი მასალების ღირებულება არ უნდა იყოს გათვალისწინებული.

6.1. შეფასების პრინციპები

მიწისა და აქტივების შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:

- რეგიონალური ცხრილები, რომელსაც ამჟამად მიწის საკითხების განმხილავი მუნიციპალური კომისიები მიწის ფასების დასადგენად იყენებენ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ცხრილები, რომელსაც ამჟამად ადგილობრივი მუნიციპალიტეტები ნაგებობების, მოსავლის და ხეების შესაფასებლად იყენებენ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- ამჟამად არსებული საბაზრო ფასები.

იმისთვის, რომ მიღებული თანხა მიწის, დაკარგული აქტივების და ა.შ. ჩანაცვლებისთვის საჭირო თანხას უდრიდეს, ერთი ერთეულის ღირებულება გამოანგარიშებული იქნება ახლანდელი საბაზრო ღირებულების მიხედვით. მიწის, ნაგებობების, შენობების, ხეების და მოსავლის შესაფასებლად დაქირავებული უნდა იყოს გამოცდილი და რეგისტრირებული დამოუკიდებელი სააუდიტორო კომპანია. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილ პირს შესაძლებლობა ეძლევა საკუთარი ხარჯებით აირჩიოს შემფასებელი კომპანია. თითოეული ტიპის მიწისა და აქტივის შეფასების პროცესში შემფასებელმა უნდა გაითვალისწინოს მათი მდებარეობა. შეფასება უნდა გაკეთდეს მაშინ, როდესაც ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მიწის ნაკვეთების რუკებისა და საზღვრების

შედგენაზე მომუშავე კომპანია მოსახლეობას აღრიცხავს და დეტალურ აზომვით სამუშაოებს შეასრულებს. შემფასებელი კომპანია სამუშაოებში ჩართავს შესაბამისი სფეროების ექსპერტებს, რომლებიც ადგილზე დაათვალიერებენ ობიექტებს თითოეული კატეგორიის დანაკარგის დამოწმების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფი განიხილავს ადრე გაკეთებულ შეფასებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გამოიყენებს ბაზრის ყველაზე ბოლო კვლევას.

ქვემოთ აღწერილია სხვადსხვა საგნებისთვის გასაცემი კომპენსაციის შეფასების მეთოდოლოგია.

6.2. სტრუქტურები

საცხოვრებელი შენობები, კომერციული ნაგებობები და ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი სხვა ნაგებობები (როგორიცაა მაგალითად ბეღელი, ღობე და გარე სამზარეულო) შეფასდება ჩანაცვლების ღირებულებით კონსტრუქციის ტიპის, მასალების ღირებულების, მშენებლობის ტიპის, მუშახელის და სხვა სამშენებლო ხარჯების გათვალისწინებით. თანხას არ აკლდება ცვეთა და საოპერაციო ხარჯები. ჩასანაცვლებელი საცხოვრებლის შეფასებაში შეტანილი იქნება სანტექნიკური მოწყობილობების ღირებულება. შეფასება აგრეთვე გათვალისწინებული იქნება წყალმომარაგების ხელმისაწვდომობა, თუ ის იყო ჩასანაცვლებელ ადგილზე ან თუ ის არ არის ახალ ადგილზე. ინფორმაცია ხარჯების შეფასების შესახებ მიღებული უნდა იყოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების, სხვა ადგილობრივი მცხოვრებლების, ზემოქმედების ზონაში მომუშავე კონტრაქტორებისა და მიმწოდებლებისგან. ამ შეფასებებში არ შედის მიწის ღირებულება. დაუსრულებელი ან ჩამონგრეული საცხოვრებელი შენობები შეფასდება მასალების ჩანაცვლების ღირებულების საფუძველზე. ასეთი ნაგებობებისთვის შეთავაზებული იქნება მხოლოდ ფულადი და არა ნატურით კომპენსაცია.

სახლები და შენობები: აქტივების საბაზრო ღირებულების დასადგენად დაიდება კონტრაქტი დამოუკიდებელ შემფასებელ ექსპერტთან.

ჩანაცვლების ღირებულება დადგენა მოხდება როგორც საბაზრო ღირებულების, ასევე მასალების ფასების, მშენებლობის ტიპის, მუშახელის, ტრანსპორტის და სხვა სამშენებლო ხარჯების გათვალისწინებით. მიღებულ თანხას არ აკლდება ცვეთა, ხელმეორედ გამოყენებული მასალების თანხა და საოპერაციო ხარჯები.

6.3. მიწა

სასოფლო-სამეურნეო მიწის შეფასება მოხდება ჩანაცვლების ღირებულებით, ორი სხვადასხვა მეთოდოლოგიიდან ერთ-ერთის გამოყენებით. არჩევანი დამოკიდებული

იქნება იმაზე, არსებობს თუ არა პროექტის ზემოქმედების ტერიტორიაზე მიწის აქტიური ბაზარი:

ა) მიწის აქტიური ბაზრის არსებობის შემთხვევაში, მიწის კომპენსაცია განისაზღვრება მისი ჩანაცვლების ღირებულებით, ზემოქმედების წინა წელს გაყიდული მიწების ფასების შესწავლის გზით;

ბ) მიწის აქტიური ბაზრის არსებობის შემთხვევაში, მიწის კომპენსაცია განისაზღვრება დაკარგული მიწის ნაკვეთის მსგავსი მახასიათებლების, ხელმისაწვდომობის და პროდუქტიულობის მქონე მიწის ნაკვეთის აღდგენის ღირებულებით. ამ ორ სიტუაციაში გამოსაყენებელი მეთოდოლოგიები მკაფიოდ და დეტალურად იქნება გაწერილი „განსახლების სამოქმედო გეგმაში.

სერვიტუტის ხელშეკრულებებისთვის მიწის შეფასების დროს სავალდებულოა გამოყენებული იყოს მიწის საბაზრო ღირებულება ან სუფთა მიმდინარე ღირებულება (როგორც ეს ზემოთ იყო განმარტებული). ისეთ შემთხვევებში, როდესაც სერვიტუტის ხელშეკრულება მომავალში მიწის გამოყენების საშუალებას იძლევა დაბალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად, შესათავაზებელი ფულადი კომპენსაციის თანხის განსაზღვრისას კომპენსაცია უნდა შემცირდეს მიწის შეფასების პროცესში დადგენილი თანხით. სერვიტუტის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკება წარიმართება იმავე გზით, როგორც მიწის შესყიდვის შემთხვევაში.

ამ კომპენსაციის თანხაში არ შედის სერვიტუტის გამო განადგურებული ხეებისა და მოსავლის საკომპენსაციო თანხა. მოსავლის ღირებულება სრულად უნდა იყოს ანაზღაურებული.

მიწის ნაკვეთები ურბანულ და ურბანულის მსგავს ტერიტორიებზე უნდა შეფასდეს იგივე ზომისა და გამოყენების მქონე მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასის მიხედვით, რომელსაც აქვს მსგავსი ან გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და სერვისები და მდებარეობს ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მიწის მახლობლად. სავარაუდოდ ფასები განსხვავებული იქნება სხვადასხვა რეგიონებში და მიწისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ასპექტების მიხედვით.

მიწის ჩანაცვლების ღირებულების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს ტრანზაქციის ხარჯები, როგორიცაა რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რეგისტრაციის რაიონულ ოფისში და საკუთრების უფლების აღიარების რაიონულ კომისიაში.

6.4. წლიური მოსავალი

პირველი წლის მოსავლის შეფასება მოხდება ადგილზე შესყიდვის მთლიანი საბაზრო ფასის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს ერთ წელზე მეტი პერიოდის კომპენსაცია ეკუთვნის, მეორე წლიდან მოსავლის კომპენსაცია მოხდება სუფთა საბაზრო ღირებულებით. საბაზრო განაკვეთებსა და ღირებულებას დასადგენად დაიდება ხელშეკრულება სასოფლო სამეურნეო მიწების შემფასებელ სპეციალისტთან, რომელიც დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ მესამე მხარეს წარმოადგენს.

6.5. ხეები

ხეების შესაფასებლად სხვადასხვა მეთოდები იქნება გამოყენებული, იმის მიხედვით არის თუ არა მოჭრილი ხე საშეშე თუ ნაყოფის მომცემი.

ა) ის ხეები, რომლებიც ნაყოფს არ ისხამენ, შეფასდება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით (ა. ნერგები; ბ. საშუალო ასაკის ხეები; და გ. ზრდასრული ხეები) და შეშის ფასისა და რაოდენობის მიხედვით;

ბ) ხეხილის ხეები / ნაყოფის მომცემი ხეები შეფასდება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით (ა. ნერგები; ბ. საშუალო ასაკის არა-მსხმოიარე ხეები; და გ. მსხმოიარე ხეები). (ა) და (ბ) ასაკის ხეებისთვის კომპენსაცია განისაზღვრება ინვესტირებული თანხის საფუძველზე; (გ) ასაკის ხეების კომპენსაციის თანხის დასადგენად 1 წლის სუფთა საბაზრო ღირებულება მრავლდება წლების იმ რაოდენობაზე, რაც ახალი სრულად პროდუქტიული ხის გაზრდას სჭირდება.

ერთი ერთეულის კომპენსაციის თანხას ადგენენ პროექტის კონსულტანტები ან უფლებამოსილი დამოუკიდებელი შემფასებელი მკაფიო, გამჭვირვალე და მსოფლიო ბანკისთვის მისაღები მეთოდოლოგიის გამოყენებით.

6.6. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი მოწყვლადი შინამეურნეობები

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოწყვლად ოჯახებს ეკუთვნით შემწეობა, რომლის თანხა მინიმუმ 3 თვის საარსებო მინიმუმს უდრის. ამასთან ერთად მათ პროექტთან დაკავშირებულ სამუშაოზე დასაქმების პრიორიტეტი ენიჭებათ. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი მოწყვლადად ითვლება თუ ის რეგისტრირებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი ქვედანაყოფის მოწყვლად პირთა სიაში ან თუ შინამეურნეობის უფროსი ქალია და ჰყავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე წევრები. ის შინამეურნეობები, რომელთა შემადგენლობაში საპენსიო ასაკის წევრები შედიან, შემწეობას მიიღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრირებულნი არიან ღარიბი მოსახლეობის სიაში.

VII. კუთვნილი უფლებების რეალიზაცია

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთა კუთვნილი უფლებების რეალიზაციის პასუხისმგებლობა შემსრულებელ უწყებას ეკისრება. ამის უზრუნველსაყოფად პროექტის შემსრულებელი უწყებები მჭიდროდ ითანამშრომლებენ ადგილობრივ ადმინისტრაციულ ერთეულებთან. ეს ადგილობრივი უწყებები კრიტიკული მნიშვნელობის მქონე დამაკავშირებელი რგოლის როლს შეასრულებენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებსა და პროექტის შემსრულებელი უწყებას შორის.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ პროექტის შემსრულებელმა უწყებებმა უზრუნველყონ შემდეგი:

ა) "განსახლების სამოქმედო გეგმა" განხორციელება მანამ, სანამ კონტრაქტორი შევა მიწის ნაკვეთზე მშენებლობის დასაწყებად (პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს უკვე მიღებული უნდა ჰქონდეთ სათანადო კომპენსაცია);

ბ) კომპლექსური სამართლებრივი შესწავლის განხორციელება და კონტაქტის დამყარება მიწის მფლობელთან. იმ შემთხვევაში, თუ მიწის მფლობელი ვერ იძებნება (მესაკუთრე არ არის ქვეყანაში) ან საკუთრებაზე უფლებას აცხადებს რამდენიმე პირი, თანხა უნდა ჩაირიცხოს პირობით სადეპოზიტო (ესქროუ) ანგარიშზე მანამ, სანამ მფლობელთან არ დაიდება კონტრაქტი ან საკუთრების უფლება არ დადგინდება. <u>თუ ერთი წლის მანძილზე მფლობელების მოძებნა ვერ მოხერხდა, ესქროუ ანგარიში დაიხურება.</u>

7.1. ადგილმონაცვლეობის ზემოქმედების შერბილების პროცესი

სოციალური და განსახლებასთან დაკავშირებული ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების, იდენტიფიცირების, შერბილებისა და კომპენსაციის გაცემის პასუხისმგებლობა იქნება გაზიარებული ორ უწყებას შორის - განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის.

განათლების სამინისტრო მოახდენს სკრინინგს და განახორციელებს ადგილმონაცვლეობასა და განთავსებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს რათა შეარბილოს ნებისმიერი ზეგავლენა დაკავშირებული სკოლის ოპერირებასთან და რაც არის უშუალოდ სამინისტროს კომპეტენცია და მანდატი. აღნიშული გავლენა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, მასწავლებლების, სტუდენტების და სკოლის პერსონალის სხვა შენობაში განთავსებასა და ტრანსპორტირებას, მასწავლებლებისა და სხვა პერსონალის ხელფასების უწყვეტი გადახდას, სკოლასთან დაკავშირებული საქმიანობების: სპორტი, კლუბები, კაფეტერია უწყვეტი ოპერირებას და ა.შ. კონტრაქტუალური ვალდებულების შესასრულებლად მოვაჭრეები უნდა იყვნენ მუდმივად ინფორმირებული პროექტთან დაკავშირებული საქმიანობების შესახებ. შემარბილებელი ღონისძიებები, რომელიც აღწერილია ზევით არ საჭიროებს განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებას, თუმცა ჩაწერილი და აღწერილი იქნება

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაში. კერძო ბიზნესზე, შემოსავალზე ან სხვა საარსებო წყაროზე ზეგავლენის შემთხვევაში, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სკოლის ოპერირებას, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო იქნება პასუხისმგებელი განსახლების სამოქმედო გეგმის/ გამარტივებული განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებაზე და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისთვის კომპენსაციის გაცემაზე განსახლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იდენტიფიცირებას მოახდენს და შეიმუშავებს განსახლების შემარბილებელ ღონისძიებებს სკოლის ოპერირების გარეთ სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედების შემთხვევაში, რომელიც ცდება სამინისტროს კომპეტენციას. ეს ზემოქმედება შესაძლოა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, მუდმივი ან დროებითი მიწის თუ ქონების (როგორიცაა ხეები, ღობეები, დამხმარე ნაგებობები) დაკარგვით, იმ დაინტერესებული მხარეების შემოსავლის ან/და შემოსავლის წყაროს დაკარგვით, რომელიც არ წარმოადგენს სკოლის პერსონალს (მაგალითად სკოლასთან სიახლოვეს განთავსებული მოვაჭრეები), კერძო საკუთრების ან შემოსავლის დროებითი ზიანის მიყენებით. იმ შემთხვევაში თუ მსგავს ზემოქმედებას ჰქონდა ადგილი, მგფ იქნება პასუხისმგებელი მოამზადოს განსახლების სამოქმედო გეგმა/ გამარტივებული განსახლების სამოქმედო გეგმა და გასცეს გეგმით გათვალისწინებული კომპენსაციები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისთვის.

თუ საჭიროა განსახლების სამოქმედო გეგმის/ შემოკლებული განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადება, განმახორციელებელი უწყებები უზრუნველყოფენ, რომ დამოუკიდებელი კონსულტანტი/ კომპანია განსახლების სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად ჩართული იყოს ნებისმიერი კვლევის და დოკუმენტაციის, მათ შორის, საკადასტრო კვლევის, ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების აღწერის, დანაკარგების აღრიცხვის და ჩანაცვლებითი ღირებულებით მიწის და აქტივების შეფასების მომზადებაში. განსახლების სამოქმედო გეგმა მომზადდება კვლევების მიგნებების საფუძველზე თითოეული ქვეპროექტისთვის დასკვნითი დეტალური საინჟინრო პროექტის შემდეგ. ამასთან ერთად, განმახორციელებელი უწყებები უზრუნველყოფენ ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან სათანადო კონსულტაციების ორგანიზებას, უსაფრთხოების ყველა აუცილებელ მექანიზმთან დაკავშირებით და სხვა ღონისძიებებს 4.12 ოპერაციული პროცედურის შესაბამისად, ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ინფორმირების ჩათვლით, საჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით, რომელიც აღწერილია განსახლების პოლიტიკის ამ ჩარჩოში.

7.2. საარსებო საშუალებების აღდგენის ხელშეწყობა

საჭიროების შემთხვევაში, თითოეულ პროექტთან დაკავშირებით, საარსებო საშუალებების აღდგენის მიზნით, ინსტიტუციური მხარდაჭერა განხორციელდება.

განსახლებისა და მიწის შეძენის მონიტორინგი და შეფასება სისტემატიურად განხორციელდება.

VIII. საჯარო განხილვები, მონაწილეობა და დოკუმენტების გამჟღავნება

ადამიანთა ადგილმონაცვლეობა და მათთვის კომპენსაციების გადახდა მონაწილე მხარეებთან კომუნიკაციას ან დიალოგს გულისხმობს. კონსულტაციებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის პროცესი ოთხი ეტაპისგან შედგება: (i) მონაცემთა შეგროვება; (ii) განსახორციელებელი ღონისძიებების მომზადება და დაგეგმვა; (iii) ღონისძიებების განხორციელება; და (iv) მონიტორინგი და შეფასება.

8.1. მონაცემთა შეგროვების ეტაპი

მოქმედი მხარეები: მუნიციპალური განვითარების ფონდი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციები, დამოუკიდებელი კონსულტანტები.

მონაცემთა შეგროვების ეტაპზე მოქმედი მხარეები მთავარ სამუშაო ძალას წარმოადგენენ. ეს პროცესი მოიცავს კონსულტაციებს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებსა და სხვა შესატყვის დაინტერესებულ მხარეებთან. შეგროვებული მონაცემები გამოყენებული იქნება როგორც გამოყენებული შემარბილებელი სოციალური ზომების მონიტორინგის ინსტრუმენტები.

მონაცემთა შეგროვების ეტაპზე ჩატარდება კონსულტაციები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან, მათი საარსებო საშუალებების შესახებ სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის მიღების მიზნით. ამასთან ერთად, შემსრულებელი უწყების, პროექტის სოციალური ზემოქმედების და შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან შეხვედრები ჩატარდება სოფლის კომიტეტებში. ამის შემდეგ, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების მიერ მიწოდებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება ქვეპროექტის განხორციელების პროცესში, დაგეგმვის ეტაპით დაწყებული და შეფასებით ეტაპით დამთავრებული.

8.2. დაგეგმვის ეტაპი

მოქმედი მხარეები: მუნიციპალური განვითარების ფონდი, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები (დაგეგმვაში მონაწილეობა, განმხილველ საბჭოზე მსჯელობა და რჩევების მიცემა), ადგილობრივი თემების წარმომადგენლები. სხვადასხვა მონაწილე მხარეების მიერ შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვასა და კოორდინაციას საკვანძო მნიშვნელობა აქვს კომპენსაციების სქემების წარმატებული განხორციელებისთვის. პროექტის

ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან ჩატარდება კონსულტაციები მათი პოზიციის გასარკვევად წამოჭრილი საკითხების შესახებ. მათი სამუშაო პროგრამების / ბიზნეს-აქტივობების განხორციელების საჭიროებები აისახება კომპენსაციების გეგმებში.

სამუშაო კონცენტრირებული იქნება: (ა) კომპენსაციებისთვის სამართლებრივი ჩარჩოს შეჯამება; (ბ) კომპენსაციების გადასახდელად საჭირო ინსტიტუციური სქემებისა და მექანიზმების შექმნა; (გ) თითოეული დაინტერესებული მხარის დავალებებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა; და (დ) სამუშაოების გეგმის შედგენა.

8.3. განხორციელების ეტაპი

მოქმედი მხარეები: მთავარი მოქმედი მხარე არის შემსრულებელი უწყება. აგრეთვე მსოფლიო ბანკი და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები (შეთანხმებების მოწონება).

შემსრულებელი უწყება კომპენსაციების გადახდის ოპერაციებს განახორციელებს მის მიერ დაქირავებული სპეციალისტების გუნდის მეშვეობით. კომპენსაციის შემუშავებული სქემები განხილული იქნება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან. კომპენსაციის ძალაში შესვლამდე ინფორმაცია მათთვის შეთავაზებული ფულადი კომპენსაციის თანხის და მიწის ოდენობის შესახებ განსახილველად და მოსაწონებლად მიეწოდება ზემოქმედების ქვეშ მყოფ ყველა პირს (ქმარს და ცოლს) ვისაც კომპენსაციის მიღების უფლება აქვს.

8.4. მონიტორინგისა და შეფასების ეტაპი

მოქმედი მხარეები: შემსრულებელი უწყება, დამოუკიდებელი კონსულტანტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები.

კომპენსაციების ოპერაციების დასრულების შემდეგ პროექტის შემსრულებელი უწყებები მოაწყობენ სამუშაო შეხვედრებს სამთავრობო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების წარმომადგენლებთან.

პროექტის შეფასებამდე ეს „განსახლების პოლიტიკის ჩარჩო“ ქართულ ენაზე გამოქვეყნდება მუნიციპალური განვითარების ფონდის და განათლების სამინისტროს ვებგვერდებზე და ოფისებში. ქვეპროექტების იდენტიფიკაციის შემდეგ “განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს“ ქართული ვერსია აგრეთვე მიეწოდება ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს შესაბამის მუნიციპალურ ოფისში (მერიაში) და სოფლის ადმინისტრაციაში (საკრებულოში). ინგლისური ვერსია გამოქვეყნდება მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე პროექტის შეფასებამდე და მას შემდეგ, რაც განსახლების პოლიტიკის ჩარჩო მოწონებული იქნება შემსრულებელი უწყებების ე.ი. მუნიციპალური განვითარების ფონდის და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ. მას შემდეგ, რაც

განსახლების პოლიტიკის ჩარჩო ან ქვეპროექტი შემუშავდება და დამტკიცდება პროექტის შემსრულებელი უწყებების და მსოფლიო ბანკის მიერ, ის გამოქვეყნდება შესაბამისი ადგილობრივი მთავრობის ოფისებში. ქართულ ენაზე შედგენილი ბუკლეტი, რომელშიც შეჯამებული იქნება დებულებები კომპენსაციების მიღების უფლებების შესახებ, დაურიგდება ზემოქმედების ქვეშ მყოფ ყველა პირსა და შინამეურნეობას მანამ, სანამ მოხდება კომპენსაციის / რეაბილიტაციის პროცესის ინიცირება და ხელი მოეწერება კონტრაქტებს. კონსულტაციების პროცესი გაგრძელდება პროექტის მთელი ციკლის მანძილზე.

IX. საჩივრები და გასაჩივრების პროცესები

9.1. საჩივრების შემსწავლელი კომისიის ჩამოყალიბება და საჩივრების განხილვის პროცესი

შეიქმნება საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომელიც საშუალებას მისცემს ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს გაასაჩივრონ ნებისმიერი გადაწყვეტილება ისეთი ქმედებების შესახებ, რომელთა გამოც ისინი დროებით ან მუდმივად კარგავენ მიწას, აქტივებს ან შემოსავლის წყაროს და ამ დანაკარგით გამოწვეული კომპენსაციების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების საჩივრების გადაწყვეტა მოხდება პროექტისთვის შექმნილი და დამტკიცებული „საჩივრების განხილვის მექანიზმის“ მეშვეობით. განათლების სამინისტრო და მუნიციპალური განვითარების ფონდი მჭიდროდ ითანამშრომლებენ პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების მთელი ციკლის მანძილზე, იმისთვის, რომ ხელი შეუწყონ საჩივრების განხილვის პროცედურების განხორციელებას და ადვილად ხელმისაწვდომი გახადონ უკუკავშირი და გასაჩივრება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის. მას შემდეგ, რაც მუნიციპალური განვითარების ფონდი ან განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საჩივარს / უკუკავშირს მიიღებენ, ისინი დაუყოვნებლივ აცნობებენ ერთმანეთს აღნიშნულის შესახებ. საჩივრის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი ზომების განხორციელება მოხდება ქვემოთ აღწერილი პროცედურების შესაბამისად:

საჩივრების გადაწყვეტის პროცესი ორი ეტაპისგან შედგება. ესენია:

ეტაპი # 1 – ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მიერ წერილობით ან ზეპირად გამოთქმული საჩივრის არაფორმალური (ზეპირი) განხილვა. ამ ეტაპზე ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის საჩივარი უნდა განიხილოს საჩივრების შემსწავლელმა კომისიამ არაფორმალური (ზეპირი დისკუსიის) გზით და კომისიის ორივე დონის წევრებმა (კომისიის შემადგენლობა აღწერილია ამ თავში) უნდა შეადგინონ და ხელი მოაწერონ შეხვედრის ოქმს. თუ პირველ ეტაპზე ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის საჩივარი ვერ გადაწყდა, მას უნდა ეცნობოს საჩივრების გადაწყვეტის მეორე ეტაპის პროცედურების შესახებ. ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს უფლება აქვს პირველი ეტაპის პროცედურების გვერდის ავლით პირდაპირ მეორე ეტაპის პროცედურები გამოიყენოს.

ეტაპი # 2 – ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის საჩივრის განხილვა. პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის მანძილზე საჩივრების შემსწავლელი კომისია ვალდებულია განიხილოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების წერილობითი საჩივრები, რომელთა დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა პირველ ეტაპზე. მეორე ეტაპზე ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის მიერ გასაჩივრებული საკითხი აუცილებლად უნდა გადაწყდეს და საჩივრების შემსწავლელი კომისია ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.

საჩივრების განხილვის პირველ ეტაპის პროცედურები დავის გადაწყვეტის არაფორმალურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამ გზით პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს და პროექტის განმახორციელებელ გუნდს საშუალება ეძლევათ მათ შორის არსებული დავები ფორმალური პროცედურების, დროის გაჭიანურების და დაბრკოლებების გარეშე გადაწყვიტონ. განსახლების საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საჩივრების განხილვის ასეთი არაფორმალური მექანიზმი გვეხმარება, რომ საჩივრების უმეტესობა ფორმალური პროცედურების (ე.ი. ადმინისტრაციული კოდექსით ან კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების) გარეშე გადაწყდეს. ეს მექანიზმი პროექტის დაუბრკოლებლად განხორციელების და საჩივრების დროულად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. თუ მიღებული გადაწყვეტილება ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს არ აკმაყოფილებს, საჩივრების განხილვის მექანიზმი მას ოფიციალური საჩივრის შემოტანაში უნდა დაეხმაროს, მეორე სტადიის პროცედურების შესაბამისად (მოსარჩელეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მისი უფლებებისა და ვალდებულებების, გასაჩივრების წესებისა და პროცედურების, საჩივრის ფორმის, საჩივრის ჩაბარების პირობების შესახებ და ა.შ.).

საჩივრების განხილვის მექანიზმის მეშვეობით განხილული უნდა იყოს როგორიც მიწის და სხვა აქტივების შეძენასთან დაკავშირებული საკითხები (მაგ.: კომპენსაციის ოდენობა, დარჩენილი მიწის ნაკვეთის გამოყენების შესაძლებლობები, მისასვლელი გზების დაკარგვა და ა.შ.), აგრეთვე სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეულ ზიანთან და ზარალთან დაკავშირებული საკითხები (მაგ.: კონტრაქტორის მიერ მიწის დროებითი ან მუდმივი დაკავება). ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც პროექტის შემსრულებელი უწყებები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან მოლაპარაკებებს დაიწყებენ, საჩივრების განხილვის მექანიზმი უკვე ჩამოყალიბებული უნდა იყოს და მშენებლობის დასრულებამდე იმუშაოს.

სავალდებულოა, რომ განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავების სტადიაზე გამართული საკონსულტაციო შეხვედრებისა და მოლაპარაკებების დროს, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს მიეწოდოთ სრული ზეპირი და წერილობითი (ბუკლეტების ფორმით შედგენილი) ინფორმაცია საჩივრების განხილვის მექანიზმის, მისი ფუნქციების, პროცედურების, საკონტაქტო პირების და გასაჩივრების წესების შესახებ. საჭიროა ყოველთვის მიღებულ იქნას საჩივრების პრევენციის ზომები, მეორე ეტაპის პროცედურების განხორციელების საჭიროების თავიდან აცილების მიზნით. ამ

მიზნის მისაღწევად აუცილებელია „განსახლების სამოქმედო გეგმის“ საგულდაგულო დაგეგმვა, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების აქტიური ჩართვა და მათთან მუდმივი კონსულტაციების წარმოება პროექტის შემსრულებელი უწყებების წარმომადგენლების მიერ ობიექტებზე რეგულარული ვიზიტების გზით.

საჩივრების განხილვის მექანიზმი იქმნება იმისთვის, რომ ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს საშუალება მიეცეთ გაასაჩივრონ ნებისმიერი გადაწყვეტილება ისეთი ქმედებების შესახებ, რომელთა გამოც ისინი დროებით ან მუდმივად კარგავენ მიწას, აქტივებს ან შემოსავლის წყაროს, და აგრეთვე შესაბამისი კომპენსაციების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები.

საშუალო სკოლების რეაბილიტაციის შემთხვევაში საჩივრების შემსწავლელ კომისიაში მონაწილეობას მიიღებს განათლების სამინისტროს წარმომადგენელი.

საჩივრების შემსწავლელი კომისია პირველ ეტაპზე საჩივრების განხილვის არაფორმალურ მექანიზმს წარმოადგენს. ეს არაფორმალური ორგანო თემის დონეზე, ადგილობრივ გამგეობაში (სოფლის / თემის მმართველ ორგანოში) იმუშავებს. ამასთანავე, საჩივრების შემსწავლელ კომისიაში შეიძლება შევიდნენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების წარმომადგენლები და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქალები. თუ მომჩივანი პირები კმაყოფილნი არ იქნებიან საჩივრების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებით, მათ შეუძლიათ გამოიყენონ საჩივრების გადაწყვეტის მეორე ეტაპის პროცედურები.

X. მონიტორინგი და შეფასება

„განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს“ განხორციელების მთავარი მიზანია გაუმჯობესდეს ან სულ ცოტა პირვანდელ მდგომარეობამდე მაინც აღდგეს ის სოციალური და საარსებო რესურსები, რომლებიც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს პროექტის დაწყებამდე ჰქონდათ. „განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს“ განხორციელების პროცესმა გამოყოფილი რესურსების გამოყენებით ამ ამოცანის გონივრულ დროში შესრულება უნდა უზრუნველყოს. ამ მიზნით შემუშავებულ იქნა მონიტორინგის პროცესი, რომელიც პროექტის მუშაობისა და მართვის ერთიანი პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და რომელმაც თვალი უნდა ადევნოს „განსახლების სამოქმედო გეგმის“ განახლებასა და განხორციელებას და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის ინსტიტუციონალური და ფინანსური დახმარების აღმოჩენის პროცესს. მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ამოცანაა უკუკავშირის გზით ინფორმაცია მიაწოდოს ყველა მონაწილე მხარეს მიღწეული პროგრესის, სამუშაოების შესრულების ვადების და „განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს“ მოთხოვნების შესრულების შესახებ და შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე გამოავლინოს პრობლემები, საჭირო ცვლილებების დროული განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ამოცანებია: (i) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ცხოვრების დონის აღდგენის ან გაუმჯობესების უზრუნველყოფა; (ii) გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებში სამუშაოების შესრულების უზრუნველყოფა; (iii) არსებულ საჭიროებებთან კომპენსაციებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებების შესატყვისობის შეფასება; (iv) პრობლემების ან პოტენციური დაბრკოლებების გამოვლენა; და (v) პრობლემების სწრაფი შერბილების მეთოდების იდენტიფიკაცია.

10.1. მონიტორინგი

პროექტის შემსრულებელი უწყება მონიტორინგს რუტინულად განახორციელებს. ინფორმაცია მონიტორინგის შედეგების შესახებ მსოფლიო ბანკს მიეწოდება პროექტის განხორციელების წლიური ანგარიშების მეშვეობით. მონიტორინგის პროცესში გამოყენებული ინდიკატორები დაკავშირებული იქნება პროექტის განხორციელების პროცესთან, მის უშუალო შედეგებთან და პროდუქტებთან. მონიტორინგის კონკრეტული საკონტროლო მაჩვენებლები იქნება:

(i) საინფორმაციო კამპანია და კონსულტაციები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან;
(ii) მიწის შესყიდვასთან და მიწის კომპენსაციის გადახდასთან დაკავშირებული მდგომარეობა;
(iii) ზემოქმედების ქვეშ მოყოლილი ნაგებობების და სხვა აქტივების კომპენსაციები;
(iv) პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების ადგილმონაცვლეობა;
(v) შემოსავლის დაკარგვასთან დაკავშირებული თანხების გადახდა;
(vi) დაკარგული მიწის ჩასანაცვლებლად მიწის ნაკვეთების შერჩევა და განაწილება;
(vii) შემოსავლების აღდგენის ღონისძიებები, და
(viii) საჩივრები და მათი გადაწყვეტა.

XI. განსახლების ბიუჯეტი და დაფინანსება

განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს მომზადებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის კომპენსაციების ხარჯები და მიწის შესყიდვისა და განსახლების ადმინისტრირების ხარჯები, პროექტის ღირებულების განუყოფელ ნაწილად იქნება მიჩნეული და დაიფარება საქართველოს მთავრობის მიერ, თანადაფინანსების ფარგლებში. თითოეული „განსახლების პოლიტიკის ჩარჩო“ შეიცავს სპეციალურ თავს ბიუჯეტის შესახებ, რომელშიც მითითებული იქნება (i) ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ყველა საგნის ერთი ერთეულის კომპენსაციის განაკვეთები და შემწეობების თანხები, (ii) მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც მოხდება კომპენსაციების საცალო განაკვეთების გამოანგარიშება, და (iii) კომპენსაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯების ცხრილი, ადმინისტრაციული და გაუთვალისწინებელი ხარჯების ჩათვლით. კვლევებისა და

„განსახლების სამოქმედო გეგმის“ შემუშავების ხარჯები შეიძლება გამოიყოს სესხის ფარგლებში.

დანართი # 1. განსახლების სამოქმედო გეგმის საკითხებზე საქართველოს კანონებისა და რეგულაციების მოკლე მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუცია კერძო საკუთრების არსს განსაზღვრავს და მის ხელშეუხებლობას ადგენს. ის აგრეთვე არეგულირებს საზოგადოებრივი საჭიროებებისთვის მიწისა და უძრავი ქონების კომპენსაციისა და ექსპროპრიაციის საკითხებს. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მიხედვით „საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და დაცულია". საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმების უფლებამოსილება არავის აქვს. კონსტიტუციის 21.3 პარაგრაფის მიხედვით, აუცილებელი ან გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში, კერძო საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია. მაგრამ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით.

საქართველოს კონსტიტუციის მუხლები აგრეთვე ადგენენ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით ადამიანთა განსახლების სამართლებრივ საფუძველს. მასში განსაზღვრულია ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის მიწის შეძენისა და მოსახლეობის განსახლების შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ მიწის ჩამორთმევის პროცესში, ე.ი. ექსპროპრიაციის უფლების (სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების იძულებით ჩამორთმევის უფლების) გამოყენების, ინფორმაციის გასაჯაროების, საჯარო განხილვების ორგანიზების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და საჩივრების განხილვის პროცესში. სახელმწიფო რეგულაციებით დადგენილია პროცედურების ნაკრები, რომელიც დასაშვებს ხდის კერძო მესაკუთრეებისგან გზის მშენებლობის ნებართვის მიღებას.

ინფრასტრუქტურული კომპონენტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის დროს, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და მასზე ზრუნვას, რომ თავიდან იქნას აცილებული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანება და გაფუჭება. საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მიხედვით „საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით".

კონსტიტუცია უზრუნველყოფს მოქალაქის უფლებას იცხოვროს უსაფრთხო და ჯანმრთელ გარემოში და ისარგებლოს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. სახელმწიფო ახორციელებს გარემოს დაცვის ღონისძიებებს ადამიანებისთვის უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად. „ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს

სრული და ობიექტური ინფორმაცია“ სამუშაო და საცხოვრებელ ადგილას გარემოს მდგომარეობის შესახებ.

კონსტიტუციის 42-ე მუხლი ყოველ ადამიანს უფლებას აძლევს (ფაქტიურად იცავს და მოუწოდებს მას) თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

საქართველოს კანონი საავტომობილო გზების შესახებ გზების სტატუსსა და გამოყენებას განსაზღვრავს. ამ კანონის მიხედვით საავტომობილო გზები სამ კატეგორიად იყოფა. ესენია: საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. კანონი აგრეთვე ადგენს გავლის უფლებას მიწაზე გზისპირა ზონებში, გზის ღერძიდან 100 მეტრზე ორივე მხარეს. გზიდან 100 მეტრის ფარგლებში მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების წარმოებისთვის აუცილებელია გზის მესაკუთრისგან ნებართვის აღება. „გზის მესაკუთრეებში“ იგულისხმება: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოები და გზების სხვა მესაკუთრეები.

საგზაო სააგენტოებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც გზებს და ჩქაროსნულ ავტომაგისტრალებს აშენებენ, ეძლევათ მიწით დროებითი ან მუდმივი სარგებლობის უფლება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. ეს კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემში. კანონი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ქონების კატეგორიებს, შექმნის წესსა და ქონებრივ უფლებებს (გარდა ბუნებრივი რესურსებისა, რომლებით სარგებლობა და რომელთა ფლობა და განკარგვა მოწესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობით), აგრეთვე მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების საკითხებს.

მუნიციპალიტეტებს თავისი საკუთარი ქონება აქვთ, რომელშიც შეიძლება შედიოდეს არასასოფლო-სამეურნეო მიწა, სასოფლო-სამეურნეო მიწები (შენობებით ან მათ გარეშე), წილები და აქციები. მუნიციპალიტეტების ქონება ორი კატეგორიისგან შედგება: ძირითადი (განუსხვისებადი) ქონება და დამატებითი ქონება. ძირითადი (განუსხვისებადი) ქონების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების შესასრულებლად და უფლებამოსილების განსახორციელებლად. მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისება დაუშვებელია,

გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. დამატებითი ქონების გასხვისება დასაშვებია. საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ქონება შეიძლება უსასყიდლოდ გადაეცეს სახელმწიფოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს აწესრიგებს კერძო ხასიათის სამოქალაქო ურთიერთობებს, ქონებრივ უფლებებს, საოჯახო კანონმდებლობას და მემკვიდრეობის საკითხებს. ქვემოთ განხილულია სამოქალაქო კოდექსის ის მარეგულირებელი დებულებები, რომლებიც განსაკუთრებით რელევანტურია საკუთრების კანონმდებლობის ნაწილში და რომლებშიც განხილულია საკუთრების, მშენებლობის, სერვიტუტის და პროექტთან დაკავშირებული სხვა ტიპის უფლებები:

- **საკუთრების უფლება.** საკუთრების უფლება მის ბენეფიციარს ქონების თავისუფალი ფლობისა და გამოყენების უფლებას აძლევს. საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონმდებლობის ან შეთანხმების საფუძველზე. მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება გულისხმობს, რომ მიწის მფლობელს უფლება აქვს აწარმოოს აღნიშნულ ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები, თუ ეს უფლება არ იზღუდება რაიმე ხელშეკრულებით ან კანონით;
- **მშენებლობის უფლება.** მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მიწის ნაკვეთი დროებით სარგებლობაში გადასცეს სხვა პირს (მაქსიმუმ 59 წლით) გარკვეული საფასურით ან უსასყიდლოდ. მოსარგებლე პირი უფლებას იღებს ააშენოს შენობა/ნაგებობები მიწის ნაკვეთზე ან მისი ზედაპირის ქვემოთ. მას აგრეთვე უფლება აქვს მიანიჭოს ან გადასცეს ეს უფლება მემკვიდრეობით, იჯარით, სესხით ან ქირავნობით. მშენებლობის უფლება შეიძლება ვრცელდებოდეს მიწის ნაკვეთის იმ ნაწილზე, რომელიც უშუალოდ ნაგებობის ასაშენებლად საჭირო არ არის, მაგრამ სამშენებლო ნებართვის საფუძველზე მშენებარე ობიექტის უკეთ გამოყენების საშუალებას იძლევა. მშენებლობის უფლების გასაწყვეტად საჭიროა მიწის მფლობელის თანხმობა;
- **მიწის ნაკვეთზე გავლის აუცილებელი უფლება (მისასვლელი გზის უფლება)**. კიდევ ერთი შესაძლებლობაა „მიწის ნაკვეთზე გავლის აუცილებელი უფლების“ გამოყენება, რაც ექსპროპრიაციის სამართლებრივ ალტერნატივას წარმოადგენს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით რეგულირდება (მუხლი 180. „აუცილებელი გზა“). სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მიწის ნაკვეთზე გავლის აუცილებელი უფლება წარმოიშვება „თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტროენერგიის, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად“. „გავლის აუცილებელ უფლებას“ იძლევა რაიონული სასამართლო მეზობლის განცხადების საფუძველზე, რომელშიც გადაუდებელი საჭიროება დასაბუთებული უნდა იყოს. ამ უფლების გაცემის სანაცვლოდ მისაღები კომპენსაცია შეიძლება

განისაზღვროს მხარეთა შეთანხმებით ან იმ მოსამართლის გადაწყვეტილებით, რომელმაც „გავლის აუცილებელი უფლება“ დაადგინა. არსებითად, „გავლის აუცილებელი უფლების“ მიზანია უზრუნველყოს კომუნალური მომსახურებების მისაღებად მეზობელი მიწის ნაკვეთის გამოყენების შესაძლებლობა. ის შეძლება გამოყენებული იყოს ისეთ შემთხვევებში, როდესაც მშვიდობიანი გზით მოლაპარაკება შეუძლებელია, რადგანაც ზემოქმედების ქვეშ მყოფი მიწის მესაკუთრე თანხმობაზე უარს აცხადებს ან მასთან დაკავშირება ვერ ხერხდება;

- **სერვიტუტი**. ქონებაზე სერვიტუტის უფლება ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს რომლითაც მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის (ბენეფიციარის) სასარგებლოდ იქნეს გამოყენებული. ბენეფიციარს უფლება ეძლევა „ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით გარკვეული პირობების დაცვით, ან აეკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება, ან/და გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება“. ამის მიუხედავად, ამ პროექტის ფარგლებში, ნებისმიერ უფლებასთან დაკავშირებით (მათ შორის საკუთრების, მშენებლობის, აუცილებელი გზით სარგებლობის ან სერვიტუტის უფლებების ჩათვლით) სავალდებულოა უფლების გადაცემისა და შეზღუდვის ვადებისა და პირობების დადგენა თითოეულ ნაკვეთთან მიმართებაში, იდენტიფიცირებული წესების მიხედვით და რეგისტრირებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც უნდა დაიდოს მიწის მესაკუთრესა და მშენებლობის უფლების მქონე მხარეს შორის.

საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. გარდა იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას დაიცვას კულტურული მემკვიდრეობა და მოსთხოვოს ყველა მოქალაქეს მოუაროს, დაიცვას და შეინარჩუნოს კულტურული მემკვიდრეობა, ამასთან ერთად, საქართველოს კანონი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ ადგენს საქართველოში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამართლებრივ პრინციპებს.

კანონის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო დაცვას ახორციელებენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოები, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლებამოსილებას ახორციელებენ „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების“ შესაბამისად. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ამ სფეროში ზოგად კოორდინაციასა და მართვას ახორციელებს.

საკუთრების უფლებებთან დაკავშირებით ამ კანონით გათვალისწინებულია გარკვეული დიფერენცირებული მიდგომები. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ძეგლის, კულტურული ფასეულობის, არქეოლოგიური დაცვის ზონაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისება, ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემა ხორციელდება საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით, მის მიერ წინასწარ განსაზღვრული მათი მოვლა-პატრონობის პირობით. მეორე მხრივ, კანონი პირდაპირ ზღუდავს კერძო საკუთრებაში მყოფი ძეგლების გასხვისებას, რაც დასაშვებია მხოლოდ ფლობისა და სარგებლობის უფლებით და მისი მოვლა-პატრონობისა და დაცვის პირობებით.

საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ. ეს კანონი ადგენს სანოტარო მოქმედებათა ტიპებს და მათი განხორციელების წესებს. კანონი აგრეთვე განსაზღვრავს თუ რომელ უწყებებსა და უფლებამოსილ პირებს, ნოტარიუსების გარდა, აქვთ სანოტარო მოქმედებათა განხორციელების უფლება საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ. ამ კანონის 42-ე მუხლის მიხედვით, ადგილობრივ თვითმმართველობებს უფლება აქვთ განახორციელონ ისეთი სანოტარო მოქმედებები, როგორიცაა მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემა, დოკუმენტის ასლის სისწორის დამოწმება დედანთან, მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება და განსაზღვრულ ადგილას მოქალაქის ყოფნის ფაქტის დადასტურება. სოფლის მოსახლეობა ხშირად მიმართავს თვითმმართველობებს გარკვეული სანოტარო მომსახურების მისაღებად. განსაკუთრებით ხშირად ეს ხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც პიროვნების ან დოკუმენტის იდენტიფიკაციაა საჭირო ან როდესაც სანოტარო მოქმედებაა საჭირო რომ შინამეურნეობის გარდაცვლილი უფროსი სხვა წევრმა შეცვალოს. ეს წესი ხშირად გამოიყენება მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისთვის, როდესაც მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ შინამეურნეობის სხვა წევრი უნდა გაფორმდეს გარდაცვლილი წევრის ნაცვლად. საქართველოს საკონსულოების წარმომადგენლები (კონსულები) და სათანადო უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირები აგრეთვე უფლებამოსილნი არიან შეასრულონ სანოტარო მოქმედებები საქართველოს სახელმწიფოს სახელით, ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ (მუხლი 43). საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქენი შესაბამის ქვეყნებში არსებულ საქართველოს საკონსულოებს მიმართავენ.

საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ. ეს კანონი არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვისა და სარგებლობაში გადაცემის საკითხებს. ეს კანონი არ ვრცელდება ისეთ სახელმწიფო საკუთრებაზე, როგორიცაა საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ან საჯარო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან საკუთრებაში გადაცემის შედეგად მიღებული ვარგისი ნაწილები და მასალები. კანონი

ადგენს თუ რა სახის ქონება არ ექვემდებარება პრივატიზაციას. ამ სიაში შედის: წყლის რესურსები, ტერიტორიული წყლები, კონტინენტური შელფი; სახელმწიფო ტყის ფონდი (გარდა დასახლებათა ტერიტორიულ საზღვრებში არსებული ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეებისა; საჰაერო სივრცე; სახელმწიფო ნაკრძალი; ეროვნული პარკი; ბუნების ძეგლი; საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სარეკრეაციო ტერიტორიები ან/და განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონები; ისტორიულ-კულტურული და მხატვრული ფასეულობის ობიექტები, კულტურული და სახელოვნებო დანიშნულების შენობა-ნაგებობები, აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც განლაგებულია აღნიშნული ობიექტები; საძოვარი (გარდა 2005 წლის 30 ივლისამდე იჯარით გაცემული საძოვრებისა და საძოვრებისა; პირუტყვის გადასარეკი ტრასები; წყალმომარაგების წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონის პირველი სარტყელი (მკაცრი რეჟიმის ზონა). კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ არეგულირებს სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების გადაცემის და მისი პრივატიზაციის წესებს. ის აგრეთვე განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციებს პრივატიზაციის პროცესში.

საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ. ამჟამად მოქმედი კანონი სრულიად განსხვავებულია 1996 წელს მიღებული ვერსიისგან. ამ კანონში სხვადასხვა დროს შეტანილმა ცვლილებებმა (მათ შორის 2000 წლის 14 ივლისს N 389 კანონის საფუძველზე შეტანილი ცვლილებებმა) მნიშვნელოვნად შეცვალა მისი თავდაპირველი ფორმატი და შეძლებისდაგვარად გაამარტივა კანონით გათვალისწინებული პროცედურები. ამ კანონის მოქმედება ძირითადად ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე. 3.1. მუხლის მიხედვით „სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად ითვლება საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად რეგისტრირებული მიწა, რომელიც გამოიყენება მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის – მასზე არსებული სამეურნეო და დამხმარე ნაგებობებით ან მათ გარეშე“. კანონის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთად ითვლება ასევე კომლის (ოჯახის) საკუთრების წილი სოფლის, თემის, იურიდიული პირების საძოვრების, სათიბების, ტყეების ტერიტორიებზე და სასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაწილი, რომელიც შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი (მუხლი 3.2).

კანონის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება აქვს სახელმწიფოს, ფიზიკურ პირებს, შინამეურნეობებს (კომლს) და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს რომლებიც სოფლის მეურნეობის სფეროში მუშაობენ. ამასთან ერთად, კანონი ადგენს, რომ მაღალმთიან რეგიონებში მიწა შეიძლება იყოს კერძო, სათემო (კომლის) და სახელმწიფო საკუთრებაში (მუხლი 4.3).

მე-6 და მე-8 მუხლების მიხედვით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა დაშვებულია ჩვეულებრივი წესითა და ზოგადი შეზღუდვების საფუძველზე. „ჩვეულებრივი წესით“ გასხვისება ნიშნავს, რომ ნებართვების საჭიროება და სხვა შემზღუდველი მოთხოვნები არ არის, ხოლო „ზოგადი შეზღუდვები“ გულისხმობს, რომ მიწის გასხვისება შესაძლებელია მხოლოდ საერთო ქონების თანამესაკუთრის თანხმობის საფუძველზე.

საქართველოს კანონი ქონების ლეგალიზების შესახებ არეგულირებს ისეთი მიწის ნაკვეთების ლეგალიზების საკითხებს, რომლებიც კერძო საკუთრებაშია, მაგრამ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამ კანონოს მთავარი მიზანია დამატებითი გარანტიების შექმნა საკუთრების უფლების დასაცავად, რომელიც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით (კონსტიტუციის 21-ე მუხლი) და საერთაშორისო ხელშეკრულებებით. კანონის მე-2 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფო უწყებებსა და თანამდებობის პირებს უზრუნველყონ კერძო საკუთრების უფლების დაცვა და ხელშეუხებლობა. ამ კანონის მიხედვით, ქონების ლეგალიზება ნიშნავს ქონებაზე კანონიერი საკუთრების უფლების დადასტურებას, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს ან ჩამორთმეულ იქნეს მხოლოდ 21-ე მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში.

კანონი ქონების ლეგალიზების შესახებ ვრცელდება „სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ნებისმიერ ქონებაზე“. ის ვრცელდება ისეთ ქონებაზე, რომელზედაც საკუთრების შეძენა განხორციელდა ან საკუთრების შეძენის საფუძველი წარმოიშვა სამართლებრივი აქტით ან 2007 წლის 22 ივლისამდე დადებული გარიგებით. ყველა „სახელმწიფო ორგანოს და თანამდებობის პირს ეკრძალება ამ კანონით გათვალისწინებულ ქონებაზე საკუთრების შეძენის ან/და საკუთრების შეძენის საფუძვლის მართლზომიერების დასადგენად გამოძიების წარმოება, ან ნებისმიერი სხვა ფორმით კონტროლი, შესწავლა, შემოწმება“.

ქონების ლეგალიზებას ახდენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“. ქონების ლეგალიზების პროცედურებს არეგულირებს საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ.

საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ. ეს კანონი განსაზღვრავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლება- მოვალეობებს ქონების რეგისტრაციის პროცესში და ადგენს უძრავი და პირადი ქონების რეგისტრაციის წესებს. ამ კანონის მე-11 მუხლი განსაზღვრავს, თუ რა ტიპის უფლებების რეგისტრაცია ხორციელდება „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში“. ამ მუხლის მიხედვით „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში“ უნდა დარეგისტრირდეს საკუთრება, აღნაგობა, აღნაგობის უფლების იპოთეკით დატვირთვა, უზუფრუქტი, სერვიტუტი, იპოთეკა, ქირავნობა,

ლიზინგი, იჯარა, ქვეიჯარა, თხოვება და საჯარო სამართლით გათვალისწინებულ სარგებლობასა და მფლობელობასთან დაკავშირებული უფლებები. კანონის მე-16 მუხლი ადგენს მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებულ უფლებებს. ამ მუხლის მიხედვით მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება გირავნობა (ფინანსური გირაოს გარდა), ლიზინგი და საბანკო გარანტია. კანონი საჯარო რეესტრის შესახებ ადგენს კომპანიების რეგისტრაციის პროცედურებს და პირობებს.

კანონი საჯარო რეესტრის შესახებ მხოლოდ რეგისტრაციის წესებით არ შემოიფარგლება. მისი რეგულირების სფეროს წარმოადგენს მიწის რეგისტრაცია და მიწის დანიშნულების შეცვლა, მაგალითად როდესაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სტატუსი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სტატუსით იცვლება.

საქართველოს კანონი „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. ამ კანონის მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს მიწის ბაზრის განვითარებას და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ფონდის ათვისებას. ეს კანონი განსაზღვრავს მიწაზე მართლზომიერ მფლობელობას და თვითნებურად დაკავებულ სახელმწიფო მიწაზე საკუთრების უფლების დამტკიცების ვადებსა და პირობებს. ის აგრეთვე ადგენს ამ პროცესში მონაწილე სახელმწიფო უწყებების უფლებებს.

ეს კანონი ვრცელდება კერძო და იურიდიული პირების საკუთრებაში მყოფ თვითნებურად დაკავებულ სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო მიწებზე. მე-2 მუხლი განსაზღვრავს ისეთ მიწებს, რომელზეც საკუთრების უფლების აღიარება შესაძლებელია. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთი რომელზეც დგას სახლი ან შენობა. ამ კანონის შესაბამისად კერძო საკუთრების აღიარება ხდება გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ, თუმცა შეიძლება მოხდეს უსასყიდლოდაც.

მიწაზე საკუთრების აღიარება ხდება უსასყიდლოდ, თუ ის წარსულში მართლზომიერად იყო დაკავებული მაგრამ არ იყო აღიარებული მთავრობის მიერ, სხვა შემთხვევებში მიწის აღიარებისთვის გადასახდელია გარკვეული საფასური. მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებაზე უფლებამოსილნი არიან შესაბამის მუნიციპალიტეტებში შექმნილი კომისიები.

საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ

არსებული კანონები ითვალისწინებენ მესაკუთრისთვის კომპენსაციების გადახდას დაკარგული აქტივების სანაცლოდ, მათ შორის მიწის, ნაგებობების, ხეების და მუდმივი კულტურების კომპენსაცია უნდა მოხდეს მიმდინარე საბაზრო ფასით, ცვეთის გარეშე. კანონები აგრეთვე ადგენენ კომპენსაციას დაქვემდებარებული ზარალის ტიპებს და მოითხოვენ, რომ კომპენსაცია უნდა გაიცეს როგორც ფიზიკური აქტივების, ასევე შემოსავლის დაკარგვის შემთხვევაში. მოსავლის დაკარგვის ან ბიზნესის დახურვის შედეგად დაკარგული შემოსავლის კომპენსაციამ სუფთა ზარალი უნდა დაფაროს.

საზოგადოებრივი საჭიროებისთვის მიწის შეძენა შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების იძულებით ჩამორთმევის პროცედურებს, რომლებიც შემდეგი ორი ეტაპისგან შედგება:

- ეტაპი 1: პირველ ეტაპზე კეთდება მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიღწევის მცდელობა, საბაზრო ფასის/ ჩანაცვლების ღირებულების საფუძველზე შემუშავებული წინადადების შეთავაზებით;
- ეტაპი 2: თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, მიწის შესყიდვა ხდება სასამრთლოს გზით ექსპროპრიაციის პროცესით (შემსრულებელი სააგენტო მიმართავს სასამართლოს რომ მან ექსპროპრიაციის ბრძანება გასცეს და კომპენსაცია განსაზღვროს).

თითოეულ ქონებაზე, რომელზეც შეთანხმება ვერ მოხერხდა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ექსპროპრიაციის მოთხოვნის განაცხადს ადგენს შემსრულებელი უწყების მიერ შეგროვებული დოსიეების გამოყენებით. ამის საფუძველზე, შემსრულებელი უწყება მიმართავს სასამართლოს რომელიც, პირველ სტადიაზე ამოწმებს არის თუ არა მოთხოვნა საზოგადოებრივ ინტერესებში და შესრულდა თუ არა ყველა სათანადო პროცედურა. დადასტურების შემდეგ იწყება სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების იძულებით ჩამორთმევის პროცედურები (ექსპროპრიაცია). მეორე ეტაპზე სასამართლო ნიშნავს ექსპერტს კომპენსაციის თანხის შეფასების მიზნით.

ამ პროექტის შემთხვევაში სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების იძულებით ჩამორთმევის პროცედურების გამოყენება შესაძლებელია და ექსპროპრიაცია გამოყენებული იქნება ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეთანხმების მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო

კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგრეთვე არეგულირებს ისეთ საქმეებს, რომელშიც მოპასუხის დადგენა შეუძლებელია. ეს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ამ პროექტისათვის, როდესაც მიწის მესაკუთრე არ იძებნება და მის მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების კანონიერად მოპოვება შეუძლებელია ე.ი. შეუძლებელია მიწის მესაკუთრესთან სათანადო ხელშეკრულების დადება ან მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის მოპოვება.

ზემოხსენებული კანონები და ნორმატიული აქტები საკუთრების უფლებებთან მიმართებაში შემდეგი ორი შესაძლო მექანიზმის გამოყენების საშუალებას იძლევიან:

- მიწის ნაკვეთზე გავლის აუცილებელი უფლების მიღება მიწის ექსპროპრიაციის გარეშე, სათანადო კომპენსაციის გადახდით (მოლაპარაკებების გზით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით), სამუშაოების დაწყებამდე;
- მიწის ნაკვეთზე გავლის აუცილებელი უფლების მიღება სათანადო კომპენსაციის გადახდით, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სწორი გამოყენების შემთხვევაში, ზემოთ ჩამოთვლილ მექანიზმებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ ყველა მხარის კანონიერი ინტერესები სათანადოდ იყოს გათვალისწინებული და არსებული კანონმდებლობის მოთხოვნები დაცული.

საქართველოს კანონი სოციალური დახმარების შესახებ. ეს კანონი არეგულირებს სოციალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებს და ადგენს სოციალური დახმარების ტიპებს. ის აგრეთვე განსაზღვრავს სოციალური დახმარების სფეროში უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციულ ორგანოებს (მუხლი 1). ეს კანონი ვრცელდება საქართველოში კანონიერ საფუძველზე მუდმივად მცხოვრებ მოწყვლად პირებზე. მე-2 მუხლში განსაზღვრულია სოციალურად დაუცველ პირთა ჯგუფი: სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირები, ღატაკი ოჯახები და უსახლკაროები.

მე-4 მუხლში მოცემულია ტერმინების განმარტება, რითაც ახსნილია სოციალური დახმარების ბუნება და იდენტიფიცირებულია ამ დახმარების ბენეფიციარები. ამ მუხლის მიხედვით სოციალური დახმარება შეიძლება იყოს შესაძლებელია ფულადი ან არაფულადი სახის და განკუთვნილია სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებისთვის, ღატაკი ოჯახებისთვის და უსახლკაროებისთვის. „ღატაკი ოჯახი“ არის პირი ან პირთა წრე, რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ დონეზე ნაკლებია. „უსახლკარო პირი“ არის მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში

რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო. სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირები არიან ობოლი და მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ოჯახის მზრუნველობამოკლებული შეზღუდული უნარის მქონე სრულწლოვანი პირები და მარჩენალდაკარგული პირები. ამ კანონის მიხედვით „შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირი“ არის ის პირი ვისაც ასეთი სტატუსი მინიჭებული აქვს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. სოციალური დახმარების დაფინანსების წყაროებია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები, ბენეფიციარის ან მისი წარმომადგენლის მიერ გადახდილი თანხები და შემოწირულობები (მუხლი 24).

საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ. ამ კანონის პირველი მუხლის მიხედვით, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობა განისაზღვრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1975 წლის 9 დეკემბრის დეკლარაციით „ინვალიდთა უფლებების შესახებ“, საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი არის პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში (მუხლი 2). მე-8 მუხლის თანახმად დაუშვებელია დასახლებული პუნქტების საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების დაპროექტება და სხვადასხვა ინფრასტრუქტურის, შენობებისა და ნაგებობების მშენებლობა, თუ ეს ობიექტები არ მიესადაგება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირ თა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს.

მთავრობა შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის უზრუნველყოფს განათლების მისაღებად და პროფესიული ტრენინგისთვის საჭირო შესაბამის პირობებს. შეზღუდული შესაძლებლობების პირებს სოციალურად ეხმარებიან როგორც ფინანსებით (პენსიით, სოციალური შემწეობით და სხვა), ისე ტექნიკური და სხვა საშუალებებით (მუხლი 24). სოციალურ პენსიები და შემწეობები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის განკუთვნილი სოციალური პენსიები და შემწეობები საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით რეგულირდება.

საქართველოს კანონი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ. ამ კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით,

რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება. დევნილთა მიმართ ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია დაუშვებელია. დევნილის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მუხლი 8). მე-14 მუხლის მიხედვით დევნილს არ ასახლებენ მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართობიდან, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც: (ა) დევნილთან ფორმდება წერილობითი შეთანხმება მის მიერ დაკავებული ფართობის სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფის თაობაზე; ბ) დევნილს გამოეყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება მისი საყოფაცხოვრებო პირობები; გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენა, რომელიც ითვალისწინებს კომპენსაციას და რეგულირდება საერთო წესით.

ყველა დევნილს აქვს ოჯახის ერთიანობის პატივისცემის უფლება. დაუშვებელია ოჯახის ხელოვნურად დაყოფა ან ოჯახების გაერთიანება მისი (მათი) წევრების ნების საწინააღმდეგოდ (მუხლი 13). დევნილის განსახლების, რეგისტრაციის, სოციალური და სხვა საკითხების გადაწყვეტას ორგანიზებას უწევს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მუხლი 19).

ექსპროპრიაციისა და ლეგალიზაციის პირობები

ზემოთ აღწერილი კანონები და მარეგულირებელი დებულებები საშუალებას იძლევიან, რომ საკუთრების უფლებების მიმართ გამოყენებულ იქნას შემდეგი სამი სამართლებრივი მექანიზმი: (i) მიწაზე გავლის უფლების მიღება ექსპროპრიაციის გარეშე, სამუშაოების დაწყებამდე სათანადო კომპენსაციის გადახდით; (ii) ექსპროპრიაცია საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას მუდმივი უფლება მიწაზე და/ან საჭირო გზაზე სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების იძულებით ჩამორთმევის უფლების საფუძველზე ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სათანადო კომპენსაციის გადახდით; (iii) კერძო საკუთრების ჩამორთმევა გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროების გამო, რაც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას მუდმივი უფლება მიწაზე და/ან საჭირო გზაზე ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით. ექსპროპრიაცია უნდა განხორციელდეს ექსპროპრიაციის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის #40 ბრძანებულების შესაბამისად, ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის სათანადო კომპენსაციის გადახდის გზით.

ექსპროპრიაცია. ექსპროპრიაციის გზით მიწის შეძენა ხანგრძლივ პროცედურებს მოიცავს, რომელიც ხშირად წინააღმდეგობას აწყდება. ამის გამო, ასეთი მიდგომა პროექტში გამოყენებული იქნება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები და პროექტის შემსრულებელი უწყებები ვერ მოილაპარაკებენ. ასეთ შემთხვევებში ასეთ მიწის ნაკვეთებზე პროექტის განხორციელება არ დაიწყება მანამ, სანამ: i) ინიცირებული არ იქნება კანონით დადგენილი სათანადო სამართლებრივი პროცესი; (ii) მიღებული და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის მიწოდებული არ იქნება სასამართლოს აკრძალვა; და (iii) კომპენსაციები / რეაბილიტაციის თანხები არ ჩაირიცხება პირობით სადეპოზიტო (ესქროუ) ანგარიშზე.

საჭირო გასასვლელი გზის უფლების მოსაპოვებლად სასამართლოსთვის მიმართვის მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია სპეციფიკურ შემთხვევებში, როდესაც მესაკუთრის ადგილსამყოფელი უცნობია და / ან მესაკუთრე ვერ იძებნება, ან მიწის შეძენის პროცესი დაბრკოლებულია რაიმე ვალდებულებების გამო.

სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის მიხედვით, მიწის ნაკვეთზე გავლის აუცილებელი უფლება წარმოიშვება „თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტროენერგიის, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად“. „თუ მიწა საჭირო არ არის საჯარო გზის, საჯარო გზებთან, ელექტროენერგიის, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელების სათანადო გამოყენებისთვის მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. „იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზეც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია“. საქართველოს საპროცესო კოდექსში გათვალისწინებულია გარკვეული მექანიზმები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია საჯარო შეტყობინების მიწოდება იმ რესპოდენტებისთვის, ვისი ადგილსამყოფელიც უცნობია.

საქართველოს საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში ადრესატს საჯარო შეტყობინება მიეწოდება მისი საჯარო გამოქვეყნების გზით. სასამართლო შეტყობინება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გამოქვეყნებიდან 7 დღის შემდეგ. ამ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია საქმე განიხილოს საქმე და გადაწყვეტილება მიიღოს. საჭირო გასასვლელი გზის უფლების მოპოვების მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში კომპენსაცია გადაირიცხება ესქროუ ანგარიშზე. კომპენსაცია მიწის მესაკუთრეს ამ ანგარიშიდან გადაერიცხება მას შემდეგ, რაც დადგინდება მისი ადგილსამყოფელი ან

მას შემდეგ, რაც მიწის მესაკუთრე შეასრულებს მიწის გადაცემასთან დაკავშირებულ მოვალეობებს.

დანართი 2. მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკა, OP/BP 4.12

მსოფლიო ბანკის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განვითარების პროექტების ფარგლებში არანებაყოფლობითი განსახლება, ზეგავლენის შერბილების გარეშე, ხშირად იწვევს მწვავე ეკონომიკურ, სოციალურ, და გარემოსდაცვით რისკებს: იშლება წარმოების სისტემები; საწარმოო აქტივებს ან შემოსავლის წყაროების დაკარგვით ადამიანები დგებიან გაღატაკების რისკის წინაშე; ადამიანების განსახლება ხდება ისეთ გარემოში, სადაც მათი პროდუქტიული უნარ-ჩვევები შესაძლოა ნაკლებ გამოსადეგი იყოს, რესურსზე კონკურენცია კი -- უფრო მაღალი; სუსტდება სათემო ინსტიტუტებისა და სოციალური მხარდაჭერის ქსელების როლი; ხდება ნათესავთა ჯგუფების სხვადასხვა ადგილებში გაფანტვა; და მცირდება ან იკარგება კულტურული იდენტობა, ტრადიციული ავტორიტეტი, ასევე ურთიერთდახმარების პოტენციალი. ამ პოლიტიკაში განსაზღვრულია დაცვის ზომები გაღარიბების ზემოაღნიშნულ რისკებზე რეაგირებისა და მათი შერბილებისათვის.

პოლიტიკის მიზნები

2. სათანადო ზომების დაგეგმვისა და განხორციელების გარეშე არანებაყოფლობითმა განსახლებამ შესაძლოა გამოიწვიოს განსახლებული პირების აღმოჩენა გაჭირვებულ მდგომარეობაში ხანგრძლივი დროის მანძილზე, მათი გაღატაკება, ასევე გარემოსთვის ზიანის მიყენება. აღნიშნული მიზეზების გამო, მსოფლიო ბანკის არანებაყოფლობითი განსახლების პოლიტიკის ზოგადი მიზანია:

(a) (ა) არანებაყოფლობითი განსახლების თავიდან აცილება, როდესაც ეს მიზანშეწონილი და შესაძლებელია, ან მისი შემცირება, ყველა რეალური ალტერნატიული ვარიანტის განხილვით.

(b) (ბ) თუ განსახლების თავიდან აცილება მიზანშეუწონელია, განსახლების ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს მდგრადი განვითარების პროგრამების სახით, საკმარისი საინვესტიციო რესურსის თანხლებით, რათა პროექტის შედეგად განსახლებულმა ადამიანებმა მიიღონ სარგებელი პროექტიდან. განსახლებულ პირებს უნდა გაეწიოთ კონსულტაციები და მიეცეთ განსახლების პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

(c) (გ) განსახლებულ ადამიანებს უნდა გაეწიოთ დახმარება საკუთარი საარსებო სახსრების და ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა ან სულ მცირე აღდგენაში განსახლებამდე არსებულ დონეზე, ან პროექტის განხორციელების დაწყებამდე არსებულ დონეზე, რომელიც უფრო მაღალია.

პოლიტიკით გათვალისწინებული და მოცული შედეგები

3. ეს პოლიტიკა ვრცელდება უშუალო ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებზე, რომლებიც განპირობებულია ბანკის მხარდაჭერით განხორციელებული საინვესტიციო პროექტების შედეგად, და გამოწვეულია

(ა) მიწის არანებაყოფლობით ჩამორთმევით, რამაც გამოიწვია

(i) განსახლება ან თავშესაფრის დაკარგვა;

(ii) ქონების ან ქონებაზე წვდომის დაკარგვა;

(iii) შემოსავლის წყაროების ან საარსებო წყაროების დაკარგვა, იმის მიუხედავად, დაზარალებულ პირს მოუწია თუ არა სხვა ადგილას გადასვლა; ან

(ბ) კანონით განსაზღვრულ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე წვდომის არანებაყოფლობით შეზღუდვა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა განსახლებული ადამიანების საარსებო საშუალებებზე.

4. ეს პოლიტიკა ვრცელდება პროექტის ყველა კომპონენტზე, რომელთა შედეგად ხორციელდება არანებაყოფლობითი განსახლება, დაფინანსების წყაროს მიუხედავად. იგი ასევე ეხება სხვა ღონისძიებებს, რომლებსაც შედეგად მოსდევს არანებაყოფლობითი განსახლება, რომელიც, ბანკის აზრით,

(a) (ა) უშუალოდ და მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ბანკის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტთან,

(b) (ბ) აუცილებელია პროექტის დოკუმენტებში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად; და

(c) (გ) ხორციელდება, ან განხორციელდება, პროექტის პარალელურად.

5. ამ პოლიტიკის გამოყენებასა და მოცვის სფეროსთან დაკავშირებით განმარტებების მისაღებად უნდა მიმართოთ განსახლების კომიტეტს (Resettlement Committee) (იხ. BP 4.12 პარ. 7).

აუცილებელი ზომები

6. ამ პოლიტიკის 3(ა) პუნქტით გათვალისწინებულ შედეგებზე რეაგირებისათვის, მსესხებელი ამზადებს განსახლების გეგმას ან განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს (იხ. 25-30 პარ.), რომელიც მოიცავს შემდეგს:

(ა) განსახლების გეგმა ან განსახლების პოლიტიკის ჩარჩო მოიცავს ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ განსახლებულ ადამიანებს

(i) გააცნობენ ვარიანტებს და განსახლებასთან დაკავშირებულ უფლებებს;

(ii) კონსულტაციებს გაუწევენ, შესთავაზებენ განსახლების სხვადასხვა ვარიანტებს და ტექნიკურად და ეკონომიკურად გამართლებულ ალტერნატივებს; და

(iii) უზრუნველყოფენ კომპენსაციით სწრაფი და ეფექტური პროცესის მეშვეობით, უშუალოდ პროექტიდან გამომდინარე დაკარგული ქონების ჩანაცვლების სრული ღირებულების ოდენობით[12].

(ბ)თუ ზეგავლენა მოიცავს ფიზიკურ გადაადგილებას, განსახლების გეგმა ან განსახლების პოლიტიკის ჩარჩო მოიცავს ზომებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ განსახლებულ ადამიანებს

(i) დახმარება გაეწიოთ (როგორიცაა დანამატი გადასვლაში დახმარების სახით) განსახლებისას; და

(ii) გადაეცეთ საცხოვრებელი, ან საცხოვრებელი ობიექტები, ან საჭიროებისამებრ, სასოფლო-სამეურნეო ობიექტები, სადაც წარმოების პოტენციალის, ხელსაყრელი ადგილმდებარეობის, და სხვა ფაქტორები ძველი ადგილის დადებითი ასპექტების სულ მცირე ექვივალენტურია.

(გ) როდესაც ეს აუცილებელია პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, განსახლების გეგმა ან განსახლების პოლიტიკის ჩარჩო ასევე მოიცავს ზომებს იმისათვის, რომ განსახლებული პირებს:

(i) შეეთავაზოთ მხარდაჭერა განსახლების შემდეგ, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, გონივრული ვადით, რომელიც სავარაუდოდ საჭირო იქნება მათი საარსებო საშუალებებისა და ცხოვრების დონის აღსადგენად; და

(ii) გაეწიოთ განვითარების მიზნით დახმარება 6(ა) პუნქტში აღწერილი კომპენსაციის ზომების მიღმა;

(iii) როგორიცაა მიწის მომზადება, კრედიტის მიღება, ტრენინგი, ან დასაქმების შესაძლებლობები.

7. ისეთ პროექტებში, რომლებიც მოიცავს კანონით განსაზღვრულ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე წვდომის არანებაყოფლობით შეზღუდვას (იხ. პარ. 3(ბ)), შეზღუდვის ბუნება, ასევე იმ ზომების სახეობა, რომლებიც აუცილებელია უარყოფითი ზეგავლენის შესარბილებლად, განისაზღვრება განსახლებული პირების მონაწილეობით, პროექტის შემუშავებისა და განხორციელების დროს. ასეთ შემთხვევებში, მსესხებელი ამზადებს ბანკისათვის მისაღება პროცესის ჩარჩოს და მასში აღწერს მონაწილეობით პროცესს, რომლის მეშვეობით

(a) (ა) მომზადდება და განხორციელდება პროექტის კონკრეტული კომპონენტები;

(b) (ბ) განისაზღვრება განსახლებული პირების შერჩევის კრიტერიუმები;

(c) (გ) განისაზღვრება განსახლებული პირების დახმარების ზომები საარსებო სახსრების გაუმჯობესებაში ან სულ მცირე, რეალურ მდგომარეობამდე აღდგენაში, პარკის ან დაცული ტერიტორიის მდგრადობის შენარჩუნების პარალელურად; და

(d) (დ) გადაიჭრება განსახლებული პირებთან დაკავშირებული პოტენციური კონფლიქტები.

პროცესის ჩარჩოში ასევე აღწერილია პროცესის განხორციელებისა და მონიტორინგის მექანიზმები.

8. ამ პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა განსახლებულ პირთა შორის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს, განსაკუთრებით -- სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ პირებს, ასევე მათ, ვისაც არ აქვთ საკუთრებაში მიწა, ხანდაზმულ პირებს, ქალებსა და ბავშვებს, მკვიდრ მოსახლეობას, ეთნიკურ უმცირესობებს, ან სხვა განსახლებულ პირებს, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ დაცული მიწის კომპენსაციის შესახებ ეროვნული კანონმდებლობით.

9. ბანკის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მკვიდრი მოსახლეობის განსახლება, რომლებსაც გააჩნიათ წარმოების ტრადიციული, მიწაზე დაფუძნებული მექანიზმები, განსაკუთრებით რთულია და შესაძლოა ძლიერი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მათ იდენტობასა და კულტურულ გადარჩენაზე. შესაბამისად, ბანკი უნდა დარწმუნდეს, რომ მსესხებელმა განიხილა ყველა მიზანშეწონილი ალტერნატიული პროექტის ვარიანტი, ამ პირთა ფიზიკური განსახლების თავიდან ასაცილებლად. თუ აღნიშნული განსახლების თავიდან

აცილება მიზანშეუწონელი და გაუმართლებელია, უპირატესობა ენიჭება ასეთი ჯგუფებისათვის განსახლების მიწაზე დაფუძნებული სტრატეგიების უზრუნველყოფას (იხ. პარ. 11) რომლებიც შეესაბამება მათ ტრადიციებსა და კულტურას და მომზადებულია მათთან კონსულტაციის პირობებში (იხ. დანართი ა, პარ. 11).

10. განსახლების ღონისძიებების განხორციელება დაკავშირებულია პროექტის საინვესტიციო კომპონენტის განხორციელებასთან იმისათვის, რომ განსახლება ან წვდომის შეზღუდვა არ მოხდეს მანამ, ვიდრე არ მომზადდება აუცილებელი ზომები განსახლებისათვის. ამ პოლიტიკის 3(ა) პუნქტში მითითებული ზეგავლენის სახეობებისათვის, ეს ზომები მოიცავს კომპენსაციის გადახდას და სხვა დახმარების გაწევას, რომელიც აუცილებელია განსახლებისათვის, განსახლებამდე, და განსახლების ობიექტების მომზადებას და აღჭურვას სათანადო ინფრასტრუქტურით, როდესაც საჭიროა. განსაკუთრებით, მიწისა და დაკავშირებული ქონების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ კომპენსაციის გადახდის შემდეგ და, შესაბამის შემთხვევებში, განსახლებული პირებისათვის განსახლების ობიექტებისა და განსახლების შემწეობის გადაცემის შემდეგ. ამ პოლიტიკის 3(ბ) პუნქტით გათვალისწინებული ზეგავლენისათვის, განსახლებულ პირთა დახმარების ღონისძიებები ხორციელდება პროექტის ფარგლებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად (იხ. პარ. 30).

11. როდესაც განსახლებული პირების საარსებო საშუალებები მიწაზე დაფუძნებული, უპირატესობა უნდა მიენიჭოს განსახლების მიწაზე დაფუძნებულ სტრატეგიებს. ეს სტრატეგიები შესაძლოა მოიცავდეს სახელმწიფო მიწაზე (იხ. ზევით, სკოლიო 1) განსახლებას, ან კერძო მიწაზე განსახლებას, რომელიც შეძენილი ან შესყიდული იქნება განსახლების მიზნით. განსახლებისას ალტერნატიული მიწის შეთავაზებისას მიწასთან ერთად გათვალისწინებულია PAP, და წარმოების პოტენციალის, ხელსაყრელი ადგილმდებარეობის, და სხვა ფაქტორები სულ მცირე ექვივალენტური უნდა იყოს ჩამორთმეული მიწის. თუ მიწა განსახლებული პირისათვის არ არის საუკეთესო ვარიანტი, მიწის გადაცემა უარყოფითად აისახებოდა პარკის ან დაცული ტერიტორიის მდგრადობაზე,[17] ან საკმარისი მიწა არ არის ხელმისაწვდომი მიზანშეწონილ ფასად, განსახლებული პირებისათვის უნდა მოხდეს ისეთი ვარიანტების შეთავაზება, რომლებიც არ ემყარება მიწას, თუმცა დაფუძნებულია დასაქმების ან თვითდასაქმების შესაძლებლობებზე. აღნიშნულის უზრუნველყოფა მოხდება დაკარგული მიწისა და სხვა ქონების სანაცვლოდ გაცემულ ფულად კომპენსაციასთან ერთად. სათანადო მიწის არარსებობა უნდა იყოს წარმოჩენილი და დოკუმენტურად დადასტურებული მსოფლიო ბანკისათვის დამაკმაყოფილებელ დონეზე.

12. ფულადი კომპენსაციის გადახდა დაკარგული ქონებისათვის შესაძლოა გამართლებული იყოს, როდესაც (ა) საარსებო საშუალებები მიწაზეა დაფუძნებული, თუმცა პროექტისათვის ჩამორთმეული მიწა წარმოადგენს ზემოქმედების არეალში მოქცეული ქონების მცირე ნაწილს[18] და ნარჩენი არის ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი; (ბ) არსებობს მიწის, საცხოვრისის, და შრომის აქტიური ბაზრები, და განსახლებული პირები იყენებენ აღნიშნულ ბაზრებს, და არსებობს მიწის ან საცხოვრისის საკმარისი რესურსი; ან (გ) საარსებო სახსრები არ არის მიწაზე დამყარებული. ფულადი კომპენსაციის დონეები საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ჩაანაცვლოს დაკარგული მიწა და სხვა ქონება ადგილობრივ ბაზრებზე ჩანაცვლების სრული ღირებულების ოდენობით.

13. ამ პოლიტიკის 3(ა) მუხლით გათვალისწინებული ზეგავლენისათვის, მსოფლიო ბანკი ასევე მოითხოვს შემდეგს:

(a) (ა) განსახლებულმა პირებმა და თემებმა, და მასპინძელმა/მიმღებმა თემებმა უნდა მიიღონ დროული და სათანადო ინფორმაცია, კონსულტაცია უნდა გაეწიოთ განსახლების ვარიანტებზე, და მიეცეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ განსახლების დაგეგმვაში, განხორციელებაში, და მონიტორინგში. ამ ჯგუფებისათვის შექმნილია დავების განხილვის სათანადო და ხელმისაწვდომი მექანიზმები.

(b) (ბ) განსახლების ახალ ობიექტებზე ან მასპინძელ თემებში, საჭიროებისამებრ უზრუნველყოფილი იქნება ინფრასტრუქტურა და საჯარო მომსახურება იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს, აღდგეს, ან შენარჩუნდეს წვდომა და მომსახურების დონეები განსახლებული პირებისა და მიმღები თემებისათვის. ხდება ალტერნატიული ან მსგავსი რესურსის შეთავაზება საზოგადოებრივ რესურსზე (როგორიცაა სათევზაო ადგილები, საძოვრები, საწვავი, ან საქონლის საკვები) დაკარგული წვდომის კომპენსაციის სახით.

(c) (გ) ახალი გარემოებების შესაბამისი თემის ორგანიზების მოდელები განისაზღვრება განსახლებული პირების არჩევანის საფუძველზე. მაქსიმალურად უნდა შენარჩუნდეს PAP-ების და მასპინძელი თემების არსებული სოციალური და კულტურული დაწესებულებები და უნდა დაკმაყოფილდეს PAP-ების სურვილი, განსახლდნენ უკვე არსებულ თემებსა და ჯგუფებში.

შეღავათების მიღების უფლება

14. პროექტში არანებაყოფლობითი განსახლების საჭიროების დადგენის შემდეგ, მსესხებელი ატარებს მოსახლეობის აღწერას, რათა გამოავლინოს პირები, რომლებზეც პროექტი მოახდენს ზეგავლენას (იხ. დანართი ა, პარ. 6(ა)), განსაზღვროს, თუ ვის ეკუთვნის დახმარება, და ხელი შეუშალოს იმ ადამიანთა მომართვიანობას,

რომლებსაც არ ეკუთვნით დახმარება. მსესხებელი ასევე ქმნის პროცედურას, რომელიც მსოფლიო ბანკისათვის იქნება მისაღები, იმ კრიტერიუმების დასადგენად, რომელთა მეშვეობით განისაზღვრება განსახლებული პირების უფლება, მიიღონ კომპენსაცია და განსახლებასთან დაკავშირებული სხვა დახმარება. პროცედურა მოიცავს სათანადო კონსულტაციებს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებთან და თემებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, და სათანადო შემთხვევებში, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, და მასში გაწერილია დავების გადაჭრის მექანიზმები.

15. *შერჩევის კრიტერიუმები.* განსახლებული პირები შეიძლება მოექცნენ ქვემოთ მითითებული სამი ჯგუფიდან ერთ-ერთში:

(a) (ა) პირები, ვისაც გააჩნიათ მიწაზე ოფიციალური კანონიერი უფლება (მათ შორის, ჩვეულებითი და ტრადიციული უფლებები, რომლებიც აღიარებულია ქვეყნის კანონებით);

(b) (ბ) პირები, ვისაც არ გააჩნიათ ოფიციალური კანონიერი უფლებები მიწაზე აღწერის დაწყებისას, თუმცა აქვთ მოთხოვნა აღნიშნულ მიწასა ან სხვა ქონებაზე -- იმ პირობით, თუ ამგვარი მოთხოვნა აღიარებულია ქვეყნის კანონებით ან აღიარებული გახდა განსახლების გეგმაში მითითებული პროცესის მეშვეობით (იხ. დანართი ა, პარ 7(ვ); და

(c) (გ) პირები, ვისაც არ გააჩნია აღიარებადი კანონიერი უფლება ან მოთხოვნა მათ მიერ დაკავებულ მიწაზე.

16. 15(ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პირები მიიღებენ კომპენსაციას დაკარგული მიწის სანაცვლოდ, ასევე სხვა დახმარებას, მე-6 პუნქტის შესაბამისად. 15(გ)-ს მოქმედების სფეროში მოქცეულ პირებს გაეწევათ განსახლების დახმარება მიწისათვის კომპენსაციის მაგივრად, ასევე სხვა დახმარება, საჭიროებისამებრ, ამ წესებში განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, თუ მათ უკავიათ პროექტის ტერიტორია მსესხებლის მიერ განსაზღვრული ვადის (cut-off date) ამოწურვამდე, და მისაღებია ბანკისათვის. პირები, რომლებიც ტერიტორიაზე დარჩებიან განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ, არ ექნებათ კომპენსაციის მიღების ან განსახლებაში დახმარების რაიმე სხვა ფორმის მიღების უფლება. ყველა პირი, რომლებზეც ვრცელდება პარ. 15(ა), (ბ), ან (გ), მიწის გარდა კომპენსაციას მიიღებს სხვა ქონების დაკარგვის გამო.

განსახლების დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი

17. ამ პოლიტიკის მიზნების მისაღწევად გამოიყენება დაგეგმვის სხვადასხვა ინსტრუმენტები, პროექტის სახეობიდან გამომდინარე:

(a) (ა) განსახლების გეგმა ან განსახლების შემოკლებული გეგმა აუცილებელია ყველა იმ ოპერაციისათვის, რომელიც მოიცავს არანებაყოფლობით განსახლებას, თუ სხვაგვარი რამ არ არის მითითებული (იხ. პარ. 25 და დანართი ა);

(b) ბ) 26-30 პუნქტებში მითითებული ოპერაციებისათვის საჭიროა განსახლების პოლიტიკის ჩარჩო, რომელიც, შესაძლოა მოიცავდეს არანებაყოფლობით განსახლებას, თუ სხვაგვარი რამ არ არის მითითებული (იხ. დანართი ა); და

(c) გ) პროცესის ჩარჩო მზადდება პროექტებისათვის, რომლებიც მოიცავს წვდომის შეზღუდვას 3(ბ) პარაგრაფის შესაბამისად (იხ. პარ. 31).

18. მსესხებელი პასუხისმგებელია ამ პოლიტიკის შესაბამისი განსახლების გეგმის, განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს, ან პროცესის ჩარჩოს („განსახლების ინსტრუმენტები“) მომზადებაზე, განხორციელებასა და მონიტორინგზე. განსახლების ინსტრუმენტი -- ესაა სტრატეგია პოლიტიკის მიზნების მისაღწევად და მოიცავს შეთავაზებული განსახლების ყველა ასპექტს. მსესხებლის ვალდებულება, მზადყოფნა და შესაძლებლობა, წარმატებით განახორციელოს განსახლება, ძირითადი განმსაზღვრელია პროექტში ბანკის ჩართვისათვის.

19. განსახლების დაგეგმვა მოიცავს ადრეულ სკრინინგს, ძირითადი საკითხების შესწავლას, განსახლების ინსტრუმენტის შერჩევას, და ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია განსახლების კომპონენტის ან ქვეკომპონენტის მოსამზადებლად. განსახლების ინსტრუმენტების მოცვის სფერო და დეტალურობის მასშტაბი განსხვავებული იქნება განსახლების მასშტაბისა და სირთულის მიხედვით. განსახლების კომპონენტის მომზადებისას, მსესხებელი ეყრდნობა სათანადო სოციალურ, ტექნიკურ, და სამართლებრივ ექსპერტიზას და შესაბამის სათემო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებებს. მსესხებელი პოტენციურად განსახლებულ პირებს ადრეულ ეტაპზე მიაწვდის ინფორმაციას პროექტის განსახლების ასპექტების შესახებ და პროექტის შემუშავებისას ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს.

20. განსახლების ღონისძიებების სრული ხარჯები, რომლებიც აუცილებელია პროექტის მიზნების მისაღწევად, ჩართულია პროექტის მთლიან ხარჯებში. განსახლების ხარჯები, პროექტის სხვა აქტივობების მსგავსად, განიხილება როგორც ხარჯი პროექტის ეკონომიკური სარგებლის მიმართ; და განსახლებული

პირებისათვის წმინდა სარგებელი („პროექტის არარსებობის“ სიტუაციასთან შედარებით) ემატება პროექტის სარგებელს. არ არის აუცილებელი, რომ განსახლების კომპონენტები ან განსახლების ცალკეული პროექტები დამოუკიდებლად ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი იყოს, თუმცა ისინი უნდა იყოს ხარჯთეფექტიანი.

21. მსესხებელი უზრუნველყოფს, რომ პროექტის განხორციელების გეგმა სრულად შეესაბამებოდეს განსახლების ინსტრუმენტს.

22. განსახლების მომცველი პროექტების შეფასების პირობის სახით მსესხებელი მსოფლიო ბანკს წარუდგენს განსახლების ინსტრუმენტის პროექტს, რომელიც შეესაბამება ამ პოლიტიკას, და ისეთ ადგილას განათავსებს აღნიშნულ დოკუმენტს, რომელიც მისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, მათთვის გასაგები ფორმით, სახით და ენით. მას შემდეგ, რაც მსოფლიო ბანკი მოიწონებს ამ ინსტრუმენტს, როგორც საკმარის საფუძველს პროექტის შეფასებისათვის, მსოფლიო ბანკი საჯაროდ გამოაქვეყნებს მას InfoShop-ის მეშვეობით. მსოფლიო ბანკის მიერ განსახლების ინსტრუმენტის საბოლოო ვარიანტის დამტკიცების შემდეგ, ბანკი და მსესხებელი ანალოგიური სახით აქვეყნებენ ამ დოკუმენტს.

23. მსესხებლის ვალდებულებები, განახორციელოს განსახლების ინსტრუმენტი და ინფორმაცია მიაწოდოს მსოფლიო ბანკს განხორციელების მიმდინარეობის შესახებ, გათვალისწინებულია პროექტის იურიდიულ ხელშეკრულებებში.

24. მსესხებელი პასუხისმგებელია განსახლების ინსტრუმენტში განსაზღვრული ღონისძიებების მონიტორინგსა და შეფასებაზე. მსოფლიო ბანკი რეგულარულ ზედამხედველობას უწევს განსახლების განხორციელებას, იმისათვის, რომ დაადგინოს განსახლების ინსტრუმენტთან შესაბამისობა. პროექტის დასრულებისთანავე, მსესხებელი ატარებს შეფასებას, რათა დაადგინოს, რამდენად მოხდა განსახლების ინსტრუმენტის მიზნების მიღწევა. შეფასებისას გაითვალისწინება საბაზისო პირობები და განსახლების მონიტორინგის შედეგები. თუ შეფასების შედეგად გამოვლინდა, რომ მიზნების მიღწევა არ მომხდარა, მსესხებელმა უნდა წარმოადგინოს შემდგომი პერიოდის ზომები, რომლებიც შეიძლება გახდეს მსოფლიო ბანკის მიერ ზედამხედველობის გაგრძელების საფუძველი, ბანკის შეხედულებისამებრ (იხ. ასევე BP 4.12, პარ, 16).

განსახლების ინსტრუმენტები

განსახლების გეგმა

25. ამ პოლიტიკის შესაბამისი განსახლების გეგმის პროექტი წარმოადგენს ზევით, 17(ა) პუნქტში მითითებული პროექტების შეფასების პირობას (იხ. დანართი ა, პარ. 2-21). თუმცა, როდესაც ზეგავლენა მთლიან განსახლებულ მოსახლეობაზე არის მცირე, ან ხდება 200-ზე ნაკლები ადამიანის განსახლება, მსესხებელთან შეიძლება შეთანხმდეს განსახლების შემოკლებული გეგმა (იხ. დანართი ა, პარ. 22). ამ შემთხვევაში ვრცელდება ინფორმაციის გაცემის 22-ე პუნქტში განსაზღვრული პროცედურები.

განსახლების პოლიტიკის ჩარჩო

26. სექტორში ინვესტიციის ოპერაციებისათვის, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს იძულებით განსახლებას, ბანკის მოთხოვნაა, რომ პროექტის განმახორციელებელმა სააგენტომ მოახდინოს ბანკის მიერ დასაფინანსებელი ქვეპროექტების სკრინინგი ამ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამ ოპერაციებისათვის, მსესხებელი, შეფასებამდე წარადგენს განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს, რომელიც ამ პოლიტიკას შეესაბამება (იხ. დანართი ა, პარ. 2325). ამასთან, ჩარჩოში, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა მიეთითოს მთლიანი განსასახლებელი მოსახლეობის სავარაუდო რაოდენობა და განსახლების მთლიანი სავარაუდო ღირებულება.

27. ფინანსური საშუამავლო ოპერაციებისათვის, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს იძულებით განსახლებას, ბანკის მოთხოვნაა, რომ ფინანსურმა შუამავალმა შეაფასოს ბანკის მიერ დასაფინანსებელი ქვეპროექტები, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა ამ პოლიტიკასთან. აღნიშნული ოპერაციებისათვის, ბანკის მოთხოვნაა, რომ შეფასებამდე მსესხებელმა ან ფინანსურმა შუამავალმა წარუდგინოს ბანკს ამ პოლიტიკის შესაბამისი განსახლების პოლიტიკის ჩარჩო (იხ. დანართი ა, პარ. 23-25). ამას გარდა, ჩარჩო მოიცავს ყველა იმ ფინანსური შუამავლის ინსტიტუციური შესაძლებლობების და პროცედურების შეფასებას, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ქვეპროექტის დაფინანსებაზე. როდესაც, ბანკის შეფასებით, ფინანსური შუამავლის მიერ დასაფინანსებელ ქვეპროექტებში არ არის გათავლისწინებული განსახლება, განსახლების პოლიტიკის ჩარჩო არ არის აუცილებელი. ამის ნაცვლად, იურიდიულ ხელშეკრულებებში მითითებულია ფინანსური შუამავლების ვალდებულება, პოტენციური ქვემსესხებლისაგან მიიღონ ამ პოლიტიკის შესაბამისი განსახლების გეგმა, იმ შემთხვევაში, თუ ქვეპროექტი მოიცავს განსახლებას. ყველა იმ ქვეპროექტისათვის, რომლებიც იწვევს განსახლებას, განსახლების გეგმა ბანკს დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ბანკის მიერ დაფინანსებისათვის ქვეპროექტის დამტკიცებამდე.

28. ბანკის მიერ მხარდაჭერილი სხვა პროექტებისათვის, რომლებსაც აქვთ მრავალი ქვეპროექტი, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს არანებაყოფლობით განსახლებას, ბანკის მოთხოვნაა, რომ განსახლების გეგმის ამ პოლიტიკის შესაბამისი პროექტი ბანკს

წარედგინოს პროექტის შეფასებამდე, თუ, პროექტის ან კონკრეტული ქვეპროექტის ან ქვეპროექტების ბუნების ან პროექტიდან გამომდინარე, (ა) ქვეპროექტების ზემოქმედების არეალის განსაზღვრა შეუძლებელია, ან (ბ) ზემოქმედების არეალი ცნობილია, თუმცა კონკრეტული sitting alignments ვერ განისაზღვრება. ასეთ შემთხვევებში, მსესხებელი წარადგენს ამ პოლიტიკის შესაბამის განსახლების პოლიტიკის ჩარჩოს, შეფასებამდე (იხ. დანართი ა, პარ. 23-25). სხვა ქვეპროექტებისათვის, რომლებიც არ ექცევა ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებში, ამ პოლიტიკის შესაბამისი განსახლების გეგმა უნდა მომზადდეს და წარედგინოს შეფასებამდე.

29. თითოეული ქვეპროექტისათვის, რომელიც ჩართულია პარ. 26, 27 ან 28-ში აღწერილ პროექტში და მოიცავენ განსახლებას, ბანკის მოთხოვნაა, რომ ბანკის დაფინანსებისათვის ქვეპროექტის დამტკიცებამდე ბანკს დასამტკიცებლად წარედგინოს ამ პოლიტიკის ჩარჩოს დებულებების შესაბამისი დამაკმაყოფილებელი განსახლების გეგმა ან შემოკლებული განსახლების გეგმა.

30. ზევით, 26-28 პუნქტებში აღწერილი პროექტებისათვის, ბანკმა შესაძლოა წერილობით განაცხადოს თანხმობა, რომ ქვეპროექტის განსახლების გეგმები შეიძლება დამტკიცდეს პროექტის განმახორციელებელი სააგენტოს ან პასუხისმგებელი სახელმწიფო სააგენტოს ან ფინანსური შუამავლის მიერ, ბანკის მიერ განხილვის გარეშე, თუ სააგენტომ წარმოაჩინა საკმარისი ინსტიტუციური შესაძლებლობა, მოახდინოს განსახლების გეგმების შეფასება და უზრუნველყოს მათი ამ პოლიტიკასთან შესაბამისობა. პროექტის იურიდიულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული დელეგირება, და შესაბამისი გამოსწორების ზომები იმ შემთხვევებისათვის, როდესაც აღმოჩნდება, რომ განსახლების გეგმა არ შეესაბამება ბანკის პოლიტიკას. ყველა ასეთ შემთხვევაში, განსახლების გეგმების განხორციელებაზე გავრცელდება ბანკის მიერ შემდგომი შეფასება (განხორციელების შემდგომ).

პროცესის ჩარჩო

31. პროექტებისათვის, რომლებიც ითვალისწინებს წვდომის შეზღუდვას, ზევით, 3(ბ) პუნქტის შესაბამისად, მსესხებელი ბანკს შეფასების პირობის სახით წარუდგენს ამ პოლიტიკის შესაბამისი დებულებების შესაბამის პროცესის ჩარჩოს პროექტს. ამას გარდა, პროექტის განხორციელების განმავლობაში და შეზღუდვის დაწესებამდე, მსესხებელი ამზადებს სამოქმედო გეგმას, რომელიც ბანკისათვის მისაღები უნდა იყოს. მასში აღწერილი იქნება კონკრეტული ზომები, რომლებიც უნდა განხორციელდეს განსახლებული პირების დასახმარებლად, ასევე მათი განხორციელების ზომები. სამოქმედო გეგმამ შეიძლება მიიღოს პროექტისათვის მომზადებული ბუნებრივი რესურსების მართვის გეგმის ფორმა.

მსესხებლის დახმარება

32. ამ პოლიტიკის მიზნების ხელშესაწყობად, ბანკს შეუძლია, მსესხებლის თხოვნის საფუძველზე, მხარი დაუჭიროს მსესხებელს და სხვა შესაბამის მხარეებს, შემდეგის გზით

(a) (ა) დახმარების გაწევა განსახლების პოლიტიკის, სტრატეგიების, საკანონმდებლო ბაზების, და ქვეყნის, რეგიონის ან სექტორის დონეზე კონკრეტული გეგმების შეფასებასა და გაძლიერებაში;

(b) (ბ) ტექნიკური დახმარების დაფინანსება, განსახლებაზე პასუხისმგებელი სააგენტოების ან ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, რათა მათ უფრო ქმედითად მიიღონ მონაწილეობა განსახლების ოპერაციებში;

(c) (გ) ტექნიკური დახმარების დაფინანსება განსახლების პოლიტიკების, სტრატეგიების, და კონკრეტული გეგმების შემუშავებისათვის, და განსახლების საქმიანობათა განხორციელების, მონიტორინგის, და შეფასებისათვის; და (დ) განსახლების საინვესტიციო ხარჯების დაფინანსება.

33. ბანკს შეუძლია დააფინანსოს ან მთავარი ინვესტიციის კომპონენტი, რომელიც იწვევს განსახლებას და საჭიროებს განსახლებას, ან განსახლების დამოუკიდებელი პროექტი სათანადო ჯვარედინი პირობებით, რომლებიც დამუშავებული და განხორციელებული იქნება იმ ინვესტიციის პარალელურად, რომელიც იწვევს გადაადგილებას. ბანკს შეუძლია დააფინანსოს განსახლება იმის მიუხედავად, აფინანსებს თუ არა იგი ძირითად ინვესტიციას, რომლის გამოც წარმოიქმნება განსახლების აუცილებლობა.

---

1. "ბანკი" გულისხმობს IBRD-ს და IDA-ს; "სესხები" გულისხმობს IDA კრედიტებს და IDA გრანტებს, გარანტიებს, პროექტის მომზადების (Project Preparation Facility) (PPF) ავანსებსა და გრანტებს; ხოლო "პროექტები" გულისხმობს პროექტებს (ა) PPF ავანსების და ინსტიტუციური განვითარების ფონდის გრანტების საფუძველზე თუკი ისინი მოიცავს საინვესტიციო აქტივობებს; (ბ) ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის მსოფლიო ფონდისა და მონრეალის ოქმის საფუძველზე გაცემული გრანტები, რომლისთვისაც ბანკი არის განმახორციელებელი სააგენტო; და (გ) სხვა დონორების მიერ გაცემული

გრანტები ან სესხები, რომლების ადმინისტრირებას ბანკი ახორციელებს. ტერმინი „პროექტი“ არ გულისხმობს პროგრამებს, რომლებიც მხარდაჭერილია განვითარებაზე ორიენტირებული კრედიტებით (Development Policy Lending) (რომლისთვისაც გარემოსდაცვითი დებულებები გაწერილია OP/BP 8.60-ში, განვითარებაზე ორიენტირებული კრედიტები), ან დაფინანსების სპეციალურ პროგრამებს (Program-for-Results Financing) (რომლისთვისაც გარემოსდაცვითი დებულებები გაწერილია OP/BP 9.00-ში -- *Program-for-Results Financing*. „მსესხებელი“ ასევე მოიცავს, როდესაც ამას კონტექსტი მოითხოვს, გარანტს ან პროექტის განმახორციელებელ სააგენტოს.

2.

ბანკის მიერ მხარდაჭერილ პროექტებში განსახლების მიდგომების შემუშავებისას, საჭიროა ბანკის სხვა პოლიტიკების გათვალისწინება. მათ შორისაა OP 4.01, გარემოს შეფასება, OP 4.04 ბუნებრივი საარსებო გარემო, OP 4.10 მკვიდრი მოსახლეობა, და OP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსი.

3. ტერმინი „განსახლებული პირები“ გულისხმობს პირებს, რომლებიც ზემოქედების ქვეშ მოექცნენ ამ პოლიტიკის მე-3 პუნქტში აღწერილი ერთ-ერთი ფორმით.
4. 3(ბ) პუნქტის მიხედვით განსახლებულ პირებს დახმარება უნდა გაეწიოთ მცდელობებში, გააუმჯობესონ ან აღადგინონ თავიანთი საარსებო სახსრები პარკებისა და დაცული ტერიტორიების მდგრადობის დასაცავად.
5. არასახარბიელო არაპირდაპირი სოციალური ან ეკონომიკური ზეგავლენის შემთხვევაში, რეკომენდებულია, მსესხებელმა წამოიწყოს სოციალური შეფასება და განახორციელოს ზომები, რომელთა შედეგადაც მოხდება უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური ზეგავლენის, განსაკუთრებით -- ხელმოკლე და მოწყვლად ჯგუფებზე ზეგავლენის -- შემცირება და შერბილება. სხვა გარემოსდაცვითი, სოციალური, და ეკონომიკური ზეგავლენა, რომელიც არ არის გამოწვეული მიწის ჩამორთმევით, შეიძლება გამოვლინდეს და მასზე რეაგირება მოხდეს გარემოსდაცვითი შეფასების და პროექტის სხვა ანგარიშებისა და ინსტრუმენტების მეშვეობით.
6. ეს პოლიტიკა არ ეხება ბუნებრივ რესურსებზე წვდომის შეზღუდვას სათემო პროექტების ფარგლებში, ე.ი., როდესაც თემი, რომელიც მოიხმარს რესურსს, იღებს გადაწყვეტილებას, შეზღუდოს ასეთ რესურსზე წვდომა, იმ პირობით, რომ ბანკისათვის მისაღები შეფასების მიხედვით დადგენილია, რომ თემის გადაწყვეტილებების მიღების პროცესი სათანადოა, და რომ იგი ითვალისწინებს სათანადო ზომების განსაზღვრას თემის მოწყვლად წევრებზე არასახარბიელო ზეგავლენის შესარბილებლად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ეს პოლიტიკა ასევე არ ვრცელდება ბუნებრივი კატასტროფების, ომის, ან სამოქალაქო მღელვარების გამო გადაადგილებულ/განსახლებულ

ადამიანებზე (იხ. OP 8.00, სწრაფი რეაგირება კრიზისისა და საგანგებო სიტუაციების დროს).

7. ამ პოლიტიკის მიზნებისათვის, „არანებაყოფლობითი“ ნიშანვს ქმედებებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს განსახლებული პირის ინფორმირებული თანხმობის ან არჩევანის უფლების გარეშე.
8. „მიწა“ მოიცავს ყველაფერს, რაც იზრდება ან მუდმივად არის დამაგრებული მიწაზე, როგორიცაა შენობები და ნარგაობები. ეს პოლიტიკა არ ვრცელდება ეროვნულ ან რეგიონულ დონეზე ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებულ რეგულაციებზე მათი მდგრადობის ხელშესაწყობად, როგორიცაა წყალგამყოფის მართვა, გრუნტის წყლების მართვა, თევზსაჭერების მართვა, და ა.შ. ეს პოლიტიკა ასევე არ ვრცელდება დავებზე კერძო მხარეებს შორის მიწის საკუთრების უფლების პროექტებში, თუმცა რეკომენდებულია, მსესხებელმა წამოიწყოს სოციალური შეფასება და განახორციელოს ზომები უარყოფითი სოციალური ზეგავლენის შემცირებისა და შერბილებისათვის, განსაკუთრებით იმ ზეგავლენისა, რომელიც ხელმოკლე და მოწყვლად ჯგუფებზე აისახება.

   ამ პოლიტიკის მიზნებისათვის, წვდომის არანებაყოფლობით შეზღუდვა მოიცავს შეზღუდვას რესურსის გამოყენებაზე, რომლებიც დაწესებულია პარკის ან დაცულ ტერიტორიის გარეთ მცხოვრებ ადამიანებზე, ან იმ ადამიანებზე, რომლებიც აგრძელებენ ცხოვრებას პარკის ან დაცული ტერიტორიის არეალში პროექტის განხორციელების განმავლობაში და შემდგომ პერიოდში. იმ შემთხვევებში, როდესაც პროექტის ფარგლებში იქმნება ახალი პარკები და დაცული ტერიტორიები, პირებზე, რომლებიც კარგავენ თავშესაფარს, მიწას, ან სხვა აქტივებს, ვრცელდება პარ. 3(ა). პირებზე, რომლებიც კარგავენ თავშესაფარს უკვე არსებულ პრაკებში და დაცულ ტერიტორიებში, ასევე ვრცელდება 3(ა) პუნქტის მოქმედება.
9. *არანებაყოფლობითი განსახლების გზამკვლევში* მოცემულია პოლიტიკასთან დაკავშირებული კარგი პრაქტიკა და განკუთვნილია თანამშრომლებისათვის.
10. „ჩანაცვლების ღირებულება“ არის აქტივების შეფასების მეთოდი, რომელიც გვეხმარება დავადგინოთ თანხა, რომელიც საკმარისია დაკარგული აქტივების შესაცვლელად და ოპერაციის ხარჯების დასაფარად. ღირებულების დადგენის ამ მეთოდის გამოყენებისას, მხედველობაში არ მიიღება ნაგებობებისა და აქტივების ცვეთა (ჩანაცვლების ღირებულების დეტალური აღწერა იხ., დანართი ა, სკოლიო 1). იმ ზარალის შემთხვევაში, რომლის მარტივად შეფასება ან ფულადი სახით ანაზღაურება შეუძლებელია (მაგ., წვდომა საჯარო მომსახურებაზე, მომხმარებელზე, და მიმწოდებელზე; ან თევზჭერაზე, საძოვარზე, ან ტყის სივრცეებზე), საჭიროა ძალისხმევა წვდომის უზრუნველსაყოფად ექვივალენტურ და კულტურულად მისაღება რესურსზე და შემოსავლის მომტან შესაძლებლობებზე. როდესაც ეროვნული კანონით განსაზღვრული სრული ჩანაცვლების ღირებულება არ შეესაბამება

კომპენსაციის სტანდარტს, ეროვნული კანონის საფუძველზე განსაზღვრულ კომპენსაციას დაემატება დამატებითი ზომები, რომლებიც აუცილებელია ჩანაცვლების ხარჯის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული დამატებითი დახმარება მე-6 პუნქტის სხვა დებულებების საფუძველზე გათვალისწინებული განსახლების დახმარებისაგან განსხვავებული კატეგორიაა.

11. თუ ჩამორთმეული აქტივის ნარჩენი არ არის ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი, კომპენსაციისა და სხვა განსახლების დახმარება შეესაბამება მთლიანი აქტივის ჩამორთმევის მსგავს პირობებს.
12. ალტერნატიული აქტივების გადაცემა ხდება საკუთრებასთან დაკავშირებული სათანადო ზომების გატარებით. გადასაცემი ალტერნატიული საცხოვრებელი სახლის, საცხოვრისის ობიექტების, საწარმოო შენობის, და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ღირებულება შეიძლება გამოიქვითოს შესაბამისი დაკარგული აქტივის სანაცვლოდ გადასახდელი კომპენსაციის მთლიანი ოდენობიდან ან მისი ნაწილიდან.
13. მხარდაჭერამ შეიძლება მიიღოს მოკლევადიანი სამუშაო ადგილის, საარსებო მხარდაჭერის, ხელფასის ან მსგავსი მექანიზმების ფორმა.
14. იხ. OP 4.10, *მკვიდრი მოსახლეობა.*
15. როდესაც მსესხებელს ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირისათვის შეთავაზებული აქვს კომპენსაციის გადახდა განსახლების დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, თუმცა შეთავაზება უარყოფილია, მიწის და დაკავშირებული აქტივების ჩამორთმევა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელს განთავსებული აქვს ფინანსური სახსრები შეთავაზებული თანხის ოდენობით პლუს 10 პროცენტი “escrow“-ს ან სხვა პროცენტიან დაცულ ანაბარზე, რომელიც მისაღებია ბანკისათვის, და უზრუნველყოფილი აქვს ბანკისათვის დამაკმაყოფილებელი საშუალება აღნიშნული კომპენსაციის შეთავაზებასთან დაკავშირებული დავის დროულად და თანასწორუფლებიან პირობებში გადასაჭრელად.
16. იხ. OP 4,04, *ბუნებრივი საცხოვრებელი გარემო.*
17. ზოგადი პრინციპის სახით, ეს ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ჩამორთმეული მიწა შეადგენს მთლიანი ნაყოფიერი ტერიტორიის 20%-ზე ნაკლებს.
18. პარ. 13-15 არ ვრცელდება იმ ზეგავლენაზე, რომლებიც მოცულია ამ პოლიტიკის პარ 3(ბ)-თი. შერჩევის კრიტერიუმები განსახლებული პირებისათვის 3(ბ)-ს ფარგლებში მოცულია პროცესის ჩარჩოთი (იხ. 7 და 30 პუნქტები).
19. ასეთი მოთხოვნები შესაძლოა მომდინარეობდეს სახელმწიფო მიწების განგრძობითი ფლობიდან მთავრობის მიერ გასახლების ქმედებების გატარების გარეშე, ან ჩვეულებითი და ტრადიციული კანონით და გამოყენებით, და ა.შ.

20. განსახლებაში დახმარება შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ მიწას, სხვა აქტივებს, ფულს, დასაქმებას, და ა.შ., რომელიც სათანადოა.
21. ჩვეულებრივ, ვადის ამოწურვა არის ის თარიღი, როდესაც იწყება მოსახლეობის აღწერა. ვადის ამოწურვა შესაძლოა ასევე იყოს თარიღი, როდესაც მოხდა პროექტის ტერიტორიის გამიჯვნა, აღწერამდე, იმ პირობით, თუ იყო გამიჯნული ტერიტორიის შესახებ განხორციელდა ეფექტური საზოგადოების ინფორმირება და ამასთან, ინფორმაცია სისტემატიურად და უწყვეტად ვრცელდებოდა გამიჯვნის შემდგომ, მოსახლეობის შემოდინების პრევენციის მიზნით.
22. მაღალი რისკის შემცველ ან სადავო პროექტების, ან ისეთი პროექტების შემთხვევაში, რომლებშიც გათვალისწინებულია განსახლების მნიშვნელოვანი და კომპლექსური ღონისძიებები, მსესხებელმა უნდა მიმართოს დამოუკიდებელი, საერთაშორისოდ აღიარებული განსახლების სპეციალისტების მრჩეველთა ჯგუფს, რომლებიც კონსულტაციებს გაუწევენ პროექტის ყველა ასპექტის გარშემო, განსახლების ღონისძიებებთან დაკავშირებით. ექსპერტთა შეხვედრის სიხშირე და სხვა საკითხები დამოკიდებულია განსახლების კომპლექსურობაზე. თუ დამოუკიდებელი ტექნიკური მრჩეველთა ჯგუფები შექმნილია OP 4.01, *გარემოსდაცვითი შეფასების* საფუძველზე, განსახლების ჯგუფი (პანელი) შეიძლება გახდეს ექსპერტთა გარემოსდაცვითი ჯგუფის ნაწილი.
23. იხ. მსოფლიო ბანკის ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა პარ. 34 (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი:World Bank, 2002).
24. ამ მოთხოვნიდან გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია ძლიერ უჩვეულო შემთხვევებში (როგორიცაა გადაუდებელი ოპერაციები) ბანკის ხელმძღვანელობის ნებართვის საფუძელზე (იხ. BP 4.12, პარ. 8). ასეთ შემთხვევებში, ხელმძღვანელობის ნებართვა ითვალისწინებს გრაფიკს და ბიუჯეტს განსახლების გეგმის შესამუშავებლად.
25. ზეგავლენა მიიჩნევა „მცირედ“ თუ ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანების ფიზიკურად განსახლება არ ხდება და მათი პროდუქტიული აქტივების 10 პროცენტზე ნაკლები იკარგება.
26. ამ პუნქტის მიზნით, ტერმინი „ქვეპროექტები“ მოიცავს კომპონენტებს და ქვეკომპონენტებს.

OP 4.12, დანართი ა - არა ნებაყოფლობითი განსახლების ინსტრუმენტები

(რედაქტირებულია 2011 წლის თებერვალში)

ამ დანართში აღწერილია განსახლების გეგმის ელემენტები, შემოკლებული განსახლების გეგმა, განსახლების პოლიტიკის ჩარჩო, და განსახლების პროცესის ჩარჩო, OP 4.12 პარ. 17-31-ის მიხედვით.

განსახლების გეგმა

2. განსახლების გეგმის მოცვის სფერო და დეტალურობა განსხვავდება განსახლების მასშტაბისა და კომპლექსურობის მიხედვით. გეგმა ემყარება უახლეს და სანდო ინფორმაციას (ა) შეთავაზებული განსახლების და მისი ზეგავლენის შესახებ განსახლებულ პირებზე და სხვა უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ჯგუფებზე, და (ბ)განსახლებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს. განსახლების გეგმა მოიცავს ქვემოთ მითითებულ ელემენტებს, მათი აქტუალურობის მიხედვით. როდესაც რომელიმე ელემენტი არ ეხება მოცემულ სიტუაციას, პროექტის გარემოებებიდან გამომდინარე, განსახლების გეგმაში უნდა გაკეთდეს სათანადო მითითება.

3. *პროექტის აღწერა.* პროექტის ზოგადი აღწერა და პროექტის არეალის განსაზღვრა.

4. *პოტენციური ზემოქმედება.* შემდეგის მითითება

(a) (ა) პროექტის კომპონენტი ან ღონისძიებები, რომლებიც იწვევენ განსახლებას;

(b) (ბ) ზემოაღნიშნული კომპონენტის ან ღონისძიებების ზემოქმედების ზონა (არეალი);

(c) (გ) განსახლების თავიდან აცილების ან შემცირების განხილული ალტერნატივები; და

(d) (დ) პროექტის განხორციელების მანძილზე განსახლების მაქსიმალურად შემცირებისათვის შექმნილი მექანიზმები.

5. *მიზნები.* განსახლების პროგრამის ძირითადი მიზნები.

6. *სოციალურ-ეკონომიკური კვლევები.* სოციალურ-ეკონომიკური კვლევების მიგნებები, რომლებიც უნდა ჩატარდეს პროექტის მომზადების ადრეულ ეტაპებზე და პოტენციურად განსასახლებელი პირების ჩართულობით, მათ შორის

(ა) მოსახლეობის აღწერის შედეგები, რომლებიც მოიცავს

(i) ზემოქმედების ქვეშ მოქცეული არეალის ამჟამინდელ მფლობელებს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება ბაზა განსახლების პროგრამის შესამუშავებლად და გამოირიცხება კომპენსაციის და განსახლებაში დახმარებისათვის შემდგომი მომართვების დაკმაყოფილება;

(ii) განსახლებული ოჯახების სტანდარტული მახასიათებლები, მათ შორის, წარმოების სისტემების, შრომის, და შინამეურნეობის ორგანიზების აღწერა; და საბაზისო ინფორმაცია საარსებო სახსრებზე (მათ შორის, შესაბამის შემთხვევებში, წარმოების დონეები და მიღებული შემოსავალი როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობიდან) და განსახლებული მოსახლეობის ცხოვრების დონე (მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობა);

(iii) აქტივების მოსალოდნელი ზარალის - მთლიანი ან ნაწილობრივი - მასშტაბი, და განსახლების -- ფიზიკური ან ეკონომიკური -- მასშტაბი;

(iv) ინფორმაცია მოწყვლადი ჯგუფების ან პირების შესახებ, როგორც ეს გათვალისწინებულია OP 4.12, პარ. 8, რომლისთვისაც შესაძლოა მომზადდეს სპეციალური დებულებები; და

(v) დებულებები განსახლებული პირების საარსებო სახსრების და ცხოვრების დონის შესახებ ინფორმაციის რეგულარული პერიოდულობით განახლების შესახებ, რათა მათი განსახლების დროისათვის ხელმისაწვდომი იყოს უახლესი ინფორმაცია.

(ბ)სხვა კვლევები, სადაც აღწერილი იქნება შემდეგი

(i) მიწის ფლობისა და გადაცემის სისტემები, მათ შორის, საერთო ქონების ბუნებრივი რესურსის აღრიცხვა, რომლიდანაც ადამიანები იღებენ საარსებო სახსრებს, უზუფრუქტის სისტემები, რომლებიც არ ემყარება საკუთრების უფლებას (მათ შორის, თევზჭერა, საძოვრის, ან ტყის ტერიტორიის გამოყენება) რომელზეც ვრცელდება ადგილობრივად აღიარებული მიწის განაწილების მექანიზმები, და ნებისმიერი მსგავსი საკითხები პროექტის ტერიტორიასთან დაკავშირებით;

(ii) ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ თემებში სოციალური ურთიერთობის მოდელები, მათ შორის, სოციალური კავშირები და სოციალური მხარდაჭერის სისტემები, და მათზე პროექტის ზეგავლენა;

(iii) საჯარო საინფრასტრუქტურა და სოციალური მომსახურება, რომლებზეც ზეგავლენა მოხდება; და

(iv) განსახლებული თემების სოციალური და კულტურული მახასიათებლები, მათ შორის, ფორმალური და არაფორმალური დაწესებულებების აღწერა (მაგ., სათემო ორგანიზაციები, რიტუალური ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები) რომლებიც შეიძლება იყოს აქტუალური საკონსულტაციო სტრატეგისათვის და განსახლების ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელებისათვის.

7. *სამართლებრივი ბაზა.* სამართლებრივი ბაზის ანალიზის შედეგად გაკეთებული მიგნებები, მათ შორის

(a) (ა) სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების იძულებით გასხვისების (eminent domain) უფლებამოსილების მასშტაბი და მასთან დაკავშირებული კომპენსაციის ხასიათი, როგორც შეფასების მეთოდოლოგიის, ისე გადახდის ვადების თვალსაზრისით;

(b) (ბ) შესაბამისი სამართლებრივი და ადმინისტრაციული პროცედურები, მათ შორის, განსახლებული პირებისათვის სასამართლო წარმოებაში ხელმისაწვდომი მექანიზმების აღწერა და აღნიშნული პროცედურების ჩვეული ვადები, და დავების გადაჭრის ნებისმიერი არსებული ალტერნატიული მექანიზმები, რომლებიც შეიძლება აქტუალური იყოს პროექტის ფარგლებში განსახლებისათვის;

(c) (გ) შესაბამისი კანონი (მათ შორის, ჩვეულებითი და ტრადიციული სამართალი), რომელიც არეგულირებს მიწის საკუთრებას/ფლობას, აქტივების და ზარალის შეფასებას, კომპენსაციას, და ბუნებრივი რესურსის მოხმარების უფლებებს; ჩვეულებითი პიროვნული უფლებების სამართალი, რომელიც ეხება განსახლებას; და გარემოსდაცვითი კანონები და სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობა;

(d) (დ) კანონები და რეგულაციები, რომლებიც ეხება იმ სააგენტოებს, რომლებიც განსახლების ღონისძიებების განხორციელებაზე არიან პასუხისმგებელნი;

(e) (ე) სახელმწიფოს მიერ კერძო საკუთრების გასხვისების უფლებასა და განსახლებასთან დაკავშირებულ ეროვნულ კანონებსა და ბანკის განსახლების პოლიტიკას შორის შეუსაბამობები, და მექანიზმები ასეთი შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად; და

(f) (ვ) ნებისმიერი სამართლებრივი ნაბიჯები, რომლებიც აუცილებელია პროექტის ფარგლებში განსახლების ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებისათვის, მათ შორის, სათანადო შემთხვევებში, მიწაზე კანონიერი უფლებების მოთხოვნების აღიარების პროცესი - მათ შორის, მოთხოვნების, რომლებიც მომდინარეობს ჩვეულებითი სამართლიდან და ტრადიციული გამოყენებიდან (იხ. OP 4.12, პარ. 15ბ).

8. *ინსტიტუციური ჩარჩო.* ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზის მიგნებები, რომელიც მოიცავს

(a) (ა)განსახლების ღონისძიებებზე პასუხისმგებელ სააგენტოებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ როლი პროექტის განხორციელებაში;

(b) (ბ) აღნიშნული სააგენტოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასება; და

(c) (გ) ნებისმიერი ნაბიჯები, რომლებიც შეთავაზებულია განსახლების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სააგენტოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გასაძლიერებლად.

9. *შერჩევის კრიტერიუმები.* განსახლებული პირების განმარტება და კრიტერიუმები მათ მიერ კომპენსაციის და განსახლების სხვა დახმარების მიღების უფლების განსაზღვრისათვის, მათ შორის, შესაბამისი ვადები (cut-off dates).

10. *ზარალის შეფასება და კომპენსაცია.* ზარალის შეფასებისათვის გამოსაყენებელი მეთოდოლოგია ქონების ჩანაცვლებითი ღირებულების დასადგენად; და შეთავაზებული სახეობების და კომპენსაციის დონეების აღწერა ეროვნულ კანონმდებლობაში და დამატებითი ზომები, რომლებიც აუცილებელია დაკარგული აქტივების ჩანაცვლებითი ღირებულების მისაღწევად.

11. *განსახლების ზომები.* კომპენსაციის პაკეტების და განსახლების სხვა ზომების აღწერა, რომელიც დაეხმარება განსახლებული პირების ყველა კატეგორიას, რომელიც აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, პოლიტიკის მიზნების მიღწევაში (იხ., OP, პარ. 6). ტექნიკური და ეკონომიკური მიზანშეწონილების გარდა, განსახლების პაკეტები უნდა შეესაბამებოდეს განსახლებული პირების კულტურულ მოთხოვნებს, და მომზადდეს მათთან კონსულტაციის პირობებში.

12. *ობიექტის არჩევა, ობიექტის მომზადება, და განსახლება.* ალტერნატიული განსახლების ობიექტების განხილვა და შერჩეული ობიექტების განმარტება, რაც მოიცავს

(a) (ა) ინსტიტუციურ და ტექნიკურ მექანიზმებს განსახლების ობიექტების გამოსავლენად და მოსამზადებლად, ქალაქში თუ სოფლად, სადაც საწარმოო პოტენციალის, ხელსაყრელი ადგილმდებარეობის, და სხვა ფაქტორების კომბინაცია სულ მცირე შედარებადია ძველი ადგილის უპირატესობებთან, ასევე

მიახლოებითი ვადა, რომელიც საჭიროა მიწის და დამატებითი რესურსის შეძენისა და გადაცემისათვის;

(b) (ბ) ნებისმიერი ზომები, რომლებიც აუცილებელია მიწით სპეკულაციის პრევენციის ან შერჩეულ ობიექტებზე იმ პირთა ნაკადის პრევენციისათვის, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს;

(c) (გ) პროცედურები პროექტის ფარგლებში ფიზიკური განსახლებისათვის, მათ შორის, ობიექტის მომზადებისა და გადაცემის გეგმა-გრაფიკები; და

(d) (დ) სამართლებრივი მექანიზმები ფლობისა და საკუთრების საკითხების დარეგულირებისა და განსახლებული პირებისათვის საკუთრების უფლების გადასაცემად.

13. *საცხოვრისი, ინფრასტრუქტურა, და სოციალური სერვისები.* გეგმები საცხოვრისის, ინფრასტრუქტურის (მაგ., წყალმომარაგება, და ა.შ.), და სოციალური მომსახურების (მაგ., სკოლები, ჯანდაცვის მომსახურება) უზრუნველსაყოფად; გეგმა მასპინძელი მოსახლეობისათვის შედარებადი მომსახურების უზრუნველსაყოფად; ობიექტის ნებისმიერი აუცილებელი განვითარება, საინჟინრო, და არქიტექტურული პროექტები.

14. *გარემოს დაცვა და მართვა.* განსახლების ტერიტორიის ზღვრების აღწერა; და შეთავაზებული განსახლების გარემოზე ზეგავლენის შეფასება და ამგვარი ზეგავლენის შერბილებისა და მართვის ზომები (რომელიც, შესაბამის შემთხვევაში, კოორდინირებული უნდა იყოს მთავარი ინვესტიციის გარემოსდაცვით შეფასებასთან, რომლის ფარგლებშიც საჭიროა განსახლება).

15. *საზოგადოების მონაწილეობა.* განსახლებული პირებისა და მასპინძელი თემების ჩართულობა,

(a) (ა) განსახლებულ პირებთან და მასპინძელ თემებთან კონსულტაციის და განსახლების ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში მათი მონაწილეობის სტრატეგიის აღწერა;

(b) (ბ) გამოხატული მოსაზრებების შეჯამება და განსახლების გეგმის მომზადებისას ამ მოსაზრებების გათვალისწინების მოკლე აღწერა;

(c) (გ)განსახლების წარდგენილი ალტერანტივების განხილვა და განსახლებული პირების მიერ გაკეთებული არჩევანი მათ წინაშე არსებული ვარიანტებიდან, მათ შორის, ვარიანტები, რომლებიც ეხებოდა კომპენსაციის ფორმას და განსახლების

დახმარებას, განსახლებას ინდივიდუალურ ოჯახებად თუ მანამდე არსებული თემების ან ჯგუფების მიხედვით, ჯგუფის ორგანიზაციის არსებული მოდელების შენარჩუნებას, და კულტურულ საკუთრებაზე წვდომის (მაგ., სალოცავი ადგილები, სასაფლაოები) შენარჩუნებას; და

(d) (დ) ინსტიტუციური მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც განსახლებულ პირებს შეუძლიათ პროექტის ხელმძღვანელობას გააცნონ საკუთარი პრეტენზიები დაგეგმვისა და განხორციელების პერიოდში, და ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისეთი მოწყვლადი ჯგუფები, როგორიცაა ადგილობრივი მოსახლეობა, ეთნიკური უმცირესობები, მიწის არმქონე პირები, და ქალები, საკმარისად იყვნენ წარმოდგენილნი.

16. *ინტეგრაცია მასპინძელ მოსახლეობაში.* მასპინძელ თემებზე განსახლების ზეგავლენის შერბილების ზომები, მათ შორის,

(a) (ა) კონსულტაციები მასპინძელ თემებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან;

(b) (ბ) მექანიზმები განსახლებული პირებისათვის მასპინძლების მიერ უზრუნველყოფილი მიწის ან სხვა აქტივებისათვის გადასახდელი თანხების დროულად გადასახდელად;

(c) (გ) მექანიზმები ნებისმიერი კონფლიქტზე რეაგირებისათვის, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას განსახლებულ პირებსა და მასპინძელ თემებს შორის; და

(d) (დ) ნებისმიერი ზომები, რომლებიც აუცილებელია მომსახურების გასაუმჯობესებლად (მაგ., განათლება, წყალი, ჯანდაცვა, და საწარმოო სერვისები) მასპინძელ თემებში, რათა ეს სერვისები გახდეს სულ მცირე შედარებადი განსახლებული პირებისათვის ხელმისაწვდომი სერვისების მიმართ.

17. *დავების გადაჭრის პროცედურები.* ფინანსურად და ფიზიკურად ხელმისაწვდომი პროცედურები განსახლებასთან დაკავშირებული დავების მესამე მხარის ჩართულობით მოსაგვარებლად; ასეთი მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს სასამართლოსათვის მიმართვას და დავების მოგვარების სათემო და ტრადიციულ მექანიზმებს.

18. *ორგანიზაციული პასუხისმგებლობები* განსახლების განხორციელების ორგანიზაციული ჩარჩო, მათ შორის, განსახლების ზომებისა და მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელი სააგენტოების მითითება; ჩართულ სააგენტოებსა და იურისდიქციებს შორის სათანადო კოორდინაციის მექანიზმები; და ნებისმიერი ზომები (მათ შორის, ტექნიკური დახმარება), რომელიც აუცილებელია

განმახორციელებელი სააგენტოების მიერ განსახლების ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების შესაძლებლობების გასაძლიერებლად; ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ან თავად განსახლებული პირებისათვის პროექტის ფარგლებში გადაცემული ობიექტებისა და მომსახურების მართვის პასუხისმგებლობის გადაცემასთან დაკავშირებული დებულებები და აღნიშნული პასუხისმგებლობების გადაცემა განსახლების განმახორციელებელი სააგენტოებიდან, სათანადო შემთხვევებში.

19. *განხორციელების გრაფიკი.* განხორციელების გრაფიკი განსახლების ყველა ღონისძიების მითითებით, მომზადებიდან განხორციელებამდე, მათ შორის, საორიენტაციო ვადები განსახლებული პირებისა და მასპინძლებისათვის მოსალოდნელი სარგებლის მისაღებად და დახმარების სხვადასხვა ფორმების შესაწყვეტად. გრაფიკში უნდა მიეთითოს, თუ როგორ უკავშირდება განსახლების ღონისძიებები მთლიანი პროექტის განხორციელებას.

20. *ხარჯები და ბიუჯეტი.* ცხრილები, სადაც პუნქტობრივად იქნება ნაჩვენები ყველა განსახლების ღონისძიების ხარჯები, მათ შორის, ინფლაციის, მოსახლეობის ზრდის, და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების შესაბამისი ხარჯები; დაფინანსების წყაროები; და დაფინანსების დროულად მიღების მექანიზმები და ასეთის არსებობის შემთხვევაში, განმახორციელებელი სააგენტოების იურისდიქციის გარეთ მდებარე ტერიტორიებზე განსახლების დაფინანსება.

21. *მონიტორინგი და შეფასება.* განმახორციელებელი სააგენტოს მიერ განსახლების ღონისძიებების მონიტორინგის მექანიზმი, რომელსაც დამატებით განახორციელებენ დამოუკიდებელი მონიტორები, როგორც ამას ბანკი მიიჩნევს მიზანშეწონილად, სრულყოფილი და ობიექტური ინფორმაციის მოსაპოვებლად; შესრულების მონიტორინგის ინდიკატორები რესურსის, განსახლების ღონისძიებების მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების გასაზომად; განსახლებული პირების ჩართვა მონიტორინგის პროცესში; განსახლების ზეგავლენის შეფასება გონივრული პერიოდის მანძილზე მას შემდეგ, რაც დასრულდება განსახლების და მასთან დაკავშირებული განვითარების ყველა ღონისძიება; განსახლების მონიტორინგის შედეგების გამოყენება შემდგომი განხორციელებისას გასათვალისწინებლად.

განსახლების შემოკლებული გეგმა

22. განსახლების შემოკლებული გეგმა მოიცავს შემდეგ მინიმალურ ელემენტებს:

(a) (ა) განსახლებული პირების აღწერა და კვლევა და აქტივების ღირებულების დადგენა;

(b) (ბ) კომპენსაციის და განსახლებასთან დაკავშირებული სხვა გასაწევი დახმარების აღწერა;

(c) (გ) განსახლებულ პირებთან კონსულტაციების გავლა მისაღებ ალტერნატივებთან დაკავშირებით;

(d) (დ) ინსტიტუციური პასუხისმგებლობა დავების გადაჭრის განხორციელებისა და პროცედურებისათვის;

(e) (ე) მონიტორინგისა და განხორციელების მექანიზმები; და

(f) (ფ) გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი.

განსახლების პოლიტიკის ჩარჩო

23. პოლიტიკის ჩარჩოს მიზანია, განმარტოს განსახლების პრინციპები, ორგანიზაციული მექანიზმები, და შემუშავების კრიტერიუმები, რომლების გამოყენებაც მოხდება პროექტის განხორციელების პერიოდში მოსამზადებელ ქვეპროექტებზე (იხ. OP 4.12, პარ. 26-28). პოლიტიკის ჩარჩოს შესაბამისი ქვეპროექტების განსახლების გეგმები შემდგომში ბანკს წარედგინება დასამტკიცებლად მას შემდეგ, რაც კონკრეტული დაგეგმვის ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი (იხ. OP 4.12, პარ. 29).

24. განსახლების პოლიტიკის ჩარჩო მოიცავს შემდეგ ელემენტებს, რომლებიც შეესაბამება OP 4.12 პარ. 2 და 4 აღწერილ დებულებებს:

(a) (ა) პროექტის და კომპონენტების მოკლე აღწერა, რომლისთვისაც მიწის შესყიდვა და განსახლება არის საჭირო, და იმის განმარტება, თუ რატომ ვერ მომზადდება პროექტის შეფასების ფარგლებში 2-21 პარ. აღწერილი განსახლების გეგმა ან 22-ე პუნქტში აღწერილი შემოკლებული გეგმა;

(b) (ბ) განსახლების მომზადების და განხორციელების წარმმართველი პრინციპები და მიზნები;

(c) (გ) განსახლების გეგმების მომზადებისა და დამტკიცების პროცესის აღწერა;

(d) (დ) მოსალოდნელი მოსახლეობის განსახლება და განსახლებული პირების სავარაუდო კატეგორიები, რამდენადაც ეს მიზანშეწონილია;

(e) (ე) შერჩევის კრიტერიუმები განსახლებულ პირთა სხვადასხვა კატეგორიების დასადგენად;

(f) (ვ) სამართლებრივი ჩარჩოს შეფასება მსესხებლის კანონებსა და რეგულაციებს და ბანკის პოლიტიკის მოთხოვნებს შორის შესაბამისობის დასადგენად და მათ შორის შეუსაბამობების აღმოფხვრის შეთავაზებული ზომები;

(g) (ზ) ზეგავლენის ქვეშ არსებული აქტივების ღირებულების განსაზღვრის მეთოდები;

(h) (თ) ორგანიზაციული პროცედურები უფლებებით სარგებლობისათვის, მათ შორის, იმ პროექტებისათვის, რომლებიც მოიცავს კერძო სექტორიდან შუამავლებს, ფინანსური შუამავლების, მთავრობის და კერძო დეველოპერის პასუხისმგებლობები;

(i) (ი) განხორციელების პროცესის აღწერა, განსახლების განხორციელების დაკავშირება სამშენებლო სამუშაოებთან;

(j) (კ) დავების გადაჭრის მექანიზმების აღწერა;

(k) (ლ)განსახლების დაფინანსების მექანიზმების, მათ შორის, ხარჯების გაანგარიშების, სახსრების ბრუნვის და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე რეაგირების მომზადებისა და შეფასების მექანიზმების აღწერა;

(l) (მ) დაგეგმვაში, განხორციელებასა და მონიტორინგში განსახლებულ პირებთან კონსულტაციის და მათი მონაწილეობის მექანიზმების აღწერა; და

(m) (ნ) განმახორციელებელი სააგენტოს მიერ, და საჭიროებისამებრ, დამოუკიდებელი მონიტორების მიერ, მონიტორინგის მექანიზმები.

25. როდესაც განსახლების პოლიტიკის ჩარჩო ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც უნდა წარედგინოს სესხის პირობის სახით, რომელიც წარედგინება ქვეპროექტის დაფინანსების პირობის სახით წარდგენილი განსახლების გეგმა არ არის აუცილებელი მოიცავდეს პოლიტიკის პრინციპებს, უფლებებისა და შერჩევის კრიტერიუმებს, ორგანიზაციულ მექანიზმებს, მონიტორინგისა და შეფასების ზომებს, მონაწილეობის ჩარჩოს, და დავების გადაჭრის მექანიზმებს, რომლებიც განსაზღვრულია განსახლების პოლიტიკის ჩარჩოში. ქვეპროექტის კონკრეტული განსახლების გეგმა უნდა მოიცავდეს საბაზისო აღწერის და სოციალურ-ეკონომიკური კვლევის ინფორმაციას; კონკრეტული კომპენსაციის მაჩვენებლებს და სტანდარტებს; პოლიტიკის საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია აღწერის ან კვლევის ფარგლებში გამოვლენილ

დამატებით ზეგავლენასთან; განსახლების ობიექტების და საარსებო სახსრების და ცხოვრების დონის გაუმჯობესების ან აღდგენის პროგრამების აღწერას; განსახლების ღონისძიებების განხორციელების გრაფიკს; და დეტალურ ხარჯთაღრიცხვას.

პროცესის ჩარჩო

26. პროცესის ჩარჩო მზადდება მაშინ, როდესაც ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტებმა შესაძლოა გამოიწვიონ კანონით განსაზღვრულ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივ რესურსებზე წვდომის შეზღუდვა. პროცესის ჩარჩოს მიზანია განისაზღვროს პროცესი, რომლის მეშვეობით პოტენციურად ზეგავლენის ქვეშ მოქცეული თემების წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ პროექტის კომპონენტების შემუშავებაში, განსახლების პოლიტიკის მიზნების მისაღწევად აუცილებელი ზომების განსაზღვრაში, და შესაბამისი პროექტის ღონისძიებების განხორციელებასა და მონიტორინგში (იხ. OP 4.12, პარ. 7 და 31).

27. კერძოდ, პროცესის ჩარჩოში აღწერილია მონაწილეობითი პროცესები, რომელთა მეშვეობით მოხდება შემდეგის შესრულება

(a) *პროექტის კომპონენტების მომზადება და განხორციელება.* დოკუმენტში მოკლედ უნდა აღიწეროს პროექტი და კომპონენტები ან ღონისძიებები, რომლებიც შესაძლოა მოიცავდეს ახალ ან უფრო მკაცრ შეზღუდვებს ბუნებრივი რესურსის მოხმარებაზე. ასევე მასში უნდა აღიწეროს პროცესი, რომლის მეშვეობითაც პოტენციურად განსახლებული პირები მიიღებენ მონაწილეობას პროექტის შემუშავებაში.

(b) *განისაზღვრება ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების შერჩევის კრიტერიუმები.* დოკუმენტში უნდა მიეთითოს, რომ მოხდება პოტენციურად ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების ჩართვა უარყოფითი ზეგავლენის განსაზღვრაში, ზეგავლენის მნიშვნელობის შეფასებაში, და შერბილების ან კომპენსაციის აუცილებელი ზომების შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრაში.

(c) *ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირების დასახმარებლად ზომების განსაზღვრა, რაც მისცემს მათ საარსებო საშუალებების გაუმჯობესების ან აღდგენის შესაძლებლობას, რეალური პირობებით, მანამდე არსებულ დონემდე, იმავდროულად პარკის ან დაცული ტერიტორიის მდგრადობის შენარჩუნებით.* დოკუმენტში უნდა აღიწეროს მეთოდები და პროცედურები, რომელთა მეშვეობით თემები განსაზღვრავენ და აირჩევენ შერბილების და კომპენსაციის პოტენციურ ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნება ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირებისათვის, და

პროცედურები, რომელთა მეშვეობით ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირები აირჩევენ არსებულ ვარიანტებიდან.

(d) *გადაიჭრება პოტენციური კონფლიქტი ან დავები ზეგავლენის ქვეშ მყოფ თემებში ან მათ შორის.* დოკუმენტში უნდა აღიწეროს პროცესი რესურსის გამოყენების შეზღუდვასთან დაკავშირებული დავების გადასაჭრელად, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ზეგავლენის ქვეშ მყოფ თემებს შორის ან თემებში, და რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას თემების წევრების მხრიდან, რომლებიც უკმაყოფილო არიან შერჩევის კრიტერიუმებით, დაგეგმვის ზომებით, ან განხორციელებით.

ამას გარდა, პროცესის ჩარჩოში აღწერილი უნდა იყოს შემდეგთან დაკავშირებული მექანიზმები

(e) *ადმინისტრაციული და სამართლებრივი პროცედურები.* დოკუმენტში მიმოხილული უნდა იყოს შესაბამის ადმინისტრაციულ იურისდიქციებთან და დარგობრივ სამინისტროებთან მიღწეული შეთანხმებები პროცესის მიდგომასთან დაკავშირებით (მათ შორის, პროექტის ფარგლებში ადმინისტრაციული და ფინანსური პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნა).

(f) *მონიტორინგის მექანიზმები.* დოკუმენტში მიმოხილული უნდა იყოს პროექტის ჩართულობაზე დამყარებული მონიტორინგის ღონისძიებების მექანიზმი, რამდენადაც ისინი უკავშირდება (დადებით ან უარყოფით) ზეგავლენას პროექტის ზეგავლენის არეალში, და შემოსავლისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის (ან სულ მცირე, აღდგენისათვის) გატარებული ზომების ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმი.

.

დანართი 3. განსახლების სამოქმედო გეგმის მონახაზი

ამ ნაწილში მოცემულია განსახლების სამოქმედო გეგმის მონახაზი.

შესავალი

- მოკლედ აღწერეთ პროექტი.
- ჩამოთვალეთ პროექტის კომპონენტები, მათ შორის დაკავშირებული ობიექტები (მათი არსებობის შემთხვევაში)
- აღწერეთ პროექტის კომპონენტები, რომელიც მოითხოვს მიწის შესყიდვას და განსახლებას; მიუთითეთ მიწის შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებული ზოგადი გაანგარიშებები.

განსახლების შემცირება

- აღწერეთ განსახლების შემცირებისათვის განხორციელებული ზომები.
- აღწერეთ ამ ზომების შედეგად მიღწეული შედეგები.
- აღწერეთ მექანიზმები, რომლების გამოყენება მოხდება განხორციელების დროს განსახლების შემცირებისათვის.

მოსახლეობის აღწერა და სოციალურ-ეკონომიკური კვლევები

- წარმოადგინეთ აღწერის, აქტივების ინვენტარიზაციის -- ბუნებრივი რესურსების შეფასებების, და სოციალურ-ეკონომიკური კვლევების შედეგები.
- მიუთითეთ ზეგავლენის ყველა კატეგორია და ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირები.
- შეაჯამეთ ზეგავლენის ქვეშ მყოფ ადამიანებთან სხვადასხვა კვლევების შედეგებთან დაკავშირებით ჩატარებული კონსულტაციები.
- აღწერეთ მოსახლეობის აღწერის, აქტივების აღრიცხვის, რესურსის შეფასების, და სოციალურ-ეკონომიკური კვლევების განახლების საჭიროება (მისი არსებობის შემთხვევაში), განსახლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ფარგლებში.

სამართლებრივი ბაზა

- აღწერეთ ყველა შესაბამისი ეროვნული კანონი და ჩვეულება//წესი, რომელიც ეხება განსახლებას

- გამოავლინეთ შეუსაბამობა ეროვნულ კანონებსა და მსოფლიო ბანკის ჯგუფის პოლიტიკას შორის, და აღწერეთ პროექტის მექანიზმები შეუსაბამობის გადასაჭრელად.

- აღწერეთ უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკა ზეგავლენის თითოეული კატეგორიისათვის და მიუთითეთ, რომ განსახლების განხორციელება დამყარებული იქნება შეთანხმებული განსახლების სამოქმედო გეგმის კონკრეტულ დებულებებზე.

- აღწერეთ ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ნაგებობების, მიწის, ხეების, და სხვა აქტივების ღირებულების განსაზღვრის მეთოდი.

- მოამზადეთ უფლებების მატრიცა.

განსახლების ობიექტები

- პროექტით მოთხოვნილია თემის განსახლების ობიექტები? ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირების ჩართვა მოხდა ობიექტების გამოვლენის, თითოეული ობიექტის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასების, და სასურველი ობიექტების შერჩევის პროცესში?

- მოხდა ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირების ჩართვა საცხოვრისი ჩანაცვლების მისაღები სტრატეგიის შემუშავებაში? ახალი საცხოვრისის აშენება /გამოყოფა მოხდება?

- პროექტი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო მიწის ან საძოვრის გამოყოფას? ცალკეული ოჯახები, რომლებსაც გამოეყოფათ მიწები ჩართულნი იყვნენ პოტენციური ახალი ობიექტების გამოვლენაში, და მათ ერთმნიშვნელოვნად მოიწონეს შერჩეული ობიექტები?

- აღწერეთ პოტენციური საცხოვრისი ობიექტების გამოვლენაში, დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებაში; და ობიქტების შერჩევაში ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირების ჩართვის პროცესი.

- აღწერეთ ჩატარებული დასაბუთებულობის კვლევები, რომელთა მიზანი იყო შეთავაზებული ობიექტების შესაბამისობის დადგენა, მათ შორის, ბუნებრივი რესურსის შეფასება (ნიადაგი და მიწის გამოყენების შესაძლებლობა, ნარგაობა, წყლის რესურსის კვლევა, და ა.შ.) და ობიექტების გარემოზე და სოციალური ზგავლენის შეფასება.

- დააფიქსირეთ, რომ მიწის და ტერიტორიის ხარისხი შეესაბამება ყველა იმ ადამიანის განსახლებას, რომლებსაც ეკუთვნით სასოფლო-სამეურნეო მიწის გადაცემა. წარმოადგინეთ მონაცემები - მიწის, ხარისხის და შესაძლებლობის, წარმოების პოტენციალის, და რაოდენობის შესახებ.

- წარმოადგინეთ ობიექტის მოთხოვნებსა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გაანგარისებები.

- აღწერეთ შემდეგის მექანიზმები: 1) შესყიდვები, 2) განვითარება და 3) განსახლების ობიექტების გამოყოფა, მათ შორის, საკუთრების უფლების გადაცემა ან გამოყოფილი მიწის გამოყენების უფლება.

- დეტალურად აღწერეთ ობიექტის სასოფლო-სამეურნეო მიზნით განვითარების ზომები, მათ შორის, განვითარების ხარჯების დაფინანსება.

- განსახლების სამოქმედო გეგმის თაობაზე მოხდა კონსულტაციის გავლა მასპინძელ თემებთან/ მათ მონაწილოება მიიღეს თავიანთ თემებზე სავარაუდო ზეგავლენის განსაზღვრაში, სათანადო შერბილების ზომების შემუშავებაში და განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადებაში? მასპინძელ თემებს გაეწევათ განსახლების დახმარება?

შემოსავლის აღდგენა

- მისაღები კომპენსაცია საკმარისია ზეგავლენის თითოეული კატეგორიისათვის შემოსავლების აღსადგენად? დამატებით რა ეკონომიკური რეაბილიტაციის ზომებია აუცილებელი?

- მოკლედ აღწერეთ აღდგენის სტრატეგიები ზეგავლენის თითოეული კატეგორიისათვის და აღწერეთ მათი ინსტიტუციური, ფინანსური, და ტექნიკური ასპექტები.

- აღწერეთ ზეგავლენის ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან კონსულტაციის პროცესი და მათი მონაწილეობა შემოსავლის აღდგენის სტრატეგიების ჩამოყალიბებაში.

- ეს სტრატეგიები რამდენად განსხვავდება ზეგავლენის სფეროს მიხედვით?

- შემოსავლის აღდგენა მოითხოვს ცვლილებას საარსებო საშუალებებში, ალტერანტიული სასოფლო-სამეურნეო მიწების განვითარებას ან სხვა ღონისძიებებს, რომლებისთვისაც საჭიროა მნიშვნელოვანი ტრენინგი, მომზადების დრო, და განხორციელების დრო?

- როგორი რეაგირება ხდება გაღარიბების რისკების მიმართ?

- რა ძირითადი ინსტიტუციური და სხვა რისკები არსებობს განსახლების პროგრამების დაუბრკოლებლად განხორციელებისათვის?

- აღწერეთ შემოსავლის აღდგენის ზომების ეფექტიანობის მონიტორინგის პროცესი.

- აღწერეთ სოციალური ან თემის განვითარების პროგრამები, რომლებიც ამჟამად მოქმედებს პროექტის ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ. ასეთი პროგრამების არსებობის შემთხვევაში, აკმაყოფილებენ ისინი სამიზნე თემების განვითარების პრიორიტეტებს? არსებობს შესაძლებლობები, რომ პროექტის მხარდამჭერმა მხარი დაუჭიროს ახალ პროგრამებს ან გააფართოვოს არსებული პროგრამები, პროექტის არეალში თემების განვითარების პრიორიტეტების მისაღწევად?

ინსტიტუციური მექანიზმები

- აღწერეთ დაწესებულება (დაწესებულებები), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან თითოეული პუნქტის/ღონისძიების უზრუნველყოფაზე უფლებამოსილების პოლიტიკაში; შემოსავლის აღდგენის პროგრამების განხორციელებაზე; და განსახლების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებულ და მასში აღწერილი ღონისძიებების კოორდინაციაზე.

- მიუთითეთ, თუ როგორ მოხდება საკითხების კოორდინაცია როდესაც განსახლება გავრცელებულია რამდენიმე იურისდიქციაში? ან როდესაც განსახლება განხორციელდება ეტაპობრივად, ხანგრძლივი დროის მანძილზე.

- მიუთითეთ სააგენტო, რომელიც კოორდინირებას გაუწევს ყველა განმახორციელებელ სააგენტოს. მას გააჩნია აუცილებელი მანდატი და რესურსი?

- აღწერეთ გარე (არა პროექტის) დაწესებულებები, რომლებიც ჩართულნი არიან შემოსავლის აღდგენის პროცესში (მიწის განვითარება, მიწის გამოყოფა, კრედიტი, და ტრენინგი) და ამ დაწესებულებების სათანადო მუშაობის უზრუნველყოფის მექანიზმები.

- აღწერეთ განსახლების ინსტიტუციური შესაძლებლობა და მზადყოფნა.

- აღწერეთ განსახლების სამოქმედო გეგმის დამოუკიდებელი მონიტორინგის, შეფასების, და ფინანსური აუდიტის და გამოსასწორებელი ზომების დროულად ჩატარების მექანიზმები.

განხორციელების გრაფიკი

- ჩამოთვალეთ განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ქრონოლოგიური ნაბიჯები, მათ შორის, მიუთითეთ თითოეული საქმიანობაზე პასუხისმგებელი სააგენტო და მოკლედ აღწერეთ თითოეული საქმიანობა.

- მოამზადეთ განსახლების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ყოველთვიური გრაფიკი (მაგ., კალენდარული (Gantt) გრაფიკის გამოყენებით).

- აღწერეთ კავშირები განსახლების განხორციელებასა და პროექტის თითოეული კომპონენტისათვის სამშენებლო სამუშაოების წამოწყებას შორის.

მონაწილეობა და კონსულტაცია

- აღწერეთ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები.

- აღწერეთ განსახლების მომზადებისა და დაგეგმვის დროს ზეგავლენის ქვეშ მყოფ მოსახლეობასა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების/მონაწილეობის პროცესი.

- აღწერეთ განხორციელებასა და მონიტორინგში ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვის პროცესი.

- აღწერეთ ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეებისათვის განსახლების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების გეგმა, რომელიც მოიცავს დაკარგული ქონებისათვის კომპენსაციის შესახებ ინფორმაციას, კომპენსაციის მისაღებად

შერჩევის კრიტერიუმებს, განსახლებაში დახმარებას, და დავების გადაჭრის შესახებ ინფორმაციას.

დავების გადაჭრა

- აღწერეთ პრეტენზიების/საჩივრების რეგისტრაციისა და მათზე რეაგირების პროცესის ნაბიჯები და მიუთითეთ საჩივრების რეგისტრირების უფასო პროცესის კონკრეტული დეტალები, რეაგირების ვადები, და კომუნიკაციის ფორმები.

- აღწერეთ გასაჩივრების მექანიზმი.

- აღწერეთ სამოქალაქო სასამართლოსთვის მიმართვის პირობები, თუ სხვა მეთოდების გამოყენების შედეგად დავა ვერ გადაიჭრა.

მონიტორინგი და შეფასება

- აღწერეთ შიდა/შესრულების მონიტორინგის პროცესი.

- განსაზღვრეთ მონიტორინგის ძირითადი ინდიკატორები, რომლებიც საბაზისო კვლევის საფუძველზეა დადგენილი. წარმოადგინეთ მონიტორინგის ინდიკატორების სია, რომელთა გამოყენება მოხდება შიდა მონიტორინგისათვის.

- აღწერეთ ინსტიტუციური (მათ შორის, ფინანსური) მექანიზმები.

- აღწერეთ ანგარიშგების სიხშირე და შიდა მონიტორინგის შინაარსი.

- აღწერეთ შიდა მონიტორინგის შედეგად მიღებული უკუკავშირის განხორციელებაში ასახვის პროცესი.

- განმარტეთ გარე მონიტორინგის მეთოდოლოგია.

- . განსაზღვრეთ გარე მონიტორინგის ძირითადი ინდიკატორები.

- აღწერეთ ანგარიშგების სიხშირე და გარე მონიტორინგის შინაარსი.

- აღწერეთ განხორციელებაში გარე მონიტორინგის შედეგად მიღებული უკუკავშირის ასახვის პროცესი.

- აღწერეთ საბოლოო გარე შეფასების პროცესი.

დანართი 5. ESMF-ისა და RPF-სთან დაკავშირებით საჯარო კონსულტაციების ოქმი

13 მარტი, 2019 წელი

თბილისი, საქართველო

საქართველოს ინკლუზიურობის, ინოვაციებისა და ხარისხის IQ პროექტი

პროექტისთვის მომზადებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტისა და განსახლების სამოქმედო გეგმის ჩარჩო დოკუმენტის სამუშაო ვერსიების საჯარო განხილვის ოქმი

2019 წლის13 მარტს, ქალაქ თბილისში სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ ოფისში (დავით აღმაშენებლის ქ. N 150, მე-3 სართული) გაიმართა საქართველოს ინკლუზიურობის, ინოვაციებისა და ხარისხის IQ პროექტისთვის მომზადებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტისა და განსახლების სამოქმედო გეგმის ჩარჩო დოკუმენტის სამუშაო ვერსიების საჯარო განხილვა. პროექტი განხორციელდება სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და საქართველოს განათლების მეცენიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით.

შეხვედრა მიზნად ისახავდა დამსწრე საზოგადოების ინფორმირებას მომზადებული დოკუმენტებისა და პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი და დადებითი ზეგავლენის, განსახლებისა და მიწის გამოსყიდვასთან დაკავშირებული საკითხების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენისა და უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების და შემცირების ღონისძიებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის დეპარტამენტის უფროსი - გრიგოლ სამსონაძე;

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელი - ივანე მარგიშვილი;

ESIDA- ის დირექტორი - ზვიად როსტომაშვილი

ESIDA- ის წარმომადგენლები - გიორგი თინაძე, თეა ლაცაბიძე, მამუკა მორალიშვილი

MCC- ის წარმომადგენლები - მანანა ქუთათელაძე, მაგდა მაღრაძე

EFA, EPPM- ის წარმომადგენლები - რევაზ აფხაზავა, გიორგი ჭანტურია

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი - ანა ჯანელიძე

ილიას უნივერსიტეტის პედაგოგთა სახლისა და ბავშვთა განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენლები - თამარ საგინაძე

სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ფორუმის წარმომადგენელი - მაკა ბიბილეიშვილი

ღია საზოგადოების ფონდის წარმომადგენელი - ირმა ხაბაზი

ვაკე-საბურთალოს რაიონის რესურს-ცენტრის უფროსი - ხათუნა მაჭარაშვილი

ისანი-სამგორის რაიონის რესურს-ცენტრის უფროსი - მეგი როსტიაშვილი

ძველი თბილისის რაიონის რესურს-ცენტრის უფროსი - ეკატერინე კვირიკაშვილი

ვლადიმერ კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის დირექტორი ივანე კვიტაიშვილი

თბილისის 55-ე საჯარო სკოლის დირექტორი - მაია აბრამიძე

თბილისის # 108 საჯარო სკოლის დირექტორი - მაია მღვდელაძე

თბილისის # 98 საჯარო სკოლის დირექტორი - გიორგი მოცემლიძე

თბილისის 63-ე საჯარო სკოლის დირექტორი - ნანა მონიავა

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები - გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის უფროსი - ელგუჯა კვანჭილაშვილი

გარემოს დაცვის სპეციალისტი - ნინიკო ისაკაძე

ბენეფიციარი ურთიერთობის სპეციალისტი - ნუცა გუმბერიძე

მსოფლიო ბანკის პროექტების მენეჯერი - ნუცა დათუაშვილი.

ელგუჯა კვანჭილაშვილმა, გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის უფროსმა, გახსნა შეხვედრა. მან ინფორმაცია მიაწოდა დამსწრე საზოგადოებას მუნიციპალური განვითარების ფონდის, მისი საქმიანობის, შეხვედრის მიზნებისა და პროექტისთვის მომზადებული დოკუმენტებისა და პროექტის მიზნების შესახებ.

ნინიკო ისაკაძემ, გარემოს დაცვის სპეციალისტმა, ჩაატარა პრეზენტაცია პროექტისთვის მომზადებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტისა და განსახლების სამოქმედო გეგმის ჩარჩო დოკუმენტის სამუშაო ვერსიების შესახებ. მან სრულად განმარტა პროექტის მიზნები და 5 კომპონენტი. მან განიხილა მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის პროცედურა და წარმოდგენილი პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები. მან ასევე აღნიშნა მოსალოდნელი განსახლების გავლენა პროექტის ფარგლებში. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული, შემცირებული, შერბილებული და შესაბამისად კომპენსირებული სოციალური და განსახლებასთან დაკავშირებული ზეგავლენა, შესაბამისი ღონისძიებები გაიწერა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტისა და განსახლების სამოქმედო გეგმის ჩარჩო დოკუმენტში, რაც ასევე განხილული იყო შეხვედრის ფარგლებში, სამინისტროსა და მგფ-ს შორის გადანაწილებული პასუხიმგებლობებთან ერთად.

ნუცა გუმბერიძემ, ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტმა, ინფორმაცია მიაწოდა შეხვედრის მონაწილეებს, საჩივრების განხილვის მექანიზმისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. მან განმარტა რომ ნებისმიერი წერილობითი თუ სიტყვიერი საჩივარი გადაიჭრება აღნიშნული მექანიზმის საშუალებით. მან აქვე აღნიშნა, რომ მგფ და განათლების სამინისტრო იქნება მჭიდრო თანამშრომლობაში პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების დროს საჩივრების განმხილველი მექანიზმის სათანადო ფუნქციონირებისა და დაინტერესებული მხარეების მისი მარტივად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	**პასუხები და კომენტარები**
სად შემიძლია დოკუმენტებს გავეცნო?	დოკუმენტები განთავსებულია, როგორც მგფ-ს ვებ-გვერდზე, ასევე განათლების სამინისტროს ვებ-გვერდზე.
როგორც ფიქროთ მოსალოდნელია თუ არა განსახლება პროექტის განხორციელების დროს?	პროექტების დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე მოხდება პოტენციური ზეგავლენის იდენტიფიცირება /ანალიზი და იმ შემთხვევაში თუ გავლენა გამოვლინდა მომზადდება განსახლების სამოქმედო გეგმა. თუმცა, ახალი მშენებლობები იგეგმება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, რომელიც თავისუფალია კერძო საკუთრებისგან.

პროექტი ითვალისწინებს ბაღების რეაბილიტაციასაც?	პროექტის ფარგლებში არ არის დაგეგმილი ბაღების რეაბილიტაცია/მშენებლობა.
მონიტორინგი როგორ განხორციელდება?	მონიტორინგი განხორციელდება დაქირავებული საზედამხედველო კომპანიასა და აღმასრულებელი უწყებების მიერ.
შეგვიძლია პირდაპირ მოგმართოთ თქვენ კითხვებისა და საჩივრების დასაფიქსირებლად?	რა თქმა უნდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ თქვენ შეგიძლია დაუკავშირდეთ მგფ-ს მხრიდან საკონტაქტო პირს ან წარმომადგენლებს განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან.

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება ქვე-პროექტით გათვალისწინებული სამუშაოებისა და დოკუმენტით გაწერილი შემარბილებელი ღონისძიებები მიმართ.
შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცლის ასლი თანდართულია.
ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტის - ნუცა გუმბერიძის მიერ.

ინკლუზიურობის, ინოვაციის და ხარისხის (IQ) პროექტი საქართველოში

პროგრამის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვისა (ESMF) და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტების (RPF) საჯარო განხილვა

13 მარტი, 2019

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	[illegible]	[illegible]	599507790 KKiteteladze@mec.gov	
2.	[illegible]	[illegible]	599222480 [illegible]@[illegible]	
3.	[illegible]	[illegible]	577133221 g.mantseli dze@yahoo.com	
4.	[illegible]	[illegible]	577 127 127 ekaterinekvirikashvili@yahoo.com	
5.	ნანა [illegible]	[illegible] N63 [illegible]	577.33.84.84 nanamoniava@gmail.com	

6.	[illegible]	UNICEF	555 52 99 10 ajanelidze@unicef.org	
7.	[illegible]	[illegible] 199 [illegible]	577 123433 tbilisi199@mesgeorge	
8.	[illegible]	[illegible] N108 [illegible]	577426500 tbilisi108@mesgeo.ge	
9.	[illegible]	N55 [illegible]	577 57 56 02	
10.	[illegible]	64 [illegible]	555-29-33-15	
11.	[illegible]	[illegible]	577977369	

12.	ნინგნა ბაბუნაშვილი	ეროვნ-საბუღალტრო სამმართ. საგანმანათლებლო ინსტიტუტი	599174809 vakesaburtalo@mes.gov.ge	
13.	ზეინ ჰოდელიანი-ნაგლოფანი	ინსტ. საბუღალტრო სამმართ. საგანმანათლებლო ინსტიტუტი	577339988 isanisangeri@mes.gov.ge	
14.	თამი ფალავანდიშვილი	სსიპ საგანმანათლებლო ინოვაციათა ეროვნული სააგენტო	555401595 tlatsabidze@esida.ge	
15.	მამეკა მიმინოშვილი	სსიპ საგანმანათლებლო ინოვაციათა ეროვნული სააგენტო	577406083 mammeval@gmail.com	
16.	გიორგი ათინაძე	საგანმანათლებლო ინოვაციათა ეროვნული სააგენტოს ადამიანური რესურსების სამსახური	595 301030 atinadze@esida.ge	
17.	გიორგი სოსონიძე	ეროვნული სასერტიფიკაციო ერთიანი სისტემის სააგენტო	591 190099 gsosonidze@mes.gov.ge	
18.				

19.	[illegible]	[illegible]	577998834 imargishvili@mes.gov.ge	
20.	[illegible]	[illegible]	mmagradze@mcageorgia.ge	
21.	[illegible]	[illegible]	ekvantelilashvili@ndf.org.ge	
22.	[illegible]	[illegible]	ndatreashvili@ndf.org.ge	
23.	[illegible]	[illegible]	nsearkadze@ndf.org.ge	
24.	[illegible]	[illegible]	ijaparidze@ndf.org.ge	

25.	[illegible]	EFA	577375986	george.chanturia@ebogeorgia.ge
26.	[illegible]	MCA-Georgia	577 727884	glebanidze@mcageorgia.ge
27.	[illegible]	EFA, EPPM	593 164565	revaz@eppm.org.ge
28.	[illegible]	ESIDA	593 282327	zrostomashvili@esida.ge.
29.	[illegible]	[illegible]	ngtumberidze@mdf.org.ge	599290209
30.				
31.				
32.				
33.				
34.				

ფოტო მასალა